საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
# საქართველო და მსოფლიო
9 - 15 ნოემბერი, 2016
№41 (370)
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## ალექსანდრე ჭაჭია რუსეთის პატრიარქს რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომის მასპინძლის ტაძარში გამართვაზე შეუთანხმდა

2

## პაატა შინ არ ვარგოდაო, «ოცნებაში» გარგოდაო









## უქალღო ქვეყანაში კატები ყეფენ

6

## დამარცხებული ქვეყნის გამარჯვებული პოლიტიკოსები

4





## ივანიშვილის ახალგაზრდა გვარდია

## ერთნაირსქესიანთა ქორწინება საქართველოს პარლამენტში

10





## როგორ აღადგინეს სამართლიანობა ჩილესა და არგენტინაში

5

## «ქართული ოცნების» წევრებს მოვუწოდებ

7

* სასწრაფოდ დააბრუნეთ პარლამენტი საქართველოს დედაქალაქში;
*ყურით გამოათრიეთ ავლაბრის რეზიდენციიდან არარაობა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია;
*შექმენით საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიძიებს გიგა ბოკერიას სისხლიან წვლილს „ნაცმოძრაობის" მიერ ინსპირირებული ე.წ. ციხის ბუნტის ჩახშობაში და მის „მოღვაწეობას" უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე ფინანსების არამიზნობრივად განკარგვის კუთხით. დეპუტატის იმუნიტეტი იცავს? რა პრობლემაა, მოუხსენით და, თუ დამნაშავეა, გვერდით მიუსვით თქვენი მეგობარი ევროპის მიერ პოლიტპატიმრებად შერაცხილ ახალაია-მერაბიშვილ-უგულავას;
* პროკურატურამ სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება სვანეთის ამაოხრებელი და გვამების ფონზე კუზდარის მთქვლეფი გიორგი ბარამიძის მიმართ და ისიც ხსენებულ „პოლიტპატიმრებთან" ჩაასახლეთ საკანში;
* მოსპეთ, ბოლოს და ბოლოს, მონოპოლიები ენერგეტიკაში, ფარმაციაში, საბანკო სფეროში, ე.წ. ონლაინკრედიტები „სახლიდან გაუსვლელად ხუთ წუთში", თანაც ყოველგვარი გირაოს გარეშე.





„ყველა მათგანი არჩევნების წინ ბიძინას დედას აგინებდა, არჩევნების მეორე დღეს კი სახლებში წავიდნენ და ოპოზიციაში აღარ ვართო, — ამბობენ. ეს იმიტომ გააკეთეს, იქნებ თანამდებობები მაინც ჩავიგდოთ ხელშიო. ეს მექავობა არ არის?!"

## «არჩევნების წინ ბიძინას აგინებდნენ, არჩევნების მერე საკუთარი პარტიებიდან გაიქცნენ — ეს მექავობაა და არა პოლიტიკა»

8



## «იმის გამო, რომ «მიშა მაგარია» არ ვიმღერეთ, საკანში მყოფ ყველა პატიმარს გვცემეს»

9

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოდესის გუბერნატორად სააკაშვილი იმისთვის დაინიშნა, რომ ოლქი უკრაინელი ოლიგარქის — იგორ კოლომოისკის გუნდისგან გაეთავისუფლებინა, რაც გააკეთა კიდეც. შემდეგ კი სააკაშვილი უკრაინის ექსპრემიერ არსენი იაცენიუკის წინააღმდეგ გამოიყენეს. ამ მიზნების მიღწევის შემდეგ სააკაშვილი „ზედმეტი“ შეიქნა. „საქართველოში არჩევნებში მარცხის შემდეგ და პრეზიდენტის მხარდაჭერის სრული არარსებობის ფონზე, სააკაშვილს, წასვლის გარდა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა“.**

# შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომას მოსკოვის მაცხოვრის საკათედრო ტაძრის საეკლესიო კრებათა დარბაზი უმასპინძლებს

## ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია რუსეთის პატრიარქს რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომის გამართვაზე შეუთანხმდა

**1 ნოემბერს მოსკოვში, მაცხოვრის საკათედრო ტაძრის საეკლესიო კრებათა დარბაზში, გაიმართა მსოფლიოს XX რუსული სახალხო კრების პლენარული სხდომის გახსნის ცერემონია. კრების პლენარულ სხდომას თემაზე „რუსეთი და დასავლეთი: ხალხთა დიალოგი ცივილიზაციურ გამოწვევებზე პასუხის ძიებაში“ ხელმძღვანელობდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე.**

„როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე ადამიანთა ცალკეული თანამეგობრობის ურთიერთობათა საფუძველი თანამშრომლობა და ისეთი ურთიერთქმედება უნდა იყოს, რომელიც არ იქნება მიმართული არც ერთი მხარის ინტერესების წინააღმდეგ და არ შექმნის ახალ გამყოფ ზოლებს, არ მიაკერებს იარლიყებს — „ცივილიზებული სამყარო“, „ბარბაროსული სამყარო“, „სიკეთის ღერძი“, „ბოროტების ღერძი“... მიგვაჩნია, რომ **დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება საბაზო ზნეობრივ ღირებულებათა ეროზიის, ტრადიციულ რელიგიურ კულტურებზე აგრესიული შეტევის პრობლემები, რომლებიც, კერძოდ, გამოიხატება დექრისტიანიზაციის პოლიტიკის მასშტაბურ და მიზანმიმართულ გატარებაში“**, — განაცხადა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

**„მსოფლიო რუსულ სახალხო კრებას განვიხილავ, როგორც ძალიან მნიშვნელოვან ინიციატივას, მიმართულს ურყევი ჰუმანისტური იდეალებისა და ფასეულობების გარშემო ყველა კონსტრუქციული ძალის გაერთიანებისკენ. საუკუნეთა განმავლობაში სწორედ ეს იდეალები და ფასეულობები განაპირობებდა ხალხის ტრადიციებსა და ცხოვრებისეულ ორიენტირებს და ეხმარებოდა ქვეყანას წინსვლაში“**, — ასე მიმართა მისასალმებელ სიტყვაში რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** კრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.





მაცხოვრის საკათედრო ტაძრის საეკლესიო კრებათა დარბაზი

კრებაზე მიწვეული იყვნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები და მღვდელმსახურები, ქვეყნის ხელმძღვანელი პირები, სახელმწიფო დუმის პოლიტიკური ფრაქციების პირველი პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერების, განათლების, კულტურის წარმომადგენლები.

კრების მიზანია ხალხთა გაერთიანება სიცოცხლის გადასარჩენად, — მიიჩნევენ ორგანიზატორები. მათი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ნეოკერპთაყვანისმცემლობასთან და ქრისტიანოფობიასთან ერთობლივი ბრძოლა და, რაც მთავარია, ხალხთა დიალოგის განახლება 10 მცნებაზე დაფუძნებული ფასეულობების გარშემო ზოგადსაკაცობრიო აღმშენებლობისთვის გასაერთიანებლად.

კრების პრეზიდიუმში მიწვეული იყო ცნობილი ქართველი **პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.** როგორც შევიტყვეთ, მას ჰქონდა თბილი საუბარი რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესთან, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომას მოსკოვის მაცხოვრის ტაძრის საეკლესიო კრებათა დარბაზმა უმასპინძლოს.

# მიხეილ სააკაშვილმა ოდესის გუბერნატორის თანამდებობა დატოვა

**ინფორმაცია სააკაშვილის პოსტიდან გადადგომის თაობაზე ოფიციალურად დადასტურდა. მანამდე კი საზოგადოებისთვის ცნობილი შეიქნა ოდესის ოლქის პოლიციის უფროს გიორგი ლორთქიფანიძის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ, ამ ფაქტს სააკაშვილმა უსამართლო უწოდა.**

მიხეილ სააკაშვილი ოდესის საოლქო ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტს 2015 წლის 30 მაისიდან იკავებდა. ოდესის ოლქის უკვე ყოფილმა გუბერნატორმა გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოებას თავისი მიმართვით ამცნო. „მე გადავწყვიტე, გადავდგე და დავიწყო სრულიად ახალი ეტაპი ბრძოლისთვის. ხელების ჩამოყრას არ ვაპირებ. მე არ დავიღლები. მტრები ნუ ჩათვლიან, თითქოს თავიდან მომიცილეს. მე ვარ ჯარისკაცი, რომელიც წინ მიდის იქამდე, სანამდეც შეუძლია წინსვლა და შემდეგ მიდის იქამდე, სანამდეც საჭიროა, რამდენიც საჭიროა გამარჯვებისთვის და იმისათვის, რათა უკრაინელები გავათავისუფლოთ ამ მურტალი ძალისგან, ამ კორუფციული სიბინძურისგან, რომლებიც კაპიტალიზაციას ახდენდნენ ჩვენი ჯარისკაცების სისხლით, მაიდანზე დაღუპულთა სისხლით, რომლებმაც უღალატეს უკრაინული რევოლუციის იდეას და, რომლებსაც მხოლოდ ერთადერთი მოტივაცია ჰქონდათ, შეევსოთ საკუთარი ჯიბეები, გაეძლიერებინათ საკუთარი კლანი და საბოლოოდ გაექურდათ უკრაინა“, — დაწერა სააკაშვილმა. უფრო ადრე კი მან მედიას განუცხადა, რომ ის არ აპირებს საქართველოში დაბრუნებას, რადგან გეგმავს, დარჩეს უკრაინაში და განაგრძოს თავისი საქმიანობა.



საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **გია ჟორჟოლიანმა** „პალიტრანიუსის“ გადაცემაში განაცხადა, რომ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად ამდენი ხანს იმიტომ ამყოფეს, რომ მისულიყვნენ დასკვნამდე: სააკაშვილი მათ არ სჭირდებათ. მისი თქმით, სააკაშვილი ბრალდებულია და ქვეყანაში შემოსვლის შემთხვევაში მის წინააღმდეგ სამართლებრივი ბერკეტები ამოქმედდება. „სააკაშვილი არ არის საქართველოს პოლიტიკის ფიგურანტი, არ ვიცი და არ მაინტერესებს, იქ რას გააკეთებს. **საქართველოში სააკაშვილი არის ბრალდებული, სამართალდამცავი ორგანოები უნდა მოიქცნენ შესაბამისად. თუ ის საქართველოში ჩამოვა, ჩვენი სამართალდამცავები მათ კომპეტენციაში არსებულ მექანიზმებს გამოიყენებენ. სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად ამდენ ხანს ამყოფეს, მაგრამ დაინახეს და მივიდნენ ამ დასკვნამდე. მინდა, მივულოცო უკრაინის მთავრობას!“** — განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

„ოდესის გუბერნატორობა არ არის მაღალი პოლიტიკური თანამდებობა“, — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **აკაკი ბობოხიძემ** გადაცემა „360 გრადუსში“. მისი თქმით, სააკაშვილს ჰქონდა იმედი, რომ **პოროშენკო** ახალ გამოწვევებს უპასუხებდა, თუმცა უშედეგოდ. ბობოხიძის განცხადებითვე, სააკაშვილის პოლიტიკურ წონას არა მისი თანამდებობა, არამედ მისი პოლიტიკური პოზიციები განაპირობებს. „მიხეილ სააკაშვილს არასდროს განვიხილავდი ოდესის გუბერნატორად. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ოდესის გუბერნატორი არ არის რაიმე მაღალი პოლიტიკური თანამდებობა. უკრაინაში, ზოგადად, გუბერნატორებს ნიშნავს პრეზიდენტი და იურიდიულად ძალიან ცოტა უფლებამოსილება აქვთ. მიშას ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ პოროშენკო ახალ გამოწვევებს უპასუხებდა. მან ბოლომდე იპარტნიორა პოროშენკოსთან. მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ წონას არა ოდესის გუბერნატორობა, არამედ მისი პოზიციები აძლევდა“, — განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

„მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში ქართული რეფორმების წარმატებით განმეორება გუნდის არარსებობის გამო ვერ შეძლო, პრეზიდენტმა **პეტრო პოროშენკომ** კი ის საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა. ამ მოსაზრებას უკრაინელი დეპუტატი, „სახალხო ფრონტის“ წევრი **ანტონ გერაშენკო** სოციალურ ქსელში წერს.

გერაშენკოს აზრით, გუნდის დაშლა 2007 წელს სააკაშვილის ეგოიზმმა და „ტოტალიტარულმა გამოხდომებმა“ გამოიწვია. ანტონ გერაშენკო აღნიშნავს, რომ უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, ერთი მხრივ, სააკაშვილის პოპულარობის გამოყენება სურდა; მეორე მხრივ კი, სააკაშვილი პრეზიდენტის პოლიტიკური მტრების მოსაშორებლად გამოიყენა. კერძოდ, ოდესის გუბერნატორად სააკაშვილი იმისთვის დაინიშნა, რომ ოლქი უკრაინელი ოლიგარქის — **იგორ კოლომოისკის** გუნდისგან გაეთავისუფლებინა, რაც გააკეთა კიდეც. შემდეგ კი სააკაშვილი უკრაინის ექსპრემიერ **არსენი იაცენიუკის** წინააღმდეგ გამოიყენეს. ამ მიზნების მიღწევის შემდეგ სააკაშვილი „ზედმეტი“ შეიქნა. „საქართველოში არჩევნებში მარცხის შემდეგ და პრეზიდენტის მხარდაჭერის სრული არარსებობის ფონზე, სააკაშვილს წასვლის გარდა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა“, — მიიჩნევს უკრაინელი დეპუტატი.

**„მიხეილ სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, პოლიტიკური პარტია „ხვილიას“ („ტალღა“) შექმნის პროცესი, შესაძლოა, დაჩქარდეს“**, — განაცხადა პარტიის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრმა, სახალხო დეპუტატმა **ნატალია ნოვაკმა.** კითხვაზე — შესაძლებელია თუ არა, რომ გადადგომის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ამ პარტიას ჩაუდგეს სათავეში, ნოვაკმა უპაუხა: „რა თქმა უნდა, მე ამას ვუშვებ. პარტია არ არსებობს. არსებობს საინიციატივო ჯგუფი. შესაძლოა, პროცესი დაჩქარდეს, რომლის შედეგად მას მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგება სათავეში“, — განაცხადა ნოვაკმა. მისივე თქმით, ჯერ საინიციატივო ჯგუფს ეს საკითხი არ განუხილავს. ნოვაკის ინფორმაციით, შესაძლოა, ყრილობა თებერვალში გაიმართოს.

„ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაღუპული გმირებისთვის მემორიალის შემთხვევაში ხომ ნამდვილად სამარცხვინო რამ მოხდა: ბათუმის მერიამ არათუ ადგილი გამოყო ამ მემორიალისთვის, არამედ მონიშნულ ადგილას საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა დაიწყო“.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნიაზ ბოლქვაძე:

# ეს იყო არა სასადილოს, არამედ ბორდელის სარეკლამო პლაკატი, რომლითაც თურქ მამაკაცებს მიანიშნებდნენ, — აქ შეგიძლიათ, ქართველ ქალებთან გაერთოთ



**ბათუმში თურქული სასადილოს თავზე „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ წევრებმა შენიშნეს სარეკლამო აბრა, რომელზეც გამოსახული იყო თურქი მამაკაცისა და ქართველი მანდილოსნის სასიყვარულო ტრაპეზი.**
**ქართველი ერისთვის შეურაცხმყოფელ ფაქტებსა და აჭარაში შექმნილ სახიფათო ვითარებაზე გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მეცნიერი და ფილოსოფოსი „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე:**

— საქართველოში უცხოელთა ქმედებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ისინი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ ჩადენილის გამო. ამის ნათელი მაგალითია ბათუმში, ერთ-ერთ თურქულ სასადილოზე გამოკრული პლაკატი, რომელზეც გამოსახულია თურქული და ქართული დროშა, თითქოს, როგორც მეგობრობის სიმბოლო, თურქული დროშის ქვეშ ზის თურქი მამაკაცი, ქართული დროშის ქვეშ კი — ქართველი ქალი და ისინი შამპანურს მიირთმევენ. დიდი ახსნა არ სჭირდება, რა უკიდურესად დამამცირებელია ეს სარეკლამო პლაკატი. ეს იყო არა სასადილოს, არამედ ბორდელის სარეკლამო პლაკატი, რომლითაც თურქ მამაკაცებს მიანიშნებდნენ, აქ შეგიძლიათ ქართველ ქალებთან გაერთოთ. ამ შემთხვევაში ეს არის გამოხატვის უკიდურესად შეურაცხმყოფელი ფორმა, რომელიც მიზანმიმართულად ამახინჯებს ქართველი ქალის სახეს, რაც დაუშვებელი და მიუღებელია. ამ ქუჩაზე დადის უამრავი ადამიანი, ტურისტი და ამ პლაკატს ჩვენს იქ მისვლამდე ყურადღება არ ექცეოდა. **ადამიანმა, რომელსაც აქვს ღირსება, როგორ შეიძლება, მსგავსი რამ დაინახო და ღამე მშვიდად დაიძინო?!** სწორედ ამიტომ „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ წევრებთან — **დუგლას ზამთარაძესთან, თამაზ დარჩიძესთან, როინ ხარაძესა და მალხაზ ცენტერაძესთან** ერთად ვეწვიეთ აღნიშნულ სასადილოს, დავიბარეთ თურქი მეპატრონე და მოვთხოვეთ ქართველთათვის შეურაცხმყოფელი პლაკატის ჩამოხსნა. მეპატრონეს ძალიან მოსწონდა ეს პლაკატი და დატოვება სურდა, რადგან მისთვის მარკეტინგულად ძალიან მომგებიანი იყო. სასადილოში მომუშავე ქართველი პერსონალი კი სულაც არ აპროტესტებდა აღნიშნულ ფაქტს, რითაც ჩვენი აღშფოთება გამოიწვია. **ჩვენი პროტესტის შემდგომ მეპატრონემ ბოდიში მოიხადა და თავისივე ხელით გაანადგურა პლაკატი.**

მივმართავ საზოგადოებას: თუ ვინმე შენიშნავს მსგავს შეურაცხმყოფელ ბანერს თუ პლაკატს, აუცილებლად მოახდინონ რეაგირება და, თუ მათ ქმედებას შედეგი არ მოჰყვა, მოვიდნენ ჩვენთან და მივიღებთ შესაბამის ზომებს. აი მაგალითად, წააწყდით კაფეს, რომელიც სარდაფშია განთავსებული და აწერია „დისკოთეკა“, სულ რაღაც, 5-10 კვადრატულ მეტრ ფართობზე დისკოთეკა ხომ წარმოუდგენელია?! ეს არის ბორდელი, გარყვნილების ნავსაყუდელი და იქ დისკოთეკა და ცეკვა ფიზიკურად შეუძლებელია. **ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი თურქების ფანტაზიამ ზღვარს გადააჭარბა, რადგან ბორდელს დაუფარავად უწევდნენ რეკლამას.** აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მხოლოდ მათი ბრალი, ამაში დამნაშავეა ჩვენი მთავრობაც, რომელიც არ აწესებს ჩარჩოებს ბიზნესმენებისთვის. მსგავსი პოლიტიკა საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ეს ყოველივე ღირსეულ მომავალს არ გვიქადის.

— **აზიანებს მსგავსი ქმედება ორ ქვეყანას შორის პარტნიორულ-მეგობრულ თანამშრომლობას?**

— ძალიან აზიანებს, რადგან ასეთი რამ შეიძლება დაპირისპირების მიზეზად იქცეს ადგილობრივ მოსახლეობაში. თურქეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, თურქ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცება-განვითარება ორივე ქვეყნის ინტერესებშია. თუ გვსურს, არ დაზარალდეს ბიზნესი ქვეყანაში და არც ხალხებს შორის დამოკიდებულებამ იცვალოს ფერი, უნდა ვეცადოთ, მსგავსი ფაქტები არ დავუშვათ.

— **რა უნდა გააკეთოს მთავრობამ მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად?**

— აჭარას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი **ზურაბ პატარაძე.** ეს ადამიანი რამდენიმე თვის დანიშნულია, მაგრამ მალე გამოჩნდება, რა დამოკიდებულებას გამოიჩენს მეტად სათუთი საკითხების მიმართ. იმედია, დაინტერესდება ხალხის სატკივარით. მაგრამ თუ არ გაითვალისწინებს მათ მოთხოვნებს, დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი. ძალიან არ მინდა, თავისი წინამორბედების ბედი გაიზიაროს.

— **თქვენ ახლა ისაუბრეთ იმაზე, რა უნდა გაკეთდეს. დღეს რა ხდება ქალაქში, იღებს თუ არა მთავრობა ზომებს მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად?**

— ის, ვისაც ევალება, არანაირ ზომებს არ იღებს. უცხოელი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოდის, ხედავს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ბათუმის მერია უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რა ხდება ქალაქში და დაინტერესდეს მოსახლეობის ბედით. ყველაფერი რიგზე რომ იყოს, ამდენი სალაპარაკო არ გვექნებოდა. გვერდს ვერ ავუვლი აგვისტოში დაწყებულ ამბავს, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თქვენს გაზეთშიც დაიბეჭდა სტატია ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაღუპული გმირებისთვის მემორიალის აღმართვის შესახებ და ამისთვის მადლობას გიხდით. **ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაღუპული გმირებისთვის მემორიალის შემთხვევაში ხომ ნამდვილად სამარცხვინო რამ მოხდა: ბათუმის მერიამ არათუ ადგილი გამოყო ამ მემორიალისთვის, არამედ მონიშნულ ადგილას საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა დაიწყო.**

ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს არ დაგვეშვა. პროტესტებით, მედიაში პრობლემის გაშუქებით მოხდა რეაგირება საკითხზე და ტუალეტის მშენებლობა გაუქმდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ სათანადო ყურადღება ისედაც უნდა ექცეოდეს მსგავს საკითხებს, ალიაქოთის გარეშე.

იმედი მაქვს, თურქეთის საკონსულო და ქალაქის მერია, რომელსაც ევალება ასეთ საკითხებზე რეაგირება, შესაბამის ზომებს მიიღებენ, რათა არ დაზიანდეს არც თურქული და არც ქართული მხარის ინტერესები. ჩვენი ვალია, ვიყოთ ქვეყნის სამსახურში, ერთსულოვნებით, ერთად დგომით ეკლესიამ და ხალხმა უნდა დავიცვათ საქართველოს მომავალი.

«სასადილოს მეპატრონეს ძალიან მოსწონდა ეს პლაკატი და დატოვება სურდა, რადგანაც მისთვის მარკეტინგულად ძალიან მომგებიანი იყო. სასადილოში მომუშავე ქართველი პერსონალი კი სულაც არ აპროტესტებდა აღნიშნულ ფაქტს, რითაც ჩვენი აღშფოთება გამოიწვია. ჩვენი პროტესტის შემდგომ მეპატრონემ ბოდიში მოიხადა და საკუთარი ხელით გაანადგურა პლაკატი»

ესაუბრა
**ნათია თათარიშვილი**

# თურქეთის ლიდერი ევროპული ლაგმის ამოდებას არ აპირებს



რეჯეფ თაიფ ერდოღანი

**თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის თქმით, ის არ მიიღებს ევროპის კრიტიკას თურქეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის კანონმდებელთა და ჟურნალისტთა დაკავების გამო.**

პრეზიდენტმა ეს განაცხადა მას შემდეგ, რაც თურქეთში ოპოზიციური გაზეთის — „ჯუმჰურიეთის“ 9 ჟურნალისტი დააკავეს. BBC-ის Bბი-ბისის ინფორმაციით, ჟურნალისტებს ბრალი **ფეთჰულაჰ გიულენთან** კავშირში ედებათ. გიულენს კი 2016 წლის ივლისის სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში ადანაშაულებენ. „ჯუმჰურიეტი“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვანი თურქული გამოცემებიდან, რომლებიც პრეზიდენტ **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას ინარჩუნებს. ჟურნალისტების დაკავებას წინ უძღოდა 9 პოლიტიკოსის დაპატიმრება. მათ შორის არიან ქვეყნის პროქურთული — „ხალხთა დემორატიული პარტიის“ ლიდერები. ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, რომელიც პრესის თავისუფლების ინდექსს მსოფლიოს 180 ქვეყანაში 2002 წლიდან იკვლევს, თურქეთს, 2016 წლის მონაცემებით, 151-ე ადგილს ანიჭებს. გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთში 37 000-მდე ადამიანი დააკავეს.

„არ მაღელვებს, ისინი დიქტატორს მიწოდებენ თუ რაღაც სხვას, ერთ ყურში შევუშვებ და მეორიდან გამოვუშვებ. მნიშვნელოვანია, რას დამიძახებს ჩემი ხალხი. დასავლეთს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ თურქეთს აიძულებენ, იცხოვროს მათი წესებით. ისეთი მეთოდების გამოყენების შედეგად, როგორიცაა გაზეთებისა და კარიკატურისტების მიერ ჩემთვის დიქტატორის წოდება და ა.შ. ელიან, რომ თურქეთი უკან დაიხევს. მათ ამის მოლოდინი არ უნდა ჰქონდეთ. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის მათი ეს ტაქტიკა“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.



ფეთჰულაჰ გიულენი

ერდოღანის თქმით, თურქეთი ებრძვის ტერორიზმს და ევროპა მას ამ ბრძოლაში სათანადოდ არ ეხმარება. გარდა ამისა, მან ევროპა დაადანაშაულა ტერორიზმის, კერძოდ კი, ქურთების მშრომელთა პარტიის, მხარდაჭერაში.

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაძაბულობა „23-ე ბიუროს“ გარშემო თვეების განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ ადგილობრივი მუშების მდგომარეობით მხოლოდ პროფკავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის ცალკეული წარმომადგენლები ინტერესდებოდნენ და მათ რეალურად არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ. საბოლოოდ, ჩინელმა მენეჯერებმა, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას პატრონი საერთოდ არ ჰყავს და მას შეიძლება ბლაგვი თუ ბასრი საგნების გამოყენებით გაუსწორდნენ.**

# დამარცხებული ქვეყნის გამარჯვებული პოლიტიკოსები

**არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა. მმართველ პარტიაში თანამდებობებს ინაწილებენ, ოპოზიციაში ძალთა გადაჯგუფებას ცდილობენ. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საახალწლო არდადეგებამდე ქართულ პოლიტიკაში განსაკუთრებული არაფერი მოხდება, თუმცა პოსტსაარჩევნო პერიოდში დაშვებული თითქოს უმნიშვნელო შეცდომები, როგორც ხელისუფლებას, ისე მის ოპონენტებს მომავალში შეიძლება ძვირი დაუჯდეთ.**



**თუ საზოგადოება აღიქვამს პარლამენტის ახალ თავმჯდომარეს, მხოლოდ როგორც ივანიშვილის მარიონეტს და ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესების დამცველს, ეს ხელისუფლებას პრობლემებს შეუქმნის. თუმცა მთლიანობაში, «ახალი სახეების» დაწინაურება ლოგიკურად გამოიყურება, რადგან მალე «ქართული ოცნება» ისეთივე პრობლემის წინაშე დადგება, როგორიც ჰქონდა «მოქალაქეთა კავშირსა» და «ნაციონალური მოძრაობას» მეორე საპარლამენტო ოთხწლედის მიწურულს, როდესაც უკმაყოფილება დაგროვდა და ამომრჩეველთა უმრავლესობამ ზურგი შეაქცია**



## „ნაცმოძრაობა“ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ

7 ნოემბერს, თითქმის წელიწადნახევრიანი წარუმატებელი მოღვაწეობის შემდეგ, **მიხეილ სააკაშვილი** იძულებული შეიქნა, ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტი დაეტოვებინა. როგორც ცნობილია, უკრაინის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება „ოდესის საპორტო ქარხნის“ პრივატიზების საკითხზე, რომლის ფარგლებში სააკაშვილს შეიძლება უკრაინის სს კოდექსის 364-ე მუხლით (თანამდებობის ბოროტად გამოყენება) ბრალი წაუყენონ. სააკაშვილის საეჭვო საქმიანობაზე პროკურატურას განცხადებით ოთხმა უკრაინელმა პარლამენტარმა მიმართა. გენპროკურორის მოადგილე **ნაზარ ხოლოდნიცკის** თქმით, მისი უწყება ამ საქმეზე სხვა მასალებსაც ფლობს.

გასულ კვირას სააკაშვილმა სერიოზული დარტყმა მიიღო საქართველოშიც თანაპარტიელებისგან.

4 ნოემბერს გავრცელდა თბილისის ყოფილი მერის — **გიგი უგულავას** მიმართვა, რომელმაც საპატიმროდან თანაპარტიელებს მოუწოდა, „ნაცმოძრაობის“ ახალი თავმჯდომარე (და პოლიტსაბჭო) აირჩიონ. ამჟამად ეს ადგილი ვაკანტურია, იგულისხმება, რომ პარტიას მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობს, რომელსაც მოქალაქეობის უქონლობის გამო ფორმალურად არ შეუძლია თავმჯდომარე იყოს. უგულავამ პარტიას, ფაქტობრივად, ძველი ბელადისგან დისტანცირება, ხოლო თვითონ სააკაშვილს „იდეური მამის“, ერთგვარი „ერთიანი ნაციონალური კარლ მარქსის“ როლით დაკმაყოფილება ურჩია. რეაქცია უგულავას ამ მოწოდებაზე არაერთგვაროვანი იყო. სააკაშვილის ერთგულმა კადრებმა არაერთი საპასუხო განცხადება გააკეთეს, რომელთა მოკლე შინაარსი, პრინციპში, ერთ მოკლე ფორმულამდე დაიყვანება — „მიშა ღმერთია“, თუმცა ე.წ. ბოკერიას ჯგუფმა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მიმართ პატივისცემა გამოხატა, უგულავას წინადადება გაიზიარა.

უგულავას წერილმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, ისევე, როგორც 2012-ში, მარცხის მიზეზებს ტაქტიკურ შეცდომებსა და მოწინააღმდეგის ეფექტიან პიარსვლებში ეძებენ, იქნება ეს სკანდალური ვიდეოფირების ჩვენება ოთხი წლის წინათ, სააკაშვილის განცხადებები ზღვის გადაცურვაზე ან პარტიის მიერ პრემიერის კანდიდატურის არდასახელება სექტემბერ-ოქტომბერში. ეს, ალბათ, ლოგიკურია, რადგან მათ, როგორც ჩანს, არ ჰყოფნით ნებისყოფა, რომ სტრატეგიული შეცდომები გააანალიზონ, რეპრესიული რეჟიმის შექმნა იქნება თუ ქვეყნის ომში ჩათრევა. თუმცა აქ საინტერესოა სხვა რამ – ნაციონალების ნაწილს სურს, სააკაშვილი განზე გასწიოს, მაგრამ ისე, რომ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი არ დაეცეს, რადგან მხარდამჭერების უდიდესი ნაწილის მობილიზებას სწორედ სააკაშვილი უზრუნველყოფს.

სააკაშვილი პოლიტსაბჭოსა და თავმჯდომარის არჩევას დათანხმდა (სხვა გამოსავალი რეალურად არ ჰქონდა). ამასთანავე, მრავალათასიანი ყრილობის გამართვის წინადადებით გამოვიდა, რომელზეც, სავარაუდოდ, გაცილებით დიდი გავლენის მოხდენა მას შეეძლება, ვიდრე ბოკერიას ჯგუფს. პარტიის ლიდერები, ალბათ, შეეცდებიან, შიგა არჩევნები უკიდურესად მნიშვნელოვან მოვლენად წარმოაჩინონ, რათა შეუმდგარი რევანშის გამო გულნატკენი მომხრეები კვლავ დააინტერესონ და პარტიის გარშემო შეკრიბონ.

მართალია, ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ დიდი ხანია, ბოკერიამ სააკაშვილს პარტიის მართვის რეალური ბერკეტები წაართვა, მაგრამ ოდესის ყოფილი გუბერნატორი „ნაცმოძრაობაზე“ ზემოქმედების საშუალებებს მაინც ინარჩუნებს. ასე რომ, ამჟამად პარტიაში ერთგვარი ორხელისუფლებიანობაა, რომელიც შედეგიანი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას მკვეთრად ზღუდავს.

დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ხელს უშლიან, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან სჭირდებიან ერთმანეთს და ამ პარადოქსული გარემოების გააზრება, სავარაუდოდ, მიიყვანს „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს მოჩვენებით კონსენსუსამდე, კონფლიქტი და ინტრიგები კი გაგრძელდება, რომლებიც უარყოფითად აისახება როგორც პარტიის რეიტინგზე, ისე მის კამპანიაზე ადგილობრივი არჩევნების პერიოდში.

## ივანიშვილის „ახალგაზრდა გვარდია“

ჯერ კიდევ არჩევნებამდე ცხადი იყო, რომ ივანიშვილი შეეცდებოდა, ავანსცენაზე ე.წ. ახალი სახეები გამოეყვანა, პარლამენტში პოსტების განაწილებამ ეს მოსაზრება დაადასტურა. პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** გახდება. ის ივანიშვილის ერთ-ერთი ერთგული კადრია და გამოკვეთილი საიმიჯო პრობლემები არ აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს სხვა პრობლემა, რომელიც პოლიტიკური როლის შეცვლას უკავშირდება. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და (განსაკუთრებით) პარლამენტის თავმჯდომარე დისტანცირებული უნდა იყვნენ ვიწროპარტიული სიმპათიებისგან და ფრაქციების დაპირისპირებისას გარეგნულად მაინც ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. სხვაგვარმა ქცევამ, აშკარა მიკერძოებამ მმართველ პარტიას შეიძლება სერიოზული ზიანი მოუტანოს. კობახიძე ბოლო პერიოდში „ქართული ოცნების“ ოპონენტებთან ხშირად კამათობდა და 100%-ით კორექტული ყოველთვის როდი იყო.

თუ საზოგადოება აღიქვამს პარლამენტის ახალ თავმჯდომარეს, მხოლოდ როგორც ივანიშვილის მარიონეტს და ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესების დამცველს, ეს ხელისუფლებას პრობლემებს შეუქმნის. თუმცა მთლიანობაში, „ახალი სახეების“ დაწინაურება ლოგიკურად გამოიყურება, რადგან მალე „ქართული ოცნება“ ისეთივე პრობლემის წინაშე დადგება, როგორიც ჰქონდა „მოქალაქეთა კავშირსა“ და „ნაციონალური მოძრაობას“ მეორე საპარლამენტო ოთხწლედის მიწურულს, როდესაც უკმაყოფილება დაგროვდა და ამომრჩეველთა უმრავლესობამ ზურგი შეაქცია. პარტიას, სულ ცოტა, რებრენდინგი მაინც დასჭირდება და, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მის წიაღში „რეფორმატორთა გუნდი“ გამოიჩეკება, რომელსაც მომავალ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი ლოკომოტივის როლს მიანიჭებს. ამ კონტექსტში „ახალი სახეების“ დაწინაურებამ შეიძლება გაგვახსენოს „ახალგაზრდა რეფორმატორების“ სტარტი 1990-იანებში — შევარდნაძის აშკარა კეთილგანწყობის პირობებში. მართალია, ეს მხოლოდ გარეგნული მსგავსებაა, მაგრამ კითხვა — რატომ ნიშნავენ ამ ახალგაზრდებს საკვანძო თანამდებობებზე? — დღეს ისევე, როგორც იმხანად, პასუხგაუცემელია.

## რას გვერჩის ჩინეთის 23-ე ბიურო?

სანამ პოლიტიკოსები საპარლამენტო თუ პარტიულ თანამდებობებს ინაწილებდნენ, ხარაგაულის რიონის სოფელ ზვარეში ფრიად საგანგაშო ინციდენტი მოხდა. „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის“ ცნობით, 3 ნოემბერს „შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ზვარეს ობიექტის ადმინისტრაცია, ტყიდან გამოსულ ორ ადგილობრივ მცხოვრებს არმატურებისა და სხვა რკინის კონსტრუქციების გამოყენებით სასტიკად გაუსწორდა. ენის ბარიერისა და კომუნიკაციის არარსებობის გამო, ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ გლეხებს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ კუთვნილი შეშა მიჰქონდათ სახლში. ინციდენტს ადგილზე შეესწრო ზვარეს ობიექტზე დასაქმებული სამი მუშა, რომლებმაც სიტუაციის განმუხტვა სცადეს, მაგრამ კომპანიის ათობით წარმომადგენლებმა არც ადგილობრივი დასაქმებულები დაინდეს და უმოწყალოდ სცემეს. მუშებმა პოლიცია გამოიძახეს. სიტუაცია დროებით განიმუხტა. ხუთი დაზარალებული კი ხარაგაულის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დილით, სამუშაო ცვლის დაწყებამდე, დასაქმებულები სიტუაციაში გარკვევას ითხოვდნენ, როცა მათ კომპანიის წარმომადგენლებმა ალყა შემოარტყეს და რკინის კონსტრუქციების გამოყენებით დასაქმებულებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. მუშებმა თავს გაქცევით უშველეს. დასაქმებულების მხრიდან დილის ინციდენტში დაშავდა კიდევ ორი მუშა, რომლებიც ასევე გადაყვანილნი არიან საავადმყოფოში“.

მოგვიანებით შსს-მ ჩინეთის სამი მოქალაქე დააკავა. „გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საქართველოს 4 მოქალაქეს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენეს. სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 118-ე მუხლით)“, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში, თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი ირწმუნება, რომ არც საგნები იყო ბლაგვი და არც დაზიანებები ნაკლებად მძიმე.

„ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლებამ შემოიყვანა და კონტრაქტი მასთან 2011 წლის 12 აგვისტოს გააფორმა. პრობლემებმა თავი მალევე იჩინა — სოფელ ქვიშხეთის მცხოვრებთა მტკიცებით, კომპანია სამუშაოებს ნორმების დარღვევით აწარმოებდა, რის გამოც მათი სახლები სერიოზულად დაზიანდა. საგულისხმოა, რომ „საქართველოს რკინიგზამ“ მაშინ კონფლიქტისგან დისტანცირება არჩია და უკმაყოფილოებს ურჩია, კონტრაქტორი ფირმისთვის მიემართა.

„23 ბიურო“ საზოგადოების ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა 2016 ოქტომბერში, როდესაც მუშებმა გაფიცვა დააანონსეს და უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და რიგი სხვა მოთხოვნების შესრულების აუცილებლობაზე მიუთითეს. გასულ კვირას კი მოხდა შეტაკება, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ხელისუფლება პროცესებში მხოლოდ მაშინ ჩაერია, როდესაც კომპანიის ხელმძღვანელობა აშკარა ძალადობაზე გადავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მედიასაშუალებების ზედაპირული მონიტორინგიც კი ცხადყოფს — დაძაბულობა „23-ე ბიუროს“ გარშემო თვეების განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ ადგილობრივი მუშების მდგომარეობით მხოლოდ პროფკავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის ცალკეული წარმომადგენლები ინტერესდებოდნენ და მათ რეალურად არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ. საბოლოოდ, ჩინელმა მენეჯერებმა, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას პატრონი საერთოდ არ ჰყავს და მას შეიძლება ბლაგვი თუ ბასრი საგნების გამოყენებით გაუსწორდნენ.

ხელისუფლება მშრომელთა უფლებების დაცვის მთავარი გარანტორია. ეს აქსიომაა და, თუ მთავრობა ან რკინიგზის ხელმძღვანელობა პრობლემურ სიტუაციაში ბუჩქებში დაიმალება, რათა უცხოელ პარტნიორებს არ აწყენინოს, ის ყოველთვის მიიღებს მსგავს ინციდენტს, რომელიც მის რეიტინგს მიწასთან გაასწორებს. ამას შეიძლება მოჰყვეს რადიკალური ნაციონალიზმის აღზევება, რომელიც სამოქალაქო მშვიდობას საქართველოში უდიდეს საფრთხეს შეუქმნის. კონფლიქტი სოფელ ზვარეში არჩევნების შემდეგ ხელისუფლებისთვის პირველ გამოცდად იქცა და ნაკლებად სავარაუდოა, წარსულში დაშვებულმა შეცდომებმა მისი ჩაბარების შესაძლებლობა მისცეს.

**ლუკა ნემსაძე**

**საკაშვილის რეჟიმის რადიკალური მოწინააღმდეგეები ყოფილი მაღალჩინოსნებისა და რიგითი ზონდერების დაუყოვნებლივ დასჯას მოითხოვენ. უნდა აღინიშნოს, რომ არც პერუში, არც ჩილეში ასეთი პირების გასამართლება მყისიერად არ მომხდარა – მთავარი სასამართლო პროცესები დიქტატურის დემონტაჟიდან 10-15 ან სულაც 20-25 წლის შემდეგ დაიწყო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ აღადგინეს სამართლიანობა ჩილესა და არგენტინაში

**ჩილეში რეზონანსული სასამართლო პროცესი დაიწყო. განსასჯელთა სკამზე 120 ძალოვანია — პინოჩეტის მმართველობის წლებში ისინი რეჟიმისთვის არასასურველ პირებს იტაცებდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაცნობა, რომელიც ჩილესა და სხვა ქვეყნებში მსგავს საქმეებზე დაგროვდა, რათა სააკაშვილის ხელქვეითების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება შეძლოს.**





## სამართალი ურმით მოდის

**სააკაშვილის** რეჟიმის რადიკალური მოწინააღმდეგეები ყოფილი მაღალჩინოსნებისა და რიგითი ზონდერების დაუყოვნებლივ დასჯას მოითხოვენ. უნდა აღინიშნოს, რომ არც პერუში, არც ჩილეში ასეთი პირების გასამართლება მყისიერად არ მომხდარა – მთავარი სასამართლო პროცესები დიქტატურის დემონტაჟიდან 10-15 ან სულაც 20-25 წლის შემდეგ დაიწყო. გამონაკლისს არც არგენტინა წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ხუნტის ხელმძღვანელები მალევე გაასამართლეს. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტმა **რაულ ალფონსინმა** გენერალიტეტთან საიდუმლო შეთანხმება დადო და დაჰპირდა, რომ რამდენიმე მაღალჩინოსნის გასამართლების შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა. დემოკრატიულ ძალებს ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ იმისთვის, რომ სასამართლო პროცესები გაგრძელებულიყო, მათი უმრავლესობა რეჟიმის განადგურებიდან 15-17 წლის შემდეგ ჩატარდა.

საქართველო, ამ მხრივ, არა ჩილესა და პერუს, არამედ არგენტინას ჰგავს — ორი მინისტრი **(მერაბიშვილი და ახალაია)** და რამდენიმე ათეული მაღალჩინოსანი საკმაოდ სწრაფად გაასამართლეს, მაგრამ შემდეგ პროცესი შეფერხდა. სააკაშვილის რეჟიმის აქტიური ოპონენტები ვარაუდობენ, რომ ეს სწორედ ფარული გარიგების გამო მოხდა, ოღონდ მეორე სუბიექტის როლში ამ შემთხვევაში გამოვიდა არა სამხედრო ელიტა, არამედ „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობა, რომელსაც ზურგს აშშ-ის საელჩო უმაგრებდა. იმისთვის, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ პროცესი გაგრძელდეს, როგორც ეს არგენტინაში მოხდა, საჭიროა დემოკრატიული ძალების გააქტიურება.

ჩილეში პინოჩეტის მმართველობის წლებში 100 ათას მოსახლეზე 461 პატიმარი მოდიოდა. სააკაშვილის საქართველოში მათი რაოდენობა 400-დან 600-მდე მერყეობდა. არგენტინულ დიქტატურას 100 ათას მოსახლეზე სულ 93 პატიმარი ჰყავდა, თუმცა ის ოპონენტებს ხშირად გასამართლების გარეშე უსწორდებოდა. ექსპერტთა შეფასებით, იქ იურიდიული პროცედურების გვერდის ავლით 20-30 ათასი ადამიანი მოკლეს და „გააქრეს“, ჩილეში — 3000-5000, საქართველოში ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ექსპერტები, როგორც წესი, რამდენიმე ასეულ ადამიანზე საუბრობენ. არგენტინაში **ვიდელას** მმართველობის წლებში 350 პოლიტპატიმარი იყო, ჩილეში — 6000, საქართველოში პოლიტპატიმრის სტატუსი 190 ადამიანს მიენიჭა. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონიც არ არის, ჩილეს მოსახლეობა კი 17 მილიონს აღემატება, არგენტინის — 40 მილიონს. ამგვარად, რეპრესიების მასშტაბით სააკაშვილის რეჟიმი გაცილებით ახლოს დგას XX საუკუნის ყველაზე სასტიკ დიქტატურებთან, ვიდრე **ალბერტო ფუხიმორის** ჰიბრიდულ რეჟიმთან პერუში, რომელიც, ცხადია, ასევე არ იყო უცოდველი (ციფრები აღებულია ესპანელი პოლიტოლოგის — **პალომა აგილარის** მონოგრაფიიდან, მან სხვადასხვა წყაროში მოყვანილი მონაცემები შეაჯერა).

## ვის აძლევს ხელს ჯალათების ამნისტირება?

საქართველოს ჩამოთვლილი ქვეყნებისგან ორი რამ განასხვავებს — ჩვენ არ მიგვიღია ისეთი კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც ყოფილ მაღალჩინოსნებს გასამართლებისგან გარანტირებულად დაიცავდა და არ შეგვიქმნია „სამართლიანობის დადგენის კომისია“, არადა, მისი მუშაობა ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფდა. ამ მხრივ, საქართველო, ერთი შეხედვით, ევროპული და არა ლათინურ ამერიკულ-აფრიკული იურიდიული ტრადიციის ჩარჩოებში დარჩა, კანონის უზენაესობის უპირობო პრიორიტეტითა და დამნაშავეთა აუცილებელი დასჯით, თუმცა რეალობაში სამართლიანობის აღდგენა, ისივე, როგორც არგენტინასა და (ნაწილობრივ) ჩილეში, ფარული გარიგებების საგნად და პოლიტიკური კონიუნქტურის მძევლად იქცა.

ამ ორ ქვეყანაში ძველმა რეჟიმებმა წინასწარ იზრუნეს იმაზე, რომ მათი მსახურები სამართლებრივი დევნისგან დაცულნი ყოფილიყვნენ და ამისთვის საგანგებო კანონები მიიღეს. სააკაშვილს ეს არ გაუკეთებია, როგორც ჩანს, მას ვერ წარმოედგინა, რომ ოდესმე ხელისუფლებას დაკარგავდა ან კიდევ იცოდა, რომ გაიქცეოდა, ხოლო თანაგუნდელების ბედი ნაკლებად ანაღვლებდა. საინტერესოა, რომ ჩილესა და არგენტინაში დროთა განმავლობაში მოხერხდა შემაკავებელი ბარიერების გადალახვა და ამნისტიის კანონის გაუქმება. შემზღუდავმა ნორმებმა თითქმის 100%-ით მხოლოდ ორ ქვეყანაში იმუშავა — ესპანეთში **ფრანკოს** გარდაცვალების შემდეგ და ბოლივიაში. სხვა ქვეყნების მაგალითი კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნას ვერანაირი ფორმალური ბარიერი ვერ შეაფერხებს.

აქ შეიძლება გაჩნდეს კიდევ ერთი კითხვა — ვინ გაასამართლებს ყოფილ მაღალჩინოსნებს და მოახერხებენ ამას ძველ რეჟიმთან დაკავშირებული მოსამართლეები? **პალომა აგილარი** იყენებს ტერმინს — „დემოკრატიზაციის პერიოდის გარდამავალი მართლმსაჯულება“, რომლითაც აღწერს სიტუაციას, როდესაც მოვლენათა განვითარება კრიტიკულად დამოკიდებული ხდება, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პროცესზე და, მეორე მხრივ, მოსამართლეთა კორპუსის პოზიციაზე. მარტივად რომ ვთქვათ, „მურუსიძის ფენომენი“ არც ერთი ნახსენები ქვეყნისთვის უცხო არ არის.

## მურუსიძეებო, ყველა ქვეყნისა...

არგენტინასა და ჩილეში მოსამართლეების მჭიდრო თანამშრომლობას ძველ რეჟიმთან მკაფიო პოლიტიკური და, მით უმეტეს, სამართლებრივი შეფასება არ მიეცა. სხვაობა ამ ორ ქვეყანას შორის არის ის, რომ ვიდელა, პინოჩეტთან შედარებით, მოსამართლეებს უფრო იშვიათად იყენებდა, ხოლო დემოკრატიის აღდგენის შემდეგ არგენტინის სასამართლო სისტემის ზედა ეშელონებში ნაწილობრივი საკადრო წმენდა ჩატარდა. ჩილეში სასამართლო რეპრესიული მანქანის განუყოფელ ნაწილს წამოადგენდა (დაახლოებით ისე, როგორც საქართველოში) და პოლიტოლოგ **ენტონი პერეირას** შეფასებით, „პოლიტიკური ლიდერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება ჰქონდეთ იმის იმედი, რომ სასამართლო სისტემა სათანადოდ გაიწმინდება იმ მოსამართლეებისგან, რომელნიც მჩაგვრელებთან თანამშრომლობდნენ“. საბოლოოდ, მათი დიდი ნაწილი, ისევე, როგორც საქართველოში, მივიდა ფორმულამდე „თანამშრომლობა ხელშეუხებლობის სანაცვლოდ“.

მხოლოდ 2011 წლის აპრილში, დიქტატურის დემონტაჟიდან თითქმის 30 წლის შემდეგ, არგენტინის სასამართლო საბჭო (საქართველოს იუსტიციის საბჭოს ერთგვარი ანალოგი) მივიდა დასკვნამდე, რომ „შესატანია სიცხადე იმაში, რა როლს ასრულებდნენ მოსამართლეები სახელმწიფო ტერორიზმში“, ხოლო გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც დიქტატურისდროინდელი დანაშაულების სასწრაფო გამოძიებას უზრუნველყოფს. როგორც ვხედავთ, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას სამი ათწლეული(!) დასჭირდა.

**საინტერესო ფაქტი:** ახლახან გერმანიის იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა მოხსენება ყოფილი ნაცისტების გავლენაზე სისტემაში. აღმოჩნდა, რომ 1957 წელს იუსტიციის სამინისტროს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების 77% ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრი იყო – მეტი, ვიდრე ჰიტლერის მმართველობის წლებში. საზოგადოდ კი, გფრ-ის შექმნიდან 1970-იანების დასაწყისამდე 170 მაღალჩინოსნიდან 90 ყოფილი ნაცისტი გახლდათ, მათ შორის იყვნენ მოსამართლეებიც, რომელნიც ერთგულად ემსახურებოდნენ ჰიტლერის რეჟიმს და სასიკვდილო განაჩენები გამოჰქონდათ.

ჩილეს სასამართლო სისტემაში კი ეტაპობრივი, ევოლუციური ცვლილებები მოხდა. სამართლის ექსპერტის — **კეიტ კოლინზის** შეფასებით, „სასამართლო სისტემა თანდათან შეიცვალა, გაიზარდა მისი მგრძნობელობა დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნის მიმართ“. აქედან გამომდინარე, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამართლიანობის აღდგენის მუდმივ მოთხოვნას ყოველთვის აქვს აზრი, მაშინც კი, როდესაც ხელისუფლება მასზე არ რეაგირებს, რადგან ის შეუმჩნევლად ცვლის ფსიქოლოგიურ ფონს საზოგადოებაში, რაც, ადრე თუ გვიან, აიძულებს ხელისუფლებას, ან ცალკე აღებულ სასამართლო სისტემას, მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს.

## მართლმსაჯულება ობობას ქსელში

პალომა აგილარი ფრანკოს დიქტატურის დახასიათებისას წერს: „რეჟიმი ცდილობდა, პოლიტიკურ რეპრესიებში საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენები ჩაეთრია, ეს თანამონაწილეთა ფართო ქსელებს ქმნიდა“. ეს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ესპანეთში ვერ ხერხდება ამნისტიის კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების მოხსნა და დამნაშავეთა მხილება, მიუხედავად იმისა, რომ ესპანელთა უმრავლესობა ემხრობა მათ დასჯას, ვინც ფრანკოს მმართველობის წლებში ადამიანის უფლებებს არღვევდა. 2008-ში „სი-ეს-აი“-ს მიერ გამოკითხულთა 48,7%-მა ამას მხარი დაუჭირა, ხოლო 26,7%-მა ეს იდეა უარყო (ეს ციფრები უცნაურად ახლოა ჩვენი საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებთან, რაც, შესაძლოა, ირიბად ადასტურებს თეორიას იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველთა 20-25% გარკვეული დროის განმავლობაში ინარჩუნებს ძველი რეჟიმის ერთგულებას, რომლისგანაც სარგებელს იღებდა). სააკაშვილიც ცდილობდა, რეპრესიების პროცესში რაც შეიძლება მეტი თანამონაწილე ჩაეთრია, „გაესვარა“, რათა რეჟიმის ფუნდამენტი გაემაგრებინა. თუმცა, ცხადია, ამ ადამიანების რაოდენობა ვერ გახდება შემაფერხებელი ფაქტორი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნისთვის, რადგან მისი უგულვებელყოფა ქვეყანას, ადრე თუ გვიან, ახალი სასტიკი რეჟიმის ჩამოყალიბებას მოუტანს.

უცხოური გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოში თითქმის იგივე ხდება, რაც მთელ რიგ ქვეყნებში, განსხვავება მხოლოდ ცალკეულ, სპეციფიკურ დეტალებშია. მთავარი გაკვეთილი კი, სავარაუდოდ, არის ის, რომ რეპრესიის მსხვერპლთა ოჯახებისა და სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლა ხელისუფლებაზე ყოველთვის გამარჯვებით სრულდება და ის იძულებულია, ძველი რეჟიმის დამნაშავე მსახურები დასაჯოს — გადამწყვეტი მნიშვნელობა ასეთ სიტუაციაში მონდომებასა და ნებისყოფას ენიჭება.

დასასრულ — 120 ძალოვნის პროცესის დაწყების პარალელურად, ჩილედან კიდევ ერთი საგულისხმო ინფორმაცია მოვიდა: მოსამართლე **მანუელ ვალდერამამ** დაადგინა, რომ აუგუსტო პინოჩეტის საიდუმლო ანგარიშებზე უცხოეთში 26 მილიონამდე დოლარი ინახება, რომელთაგან 20-ს ლეგალური წარმომავლობა ვერ ექნება. საუბარია დიქტატორზე, რომელსაც ზოგიერთი თაყვანისმცემელი პატრიოსნების ეტალონად წარმოაჩენს. საინტერესოა, მუშაობენ თუ არა ქართველი სამართალდამცავები მიხეილ სააკაშვილის საიდუმლო ანგარიშების დადგენაზე.

**ჩილეში პინოჩეტის მმართველობის წლებში 100 ათას მოსახლეზე 461 პატიმარი მოდიოდა. სააკაშვილის საქართველოში მათი რაოდენობა 400-დან 600-მდე მერყეობდა. არგენტინულ დიქტატურას 100 ათას მოსახლეზე სულ 93 პატიმარი ჰყავდა, თუმცა ის ოპონენტებს ხშირად გასამართლების გარეშე უსწორდებოდა. ექსპერტთა შეფასებით, იქ იურიდიული პროცედურების გვერდის ავლით 20-30 ათასი ადამიანი მოკლეს და „გააქრეს“, ჩილეში — 3000-5000, საქართველოში ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ექსპერტები, როგორც წესი, რამდენიმე ასეულ ადამიანზე საუბრობენ**

**ლუკა ნემსაძე**

ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქვთ თუ არა ამ ადამიანებს რაიმე პრინციპები? — სავარაუდოდ, არა, რადგან ისინი ყველაფერზე წავლენ, ოღონდ თბილ სკამზე ისხდნენ. საზოგადოდ, გამარჯვებულის ნავში ჩასახტომად საქართველოში ყოველთვის გრძელი რიგი იდგა. ასე იყო კომუნისტების პერიოდში, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, შევარდნაძის კარზე, სააკაშვილის რეჟიმისას, ივანიშვილის მოსვლისთანავე... სავარაუდოდ, მის შემდეგაც ასე იქნება.**

# პაატა შინ არ ვარგოდაო, «ოცნებაში» გარგოდაო

**ახალ „ოცნებასა“ და, შესაბამისად, ახალ პარლამენტში „ლონდონში ნასწავლ“ სხვა ბევრ პირთან ერთად თამარ ჩუგოშვილიცაა წარმოდგენილი. პრემიერმა ირაკლი კვირიკაშვილმა წარდგენისას იგი ასე დაახასიათა: „მას იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც გამოცდილ იურისტსა და შეუპოვარ უფლებადამცველს“. ეს „შეუპოვარი უფლებადამცველი“ 2011 წლის 26 მაისის ღამეს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის რანგში აცხადებდა: „იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეები მერიის შეტყობინების ვადის ამოწურვის შემდეგ არ დაიშლებიან, პოლიციას მათი დაშლის სამართლებრივი საფუძველი ექნება“.**



„ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში მოხვედრის შემდეგ **თამარ ჩუგოშვილი,** ოღონდ ამჯერად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში პრემიერმინისტრის თანაშემწის რანგში, თავს იკატუნებდა: „დარბევის უფლება — ასეთი რამ არ არსებობს. დარბევის, ძალის გამოყენების, ადამიანების დასისხლიანების, ასეთი მასიურად დაკავების, მერე წამების და ა.შ. ასეთი რამე ბუნებაში არ არსებობს. შესაბამისად, ეს არც მე არ მითქვამს და არავის არ უთქვამს აბსოლუტურად, რომ დარბევა შეეძლოთ განახორციელონ. ეს იყო კრიმინალი — ის, რაც მოხდა, რა ზომის და რა ფორმაც გამოიყენა სახელმწიფომ, ეს იყო ცალსახა კანონდარღვევა და, შესაბამისად, გამოძიება რაღაც ეტაპამდე მიდის. აქციის გამართვაზე მე გავაკეთე 25 მაისს სამართლებრივი შეფასება, ამ შეფასებას ვიზიარებ დღესაც. იქვე ვთქვი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძალის გადამეტება, თუმცა ძალის გადამეტება კი არ მოახდინა, სახელმწიფომ ჩაიდინა ძალიან მძიმე დანაშაული და ამ დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგონ იმ პირებმა, რომელთა ბრალიც იყო“.

აი, ასე — როცა სკამი გინდა, ქოთანს ყურს, საიდანაც გინდა, იქიდან მოაბამ!

„ახალგაზრდა იურისტთა“ კიდევ ერთი კადრი — **ნინო ლომჯარია** „ოცნების“ ხელისუფლებამ არჩევნების შემდეგ გენერალური აუდიტორის პირველ მოადგილედ გაამწესა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამ სახტად დარჩენილ საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ უახლოეს მომავალში შს მინისტრად „მერაბიშვილის კაპიტანი“ **ეკა გიგაურიც** შეიძლება ვიხილოთ.

არჩევნების შემდეგ პროდასავლურობის პრეტენზიის მქონე **ალასანიას** პარტია ერთბაშად ჩამოიშალა. ალასანიამ კი გორში მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვა და პოლიტიკიდან წავიდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი აშშ-ში მიემგზავრება და გაეროში თანამდებობას დაიკავებს.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **გიორგი ვოლსკი** „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილ წევრებს: **ზურაბ აბაშიძეს, გია ცაგარეიშვილსა** და **დავით ონოფრიშვილის** დახურულ შეხვედრაზე შეხვდა.

„თავისუფალი დემოკრატების“ დატოვებიდან რამდენიმე საათში ყოფილი ლიდერების ნაწილმა მოქმედ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არ გამორიცხა და მეტიც — მზადყოფნაზე საჯაროდ, პრესასთან ისუბრა.

ამ მხრივ გამორჩეული იყო **ზურაბ აბაშიძე,** რომელმაც ხელისუფლებასთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილზე ღიად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ოპოზიციაში ყოფნის სურვილი აღარ აქვს.

„ხელისუფლებასთან ვითანამშრომლებ. მომავალი გვიჩვენებს, სად ვიქნებით და რას გავაკეთებთ. ერთ რამეს გეტყვით, რომ ვიქნები საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში. მე ოპოზიციაში ყოფნას აღარ ვაპირებ, რაიმე კონკრეტიკაზე საუბარი კი ჯერ ნაადრევია“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

თითქმის ანალოგიური პოზიცია ჰქონდა გია ცაგარეიშვილსაც, რომელმაც პარტიის დატოვების შემდეგ პოლიტიკაში დარჩენა გადაწყვიტა. სამომავლო გეგმებზე საუბრისგან ის ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა აღნიშნა, რომ მმართველ გუნდში მას ბევრი მეგობარი და თანამოაზრე ჰყავს.

**ვიქტორ დოლიძე** კიდევ ერთი ყოფილი „თავისუფალი დემოკრატია“, რომელიც უმრავლესობასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს. მისი განცხადებით, იგი დროებით დასვენებას აპირებს და ხელისუფლებისგან არანაირი კონკრეტული შემოთავაზება არ მიუღია, თუმცა სამომავლოდ არაფერს გამორიცხავს. პარტიის დატოვების შემდეგ საზოგადოებაში აქტიურად საუბრობენ ვიქტორ დოლიძის ევროინტეგრაციის მინისტრის პოსტზე დანიშვნაზე.

**აქვთ თუ არა ამ ადამიანებს რაიმე პრინციპები? — სავარაუდოდ, არა, რადგან ისინი ყველაფერზე მზად არიან, ოღონდ თბილ სკამზე ისხდნენ. საზოგადოდ, გამარჯვებულის ნავში ჩასახტომად საქართველოში ყოველთვის გრძელი რიგი იდგა. ასე იყო კომუნისტების პერიოდში, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, შევარდნაძის კარზე, სააკაშვილის რეჟიმისას, ივანიშვილის მოსვლისთანავე... სავარაუდოდ, მის შემდეგაც ასე იქნება.**

კიდევ ერთი მაგალითი: აწ უკვე ყოფილი რესპუბლიკელი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** ხელისუფლების მხრიდან წამოსული წინადადებებისთვის მზად არის და აცხადებს, რომ მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს თანამშრომლობა ისეთ ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან, როგორიც „ქართული ოცნებაა“.

## უძაღლო ქვეყანაში კატები ყეფენ

ზაქარეიშვილმა პარტიიდან წასვლის მიზეზებზე ილაპარაკა: „უსუფაშვილი ყოველთვის ცდილობდა, გაენეიტრალებინა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ სიტუაცია. მე ვცდილობ, აფხაზებთან და ოსებთან გავანეიტრალო სიტუაცია და რაღაცები გამომდის, მაგრამ მე ვერ გამომივიდოდა ეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ იმიტომ, რომ, როცა ხედავ, რომ აფხაზს რაღაც ინტერესები გააჩნია, შეგვიძლია, ჩაუჯდე მას ინტერესში და შემოატრიალო საშენოდ, მაგრამ მე ვერ ვხედავ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ინტერესებს. უსუფაშვილი ხედავდა და ცდილობდა, მათთან საერთო ენის გამონახვას“.

**რა გამოსდიოდა ზაქარეიშვილს, ვის შეურიგდა და როგორ მოატრიალა აფხაზები „საჩვენოდ“, დედამიწის ზურგზე არავინ იცის თვითონ ზაქარეიშვილის გარდა. სამაგიეროდ, ყველამ იცის, რომ რესპუბლიკელ „ექსპერტებს“ ერთი დღე არ უცხოვრიათ მსუყე გრანტის გარეშე და სწორედ ბიძინა ივანიშვილის უკიდეგანო დამსახურებაა ის, რომ ერთპროცენტიან პარტიას ოთხი წელი ამართვინა ქვეყანა.**

ამიტომაც მიიჩნევს პაატა ზაქარეიშვილი, რომ რესპუბლიკური პარტია ბოლომდე ხელისუფლებაში უნდა ყოფილიყო. მისი სინანული ერთს შეეხება: „ბევრი წევრი რესპუბლიკური პარტიიდან ხშირად გარედან უფრო ხალისით აკრიტიკებდა „ქართულ ოცნებას“, ვიდრე ამას აკეთებდა შიგნით“.

შინ თუ გარეთ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. აგერ, **ალასანია გაეროში მიჰყავთ და „ტრენინგების“ მორიგი სერიის შემდეგ, შეიძლება, კვლავ აქ გამოგზავნონ და ენ-დი-აისა და აი-რა-ის კვლევებიც მოაყოლონ, რომელთა თანახმადაც, ალასანიას რეიტინგი ყველას გადაასწრებს! თუმცა სალომე ზურაბიშვილმა უკვე გაიარა ეს გზა, მაგრამ პარლამენტში მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით შეძლო შესვლა.**

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ალასანია „კაბელების საქმეს“ გაექცა ამერიკაში, რადგან ამ საქმეზე დაკავებულებს უთქვამთ, მრავალმილიონიანი კონტრაქტები მინისტრის გარეშე ვერ განხორციელდებოდაო. თუ ეს პირები გამოძიებასთან ითანამშრომლებენ და საპროცესო გარიგებაზე წავლენ, შესაძლოა, ალასანიამ გაეროს სავარძელი ციხის ნარებზე გაცვალოს.

მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატებისა“ და რესპუბლიკელების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება ახირებაში რომ არ ჩამეთვალოს, ახლა სხვებსაც გადავხედოთ. **ლალი მოროშკინამ** ბოლო ორ თვეში ორი საარჩევნო სუბიექტი გამოიცვალა. ვნახოთ, რას ამბობდა ის, როცა **თამაზ მეჭიაურის** გუნდში იყო: „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი მაჟორიტარი დეპუტატები საქართველოს შეურაცხყოფაა. სიაში თამარ ჩუგოშვილის არსებობა ჩვენი პირდაპირი შეურაცხყოფაა. ეს ქალი 2011 წლის 26 მაისს ამერიკის ელჩთან ერთად დაკავებული იყო სიტუაციის „გაპრავებით“. მას შემდეგ სისხლიან 26 მაისს ჩაატარეს აღლუმი და ეს ქალბატონი იყო ამ ყველაფრის შემოქმედი. სია, რომელიც თამარ ჩუგოშვილით იწყება, ჩემთვის უკვე არ არსებობს... ჩვენ „ოცნების“ ნაცვლად გაურკვეველი ორიენტაციის საშუალო სქესის წარმონაქმნი მივიღეთ“.

აი რას ამბობდა ორი თვის შემდეგ ლალი მოროშკინა, როცა „პატრიოტთა ალიანსიდან“ იყარა კენჭი: „ჩემთვის ძალიან რთულია პოლიტიკურ ჩარჩოებში ყოფნა. დათოც და ირმაც ჩემი ძალიან ახლო მეგობრები არიან და მინდა, რომ, თუ „პატრიოტთა ალიანსში“ ვასრულებ ყოფნის პერიოდს, ეს ძალიან ლამაზად გაკეთდეს. ჩემი მეგობრებისგან მაქვს გარკვეული შემოთავაზებები, უბრალოდ, ჯერ არ მაქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული. ვფიქრობ, სად გავაგრძელო. კიდევ მაქვს საინტერესო წინადადება, რომელსაც ჯერჯერობით სიურპრიზად დავტოვებ. მმართველ გუნდთან მუდმივად ვთანამშრომლობ, ამიტომ „ოცნების“ გუნდი არის მაინც ჩემი გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, ვთვლიდი ყოველთვის, რომ ერთ-ერთი მათგანი ვარ. ყველა სასიკეთო საქმეს, რომელსაც წამოიწყებს მმართველი გუნდი, მათ გვერდით ვიქნები. აღმასრულებელი ხელისუფლებიდანაც მაქვს შემოთავაზება“.

**ცნობისთვის:** მოროშკინამ ეს დითირამბები იმ „გაურკვეველი ორიენტაციის საშუალო სქესის წარმონაქმნს“ უძღვნა, რომელზეც დღეს ამბობს, „ერთ-ერთი მათგანი ვარო“!

**ესეც იმავე სკამის, ქოთნისა და ყურის ამბავია, სხვა არაფერი.**

„პატრიოტთა ალიანსზე“ ნუღარ შევჩერდებით, რომელმაც სკამის ამბავი პირში წყლის ჩაგუბებითა და დაანონსებული აქციების არგამართვით დაადასტურა. ღირდა კი ამად ექვსიოდე მანდატი? მაგრამ ექვსი მანდატი ექვსი სკამია და თანაც, ძალიან, ძალიან თბილი!

**ახლა ყური, საიდანაც გინდათ, იქიდან გამოაბით!**

ამასობაში ოდესიდან ამბავი გვამცნეს — **მიხეილ სააკაშვილი** პოსტიდან გადამდგარა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ინფორმაციამ გაჟონა, რომ პრეზიდენტი **პოროშენკო** მას მოხსნას უპირებდა, მაგრამ მიხეილს უთხოვია, 8 ოქტომბრის არჩევნებამდე მადროვე და მერე თვითონ წავალო. ახლაც ამბობენ, რომ პოროშენკომ საკუთარი ბრძანებით გაათავისუფლა სააკაშვილი, მაგრამ მან დაასწრო და პრესის წინაშე განაცხადა:

„გადავწყვიტე, გადავდგე და ბრძოლის ახალი ეტაპი დავიწყო. ხელებს არ ჩამოვუშვებ, არ დავიღლები. ვიბრძოლებ საბოლოო გამარჯვებამდე, რათა უკრაინა გავათავისუფლო კორუფციისგან, რომელიც ჩვენი ჯარისკაცების სისხლზეა კაპიტალიზებული, მაიდნის მსხვერპლთა სისხლზე. მათ უღალატეს უკრაინის რევოლუციას და ერთადერთი მოტივაცია აქვთ – ამოივსონ ჯიბეები, გააძლიერონ კლანები და საბოლოოდ გაძარცვონ უკრაინა“.

**ესეც სკამის, ქოთნისა და ყურის ამბავია.**

სააკაშვილამდე ოდესის პოლიციის უფროსი **გია ლორთქიფანიძე** გადადგა, კიდევ უფრო ადრე კი — შს მინისტრის პირველი მოადგილე **ეკა ზღულაძე.** „კორუფციასთან მებრძოლ“ ქალბატონს აეროპორტში მილიონ დოლარამდე ნაღდი ფული უპოვეს.

მაინც, **რა აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანს?**

თანამდებობისა და ფულის გამო ისინი ყველაფერზე არიან ხელის მომწერნი. როგორ მოიქცევიან კრიტიკულ სიტუაციაში?

**სააკაშვილი უკვე ნანახი გვყავს პირში ჰალსტუხით და მიწაზე მფორთხავი. დანარჩენები, სავარაუდოდ, იმავეს თუ არა, სულ ცოტა, წასვლის შესახებ განაცხადებენ და თბილ სავარძელს, აქ თუ ვერა, სადმე ოკეანის გაღმა მაინც მიაგნებენ. საქართველო მათთვის სამშობლო არ არის, მხოლოდ საშოვარისა და სკამის ჩასადგმელი ადგილია.**

ჰოდა, ერთ-ერთი მათგანის არ იყოს, ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?

**თამარ დავითულიანი**

**რა გამოსდიოდა ზაქარეიშვილს, ვის შეურიგდა და როგორ მოატრიალა აფხაზები «საჩვენოდ», დედამიწის ზურგზე არავინ იცის, თვითონ ზაქარეიშვილის გარდა. სამაგიეროდ, ყველამ იცის, რომ რესპუბლიკელ «ექსპერტებს» ერთი დღე არ უცხოვრიათ მსუყე გრანტის გარეშე და სწორედ ბიძინა ივანიშვილის უკიდეგანო დამსახურებაა ის, რომ ერთპროცენტიან პარტიას ოთხი წელი ამართვინა ქვეყანა!**

**დიდი ხანია, ქართველმა საზოგადოებამ იცის, ყველა ზემოჩამოთვლილ მაღალ თანამდებობას ვინ დაიკავებს. ამას ხომ 25 წელიწადი აშშ-ის ელჩები წყვეტდნენ და წყვეტენ „სტრატეგიული მოკავშირე“ და „მეგობარი“ საქართველოსთვის „რჩევების“ მიცემით. დღეს იან კელის „რჩევით“ ბიძინა ივანიშვილი „ურჩევს“ „ქართულ ოცნებას“ და ისიც მორჩილი უმრავლესობით აღასრულებს მამა-მარჩენალის „რჩევას“. იან კელის კაცი ბიძინა ივანიშვილია, ბიძინას კაცი — „ქართული ოცნება“, ჰოდა, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟის, გვანჯ აფაქიძის, არ იყოს, „კაცის კაცი რა კაცია?“**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართული ოცნების» წევრებს მოვუწოდებ

**ხომ გინახავთ ცხენი, რომელსაც დოლის მიმდინარეობისას მხედველობის არე შეზღუდული აქვს სპეციალური საშუალებით, გვერდზე რომ არ გაიხედოს, რათა რამემ ან ვინმემ არ დააფრთხოს, და მხოლოდ წინ იყურება, ფინიშისკენ? აი, ასეთ მხედველობაშეზღუდულ ცხენს მაგონებს ჩვენი უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობამოპოვებული „ქართული ოცნების“ პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლებაც. ისინიც მხოლოდ „წინ იყურებიან“ — ნატო-ევროკავშირისკენ, თითქოს სხვა მხრიდან (გვერდებიდან თუ უკნიდან) არანაირი საფრთხე არ ემუქრება ჩვენს ქვეყანას და დასავლეთიდან მიღებული ვაზელინის ახალი დიდი „გრანტის“ ფონზე, ფინია ძაღლივით უკანა თათებზე შემდგარნი ელოდებიან, როდის გვაჩუქებს ევროპა უვიზო მიმოსვლას, როდის გვაღირსებს ნატო (წაიკითხე — აშშ) ე.წ. მაპს და ა.შ.**



თამარ ჩუგოშვილი და ნინო ლომჯარია

სხვა მხრივ, ვიმეორებ, ჰგონიათ (ან თავს იტყუებენ), რომ ყველაფერი რიგზეა, ფინიშის სწორზე არიან და მხოლოდ იმაზე მსჯელობენ, ვინ იქნება პრემიერი, ვინ — პარლამენტის სპიკერი, ვინ — პროკურორი, ვინ — მინისტრი და ა.შ.

მგონი, ბრიყვებად გვთვლიან, რადგან ქართველმა საზოგადოებამ, დიდი ხანია, იცის, ყველა ზემოჩამოთვლილ მაღალ თანამდებობას ვინ დაიკავებს. ამას ხომ, 25 წელიწადია, აშშ-ის ელჩები წყვეტდნენ და წყვეტენ „სტრატეგიული მოკავშირე“ და „მეგობარი“ საქართველოსთვის „რჩევების“ მიცემით. დღეს **იან კელის** „რჩევით“ (წაიკითხე — ბრძანებით) **ბიძინა ივანიშვილი** „ურჩევს“ (უბრძანებს) „ქართულ ოცნებას“ და ისიც მორჩილი უმრავლესობით აღასრულებს მამა-მარჩენალის „რჩევას“. იან კელის კაცი ბიძინა ივანიშვილია, ბიძინას კაცი — „ქართული ოცნება“. ჰოდა, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟის, გვანჯ აფაქიძის, არ იყოს, „კაცის კაცი რა კაცია?“

აქედან გამომდინარე, კონკრეტულ გვარ-სახელებს პიროვნებებისა, რომლებიც დაიკავებენ ამა თუ იმ თანამდებობას, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყველანი ერთად თუ ცალ-ცალკე ივანიშვილის (წაიკითხე — აშშ-ის) „რჩევებით“ იმოქმედებენ.

რა გაეწყობა, **მომდევნო 4 წელიწადი ამ „კაცის კაცებს“ უნდა ვუყუროთ, მაგრამ მოითმენს კიდევ 4 წელიწადს საქართველო, თუკი ახლა მაინც არ ინება „ქართულმა ოცნებამ“ 2012-ში გაცემული დაპირებების შესრულება?**

დიახ, თუ არ ინება, რადგან ახლა თავიანთ უნიათობას ვეღარ დააბრალებენ კოაბიტაციას. **„ქართულ ოცნებას“ ხალხმა კონსტიტუციური უმრავლესობა უბოძა და დაპირებების ასრულებას — სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებასა და „ნაცმოძრაობისთვის“ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვას, სააკაშვილის თამადობით, ქართველთა სისხლში ხელგასვრილი მკვლელებისა და სადისტი მწამებლების დასჯას, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენასა და ამით სოხუმ-ცხინვალის მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმას — მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება და სხვა არაფერი. ინებებს, გაბედავს კი ამას „კაცის კაცების“ პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება?**

ახალი პარლამენტი ჯერ არ შეკრებილა, მაგრამ ზევით მოხსენიებული ერთი ასეთი „რჩევის“ შედეგი აშკარაა — **ნინო ლომჯარია,** აშშ-ის ერთ-ერთი ფავორიტი, ასო „სამართლიანი არჩევნების“ ყოფილი ხელმძღვანელი უკვე დაინიშნა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობაზე — გენერალური აუდიტორის პირველ მოადგილედ.

ეს ის ქართველთმოძულე, ყოველივე ტრადიციულისა და მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგე ქალბატონია, რომლის საქმიანობასაც, ისევე, როგორც მისი კოლეგისა და მსგავსი თვისებებით შემკული **ეკა გიგაურის** „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ საქმიანობას, თვით ბიძინა ივანიშვილმა უწოდა ანტისახელმწიფოებრივი, როდესაც ეს მას დასჭირდა.

რატომ, „სადოური“ წესია ეს? ასინეთასი არ იყოს, „სადაური წესია და აქაური წესია!“ — მამა-მარჩენალს ასე სჭირდებოდა და იმიტომ...

**ამ ოდიოზური ქალბატონის, ნინო ლომჯარიას, დაწინაურებას დავუმატოთ არანაკლებ ოდიოზური თამარ ჩუგოშვილის ასო-დან „ქართულ ოცნებაში“ პორტირება, უცხოეთში „ნასტავლი“ ახალგაზრდა ნეოლიბერალი ე.წ. ახალი სახეებით მეოცნებეთა „გამდიდრება“ და მიხვდებით, რომელი ფინიშის სწორზე გავიდა „ქართული ოცნება“, საით მიაქანებს ბიძინა ივანიშვილის მარიონეტული ხელისუფლება ქვეყანას და რისთვის გამოიყენებს საკონსტიტუციო უმრავლესობას.**

**ამ ოდიოზური ქალბატონის, ნინო ლომჯარიას, დაწინაურებას დავუმატოთ არანაკლებ ოდიოზური თამარ ჩუგოშვილის ასო-დან «ქართულ ოცნებაში» პორტირება, უცხოეთში «ნასტავლი» ახალგაზრდა ნეოლიბერალი ე.წ. ახალი სახეებით მეოცნებეთა «გამდიდრება» და მიხვდებით, რომელი ფინიშის სწორზე გავიდა «ქართული ოცნება», საით მიაქანებს ბიძინა ივანიშვილის მარიონეტული ხელისუფლება ქვეყანას და რისთვის გამოიყენებს საკონსტიტუციო უმრავლესობას**

ამ „კაცის კაცებმა“, დიდი-დიდი, კონსტიტუციაში ჩაწერონ, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც წინასაარჩევნოდ მთავარ სლოგანად აქცია „ქართულმა ოცნებამ“, რადგან პოლიტიკურ-ეკონომიკურად და იდეოლოგიურად გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ სათქმელი სხვა აღარაფერი დარჩა ქართველი ხალხისთვის.

თუმცა, შეიტანენ კი კონსტიტუციაში მეოცნებენი მათი მხრიდან ამ აშკარად პოლუ-ლისტურ განზრახვას — ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ზემოხსენებული პიროვნებები და, საზოგადოდ, დასავლეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო სექტორი, რომელიც, ფაქტობრივად, ნაცების პარლამენტის გარეთა დანამატი იყო მიშას ზეობისას და ახლაც ნაცებს ქომაგობს, საკონსტიტუციო ჩასწორების საპირწონედ, ნაცებთან ერთად, ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს ააფრიალებენ და სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციაში გასაჩივრებით ამ პროცესს გააჭიანურებენ და, აქ თუ ვერა, სტრასბურგ-ბრიუსელში იპოვიან „სამართალს“!

როგორი რეზოლუციები თუ რეკომენდაციებიც (წაიკითხე — ბრძანებები) უნდა წამოვიდეს დასავლეთიდან, ანუ ჩაიწერება თუ არა კონსტიტუციაში ის, რაც მრავალი ათასი წლის წინათ თვით მამა-ღმერთისგან არის დაკანონებული, რომ ადამისთვის ევაა გაჩენილი და არა ადამისთვის — ადამი ან ევასთვის — ევა, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინებისა და ლგბტ-პედერასტების ალლუმების დაკანონებას კონსტიტუციური გარანტიების მიუხედავადაც არ დაუშვებს ქართველი საზოგადოება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად(!).

ეს კარგად იციან „ქართულ ოცნებაშიც“ და ამიტომ ვუწოდე მათ განზრახვას პოპულისტური, თორემ ისე, ჩვენ თვალწინ მსოფლიოში მიმდინარე ტოტალური ლგბტ-ზაციის ფონზე, კონსტიტუციაში მსგავსი ჩანაწერის მომხრე, რა თქმა უნდა, მეც ვარ.

ისე, სადამდე მიიყვანა აშშ-მა **(გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან ლოს-ანჯელესში დაიწყო გეიმოძრაობა, რომელმაც, დღეს უკვე ლგბტ-სექტად ქცეულმა, პრაქტიკულად, წალეკა კათოლიკურ-ქრისტიანული დასავლეთ ევროპა და ახლა თვალი ჩვენ, მართლმადიდებელ ერებს, დაგვადგეს, რათა ჩვენც ჩაგვითრიონ სოდომიის მიუტევებელი ცოდვის დაკანონებაში)** მსოფლიო, რომ ვაპირებთ, კონსტიტუციაში ჩავწეროთ ელემენტარული ჭეშმარიტება „ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირი“.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, **„ქართული ოცნების“ წევრებს მოვუწოდებ: თავი დაანებეთ უაზრო პოპულიზმს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას უთქვენოდაც არ დაუშვებს ქართველი ერი, ცხრა ხელმწიფემ ბრძანოს თუნდაც. თუ პოლიტიკური ნება გაქვთ, სხვა რაღაცებისთვის გამოიყენეთ!**

**მომდევნო 4 წელიწადი ამ «კაცის კაცებს» უნდა ვუყუროთ, მაგრამ მოითმენს კიდევ 4 წელიწადს საქართველო, თუკი ახლა მაინც არ ინება «ქართულმა ოცნებამ» 2012-ში გაცემული დაპირებების შესრულება?**

მაგალითად:

*** სასწრაფოდ დააბრუნეთ პარლამენტი საქართველოს დედაქალაქში;**

***ყურით გამოათრიეთ ავლაბრის რეზიდენციიდან არარაობა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია;**

* შექმენით საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიძიებს გიგა ბოკერიას სისხლიან წვლილს „ნაცმოძრაობის“ მიერ ინსპირირებული ე.წ. ციხის ბუნტის ჩახშობაში და მის „მოღვაწეობას“ უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე ფინანსების არამიზნობრივად განკარგვის კუთხით.

დეპუტატის იმუნიტეტი იცავს? რა პრობლემაა, მოუხსენით და, თუ დამნაშავეა, გვერდით მიუსვით თქვენი მეგობარი ევროპის მიერ პოლიტპატიმრებად შერაცხილ ახალაია-მერაბიშვილ-უგულავას;

*** პროკურატურამ სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება სვანეთის ამაოხრებელი და გვამების ფონზე კუზდარის მთქვლეფი გიორგი ბარამიძის მიმართ და ისიც ხსენებულ „პოლიტპატიმრებთან“ ჩაასახლეთ საკანში;**

*** მოსპეთ, ბოლოს და ბოლოს, მონოპოლიები ენერგეტიკაში, ფარმაციაში, საბანკო სფეროში, ე.წ. ონლაინკრედიტები „სახლიდან გაუსვლელად ხუთ წუთში“, თანაც ყოველგვარი გირაოს გარეშე.** ყოველდღიურად ათობით ასეთი შინაარსის ეს-ემ-ეს-ს იღებენ მობილურზე თანამედროვე მევახშეებისგან გაჭირვებული ადამიანები და ისინიც ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას. ზოგს წამლის ფული არა აქვს; ზოგს, ელემენტარულად, შია, სცივა თუ სწყურია და იღებენ სესხს, მაგრამ ვახშიც არის და ვახშიც — თუ კერძო მევახშე სარგებლის სახით 5, დიდი-დიდი, 10%-ს იღებს, სახელმწიფო მევახშეები, ე.წ. ონლაინ კრედიტკომპანიები, რომელთა რაოდენობა უთვალავია თბილისში, ასეთ „ქველმოქმედებაში“ 100-ზე მეტი პროცენტის სარგებელს იღებენ. დიახ, არ შემშლია — 100 %-ს და მეტსაც!

ამ საკითხზე ივანიშვილის მთავარი ცრუდაპირება მახსენდება უფასო, ანუ უპროცენტო ფულის ან მცირე, 2-3-პროცენტიანი გრძელვადიანი კრედიტების შესახებ... თუ საბანკო სფეროში მონოპოლიას ვერ მოერია, საკუთარ „ქართუ ბანკში“ ხომ მაინც შეეძლო პროცენტის დაწევა?! მაგრამ არა, „ქართუ ბანკიც“ ისევე ყვლეფს ქართველ ხალხს, როგორც სხვა დანარჩენი...

ვნახოთ, როგორც იტყვიან, „აღდგომა და ხვალეო“ — პარლამენტის პირველივე სხდომაზე გამოჩნდება, რას და როდის აპირებთ და რისთვის გამოიყენებთ საკონსტიტუციო უმრავლესობას.

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არჩევნების წინ ივანიშვილმა „ნაციონალური მოძრაობა“ დაშალა და ნაწილი „გირჩად“ გადააქცია, რომელსაც მომავალი არ ჰქონდა; გაანადგურა ირაკლი ალასანიას პარტიაც. ყველა მათგანი არჩევნების წინ ბიძინას დედას აგინებდა, არჩევნების მეორე დღეს კი სახლებში წავიდნენ და ოპოზიციაში აღარ ვართო, — ამბობენ. ეს იმიტომ გააკეთეს, იქნებ თანამდებობები მაინც ჩავიგდოთ ხელშიო. ეს მეძაობა არ არის? ნუთუ თავმოყვარეობა არ შერჩათ, კაცობა, ადამიანობა, მართლა ყველაფერი მოსულა ამ პოლიტიკაში? ანალოგიური რამის თქმა შეიძლება რესპუბლიკელებზეც. ყველა მათგანი, ნიჭიერი თუ უნიჭო, მეძავი ყოფილა“.



# ვასილ ჭიჭინაძე: არჩევნების წინ ბიძინას აგინებდნენ, არჩევნების მერე საკუთარი პარტიებიდან გაიქცნენ — ეს მეძაობაა და არა პოლიტიკა

**საპარლამენტო არჩევნების ორივე ტური დასრულდა. პირველივე ტურის შემდეგ რამდენიმე პარტიის ლიდერმა დამარცხება აღიარა და პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა, მათ ბევრმა მიბაძა. 30 ოქტომბრის შემდეგ ქართულ პოლიტიკაში საბოლოოდ გაქრნენ ე.წ. ერთპროცენტიანი პარტიები. პოლიტოლოგები და ექსპერტები ამბობენ, რომ პოლიტიკიდან თითქოსდა წასულები თანამდებობებს ელოდებიან და ამიტომ ბიძინა ივანიშვილთან მტრობა გადაიფიქრეს. რატომ წავიდა პოლიტიკიდან ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი — ამ საკითხსა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**

**— ბატონო ვასილ, როგორ შეაფასებთ უკვე ჩავლილ არჩევნებს?**

— ვინ, ვინ და თქვენ ყველაზე კარგად იცით, რამდენს ვაკრიტიკებდი ყოფილ პრემიერ **ბიძინა ივანიშვილს**, მაგრამ ამ არჩევნების შემდეგ ვაღიარებ — გენიოსი ყოფილა. სრულად მოასუფთავა პოლიტიკური ველი, ბურთიცა და მოედანიც თავის გუნდს დაუტოვა, რითაც თავის გამამართლებელი საშუალება მოუსპო ადამიანებს, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში დივერსიაზე ლაპარაკობდნენ; თავს იმართლებდნენ, — საშუალო რგოლებში „ნაცები“ სხედან და მუშაობაში ხელს გვიშლიანო. გაწმინდა, აგრეთვე, თავისი პარტიის რიგები იმ პოლიტიკოსებისგან, რომელთა მიმართაც ხალხი ხშირად გამოხატავდა უკმაყოფილებას. ასე რომ, „ოცნებას“ არანაირი მიზეზი აღარ ექნება, გაუკეთებელი საქმე სხვას გადააბრალოს.

**ბიძინა ბევრს ლაპარაკობდა, — „შუა უნდა გაიკრიფოსო“, მაგრამ მან „შუა“ კი არ გაკრიფა, დედა უტირა ყველას და ყველაფერს — ყველა პარტია დაშალა და დასაშლელიც იყო.**

**— რატომ იყო დასაშლელი?**

— იმიტომ, რომ ყველა მეძავი ყოფილა, პოლიტიკური მეძავი.

საინტერესო სვლები გააკეთა არჩევნების წინ ივანიშვილმა. „ნაციონალური მოძრაობა“ დაშალა და ნაწილი „გირჩად“ გადააქცია, რომელსაც მომავალი არ ჰქონდა. გაანადგურა **ირაკლი ალასანიას** პარტიაც. ყველა მათგანი არჩევნების წინ ბიძინას დედას აგინებდა, არჩევნების მეორე დღეს კი სახლში წავიდნენ და ოპოზიციაში აღარ ვართო, — ამბობენ. ეს იმიტომ გააკეთეს, იქნებ თანამდებობები მაინც ჩავიგდოთ ხელშიო. ეს მეძაობა არ არის? **ნუთუ თავმოყვარეობა არ შერჩათ, კაცობა, ადამიანობა. მართლა ყველაფერი მოსულა ამ პოლიტიკაში? ანალოგიური რამის თქმა შეიძლება რესპუბლიკელებზეც. ყველა მათგანი, ნიჭიერი თუ უნიჭო, მეძავი ყოფილა. აუცილებლად უნდა ვახსენო „პატრიოტთა ალიანსიც“, ასი ათასი კაცის ქუჩაში გამოყვანას რომ აანონსებდნენ და მერე იმის შიშით, ვაითუ, პარლამენტს გარეთ დაგვტოვონო, გაჩუმდნენ, ყველას ნიღაბი ჩამოეხსნა.**

**21-ე საუკუნეში 4-მილიონიან ქვეყანას 250 პარტია რომ ჰყავს, სხვა რაზე უნდა იფიქრო, თუ არა მეძაობით ფულის შოვნის უმარტივეს გამოსავალზე. პარტია ყველას ფულის საშოვნელად უნდა. ნიჭი არ აქვთ, ბიზნესი აკეთონ, საკმარისი განათლება არ აქვთ, რომ ინტელექტუალური საქმით დაკავდნენ, ამიტომ ყველაზე მარტივი ფულის შოვნის გზა პარტიის გაკეთებაა.**

როგორც წინასაარჩევნოდ ამბობდნენ პოლიტიკოსები, თუ მართლა, სამშობლო უყვარდათ, თუ ბიძინა სძულდათ და თვლიდნენ, რომ ეს კაცი ღუპავს ქვეყანას, მაშინ რატომ არ გაერთიანდნენ და ერთობლივად არ გაუწიეს წინააღმდეგობა? **ყველამ ცალკე რატომ გადაწყვიტა ქვეყნის „გადარჩენა“? არ გაერთიანდნენ და, იცით, რატომ? იმიტომ, რომ ყველა ვერ მოხვდებოდა საპარლამენტო სიის ათეულში, არადა, პარლამენტი კარგია, იქ კარგი ხელფასია, კარგი მანქანები, პრივილეგიები და სიის პირველ რიგებში მოხვედრა აუცილებელია.**

ქმნიან კანტორებს, შეყრიან იქ „ცხვრებს“, თვითონ ლიდერს დაირქმევენ, ტელევიზიები გააპიარებენ და მორჩა, ფულიც მოდის. **საქართველოში მცხოვრები ყოველი მეოთხე ადამიანი რომელიღაც პარტიაშია. გიჟების ქვეყანა ვართ და მართლაც ასე იფიქრებს ჩვენი მომავალი თაობა. უახლეს ისტორიას რომ გადახედავენ და ნახავენ, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოში 250 პარტია მონაწილეობდა არჩევნებში, აუცილებლად იფიქრებენ, რომ მათი მამა-პაპანი გიჟები იყვნენ ან ძალიან განუვითარებლები.**

არ ვართ ნორმალური ქვეყანა, არ ვართ ქვეყანა საერთოდ. ამიტომ ბიძინამ ძალიან კარგი სვლა გააკეთა — ხალხს ყველაფერი ხელისგულზე დაუდო, დაანახვა, ვინ რისი მაქნისია, ვინ მეძავია, ვინ — გამყიდველი და ვინ — მლიქვნელი.

**— ბიძინა ივანიშვილი რომ არ იდგეს „ოცნების“ უკან, ამ პარტიას ეყოლებოდა სამ კაცზე მეტი?**

— „ოცნება“ არ იქნებოდა, საერთოდ.

ახლა „ოცნებას“ ხელის შემშლელი არავინ ჰყავს, ამიტომ ვნახოთ, რაღას მოიმიზეზებენ და ვის დააბრალებენ, თუ რაღაც რიგზე არ იქნება და ა.შ. ახლა მათ ბიძინამ ყველა საშუალება მისცა ქვეყნის სამართავად. მოიშორა უსაქმური მინისტრები, რომელთა მიმართაც ხშირად ისმოდა საყვედურები. მაგალითად, **პაატა ზაქარეიშვილი** და მისნაირები — ყველა უთავმოყვარეო, მკვდარ პოლიტიკოსად აქცია. მკვდარია ალასანია, რესპუბლიკელების უმეტესობაც...

**— ამბობენ, დაშლილი პარტიებიდან წასულ-** ▶

**რამდენიმე კვირის წინათ სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ფეიკი, რომ აშშ-მა ბელარუსს უვიზო მიმოსვლა დაუწესა. არადა, სინამდვილეში, წლების განმავლობაში ამერიკა ბელარუსს „ამერიკის უსაფრთხოების საფრთხედ განიხილავდა“ და ამ ქვეყანაში „ფერადი რევოლუციის“ მოწყობაში სოლიდურ თანხას იხდიდა.**
**2005 წელს ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობისას გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე შეხვდნენ ბელარუსის ე.წ. ოპოზიციის ლიდერს — ანატოლი ლებედკოს და დაჰპირდნენ, თუ პრეზიდენტ ლუკაშენკოს დასამხობ აქციებს დაიწყებდა, 4 მილიონი დოლარით დაეხმარებოდნენ. ეს კადრები ფრანგმა ჟურნალისტებმა გადაიღეს. „ჩე გივი“ ბელარუსის ხელისუფლების დამხობაში 4 მილიონ დოლარს იხდიდა. თარგამაძე ყბედი, ლოთი, ავანტიურისტი და კლოუნია“, — დაასკვნა რუსეთში ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, აწ გარდაცვლილმა ბორის ნემცოვმა. ამ და სხვა საინტერესო თემებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ამერიკა ცდილობს არა მხოლოდ ბელარუსის, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ხელში ჩაგდებას



**— ალექსანდრე ლუკაშენკო,** ბოლო ხუთი წელია, ამერიკისა და დასავლეთისკენ აქტიურად იმზირება. ამის შესახებ მან რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა. არადა, აღმოსავლეთ ევროპაში ბელარუსს მოიხსენიებენ, როგორც ავტორიტარულ სახელმწიფოს, ხოლო ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ეს ქვეყანა „ამერიკის უსაფრთხოების საფრთხეა“, ამერიკის ელჩი ბელარუსში არ არის, მაგრამ ამერიკელებსა და ბელარუსს შორის ურთიერთობების დათბობა მაინც დაიწყო. ამერიკის ელჩი ბელარუსიდან დიდი ხნის გაწვეულია, გაწვეულია ევროკავშირში შემავალი ბევრი ქვეყნის ელჩიც, რომელთა დაბრუნებაც ნელ-ნელა იწყება.

**ლუკაშენკოს ევროპასთან ურთიერთობების აღდგენა ერთადერთი რამისთვის სურს — იყოს დამაკავშირებელი ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის. სწორედ ამ მიზნით ცდილობს ურთიერთობების მოგვარებას, მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსის მაღალჩინოსნებსა და თვით ლუკაშენკოსაც ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში შესვლა აკრძალული აქვთ.**

2015 წელს ლუკაშენკომ ამერიკაში წარმომადგენლები გაგზავნა — სამხედროები. ამის შესახებ არაფერი იცოდა მოსკოვმა. ბელარუსი სამხედროები ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ და მოლაპარაკება მთელ რიგ საკითხებზე გამართეს, ერთ-ერთი იყო სამხედრო თანამშრომლობა. ამ შეხვედრას უმალ მოჰყვა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ვიზიტი ბელარუსში, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ორი ქვეყანა ატაშეებს გაცვლიდა. ისაუბრეს იმაზეც, რომ ამერიკის ელჩი ბელარუსში დაბრუნდება.

**ამერიკაში ბელარუსების უვიზო მიმოსვლის შესახებ ინფორმაცია მცდარია და შორეული პერსპექტივაა.** არადა, რუსეთსა და ბელარუსს სამოკავშირეო ხელშეკრულება აქვთ დადებული — 2001 წელს გააფორმეს სამხედრო დოქტრინა საზღვრების დაცვაზე. მინსკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ პირველი მტერი ამერიკაა... ლუკაშენკოს ეს საქციელი კი ძალიან ჰგავს იმ ორჭოფულ და ორპირ დამოკიდებულებას, რომელიც **იანუკოვიჩის** უკრაინასა და მოსკოვს შორის არსებობდა, რომელიც არა მხოლოდ იანუკოვიჩისთვის არამედ, ქვეყნისთვისაც ცუდად დასრულდა. დაახლოებით იმავე ნაბიჯებს დგამს ლუკაშენკოც. **შესაძლოა, ეს მართლაც ძლიერი მმართველი ერთ მშვენიერ დღეს ხალხმა ძირს დაანარცხოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ რუსეთი ჩაერევა.**

**— „ფერადი რევოლუციის“ მოსაწყობად პარლამენტარ გივი თარგამაძის ბელარუსში ჩასვლაში ამერიკელების ხელი ერია?**

— ეს დიდი ხნის წინათ იყო, იმხანად მართლაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ლუკაშენკოს ამერიკასთან და **გივი თარგამაძის** იქ ჩასვლაც ამერიკის ინიციატივით მოხდა. ფულიც ამერიკული იყო. დიდი ხანია, ამერიკა ცდილობს არა მხოლოდ ბელარუსის, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ხელში ჩაგდებას. თუმცა სამიზნეში განსაკუთრებით ჰყავს ამოღებული ბელარუსი, უკრაინა და მოლდოვა. მიზნის მისაღწევად კი უკან არაფერზე დაიხევს.

**— ამერიკის პოზიცია გასაგებია, მაგრამ რა სარგებელს ელოდება ლუკაშენკო?**

— ბელარუსის პრეზიდენტს ამერიკისგან, უწინარესად, უნდა, რომ დიქტატორის სახელი მოუხსნან, შემდეგ შედგეს სამხედრო თანამშრომლობა, დათბეს ურთიერთობები და ქვეყანაში შევიდეს ინვესტიციები, რომლებიც საშუალებას მისცემს, პოზიციები გაიმაგროს მოკავშირე სახელმწიფოსთან — რუსეთთან.

ხშირად მოგვისმენია ასეთი ფრაზა — მოსკოვი-მინსკის დაპირისპირება. ეს, ძირითადად, ეკონომიკურ საკითხებზე ითქმის. ლუკაშენკოს სურს, რომ ბუნებრივი აირი მისთვის გაცილებით იაფი იყოს, რასაც მოსკოვში ბევრი ეთანხმება, შიშობენ, ბელარუსიც უკრაინასავით არ დაკარგონ. **აღსანიშნავია ერთი რამ: მინსკი და მოსკოვი მჭიდროდ თანამშრომლობენ. ბელარუსი არის ევრაზიული კავშირისა და დსთ-ს წევრი, მაგრამ ლუკაშენკომ დამოუკიდებლად, დაიწყო ამერიკასთან ურთიერთობა. ამაში აქამდე მოსკოვს ხელი არ შეუშლია. ამით იმის თქმა მინდა, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირი არ არის და ის ანგარიშს არ ითხოვს არავისგან, როგორც ეს საქართველოში ჰგონიათ.** ▶

„ყველა, ვისაც სტრასბურგში გვქონდა გასაჩივრებული საქმე, ჩაგვიყვანეს კარანტინში და სახელმწიფოს მოღალატეები და ჯაშუშები გვეძახეს. ათი ღამე მარტო გავატარე ე.წ. კარცერში. ვიღაც ბანგლადეშელი იჯდა საკანში და დააწერინეს, ვითომ ვაგინებდი და შეურაცხყოფდი“.

**ხანდაზმულობის ვადის გარეშე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ებს თანამდებობები უნდათო?**

— კი, უნდათ. სწორედ ამიტომ წავიდნენ პარტიებიდან და აღარ არიან ოპოზიციაში. აბა, არ დაინიშნონ, მყისვე მტრად მოეკიდებიან ხელისუფლებას და დაიწყებენ ბიძინას გინებას. მათ ფული და თანამდებობა უყვართ.

ბიძინამ ქართველების ფსიქოლოგია კარგად იცის. მან იცის, რომ ქართველს უნდა, ხელში ჭიქა ეჭიროს, ბანტიანი გიტარა და სხვამ არჩინოს. ერთხელ თქვა კიდეც, თქვენ გინდოდათ, ჩემი ფული მეხარჯაო.

არაფრის მაქნისები არ ვართ, არაფრის!

შეხედეთ, ახლა **რა ხდება ტელევიზიებში, რაზე საუბრობენ ჩვენი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები. მხოლოდ იმას განიხილავენ, ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე, ამ დროს ქვეყანა თავზე გვენგრევა, ხალხი შიმშილით კვდება, ჩინელი ქართველს ნაჯახით დასდევს მოსაკლავად, ამერიკა შავ ზღვაში შემოდის, აფხაზეთმა და რუსეთმა ერთობლივი ჯარი შექმნეს ამერიკის წინააღმდეგ და ჩვენ კი იმაზე ვსაუბრობთ, თანამდებობებს ვინ დაიკავებს.** საქართველო ფუნქციას კარგავს, შესაძლებელია, გავქრეთ საერთოდ და ამაზე არავინ ფიქრობს. ორლობის ჭორიკნებად, მეძავებად, გამყიდველებად, ლაქუცებად ჩამოყალიბდნენ ქართველი პოლიტიკოსები.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

ბელარუსი ამერიკის გარეშეც არ დაიკარგება, ლუკაშენკო, უბრალოდ, კარგ ურთიერთობებს ეძებს; როგორ გამოუვა, სხვა საქმეა, მთავარია, წითელი ხაზი არ გადალახოს. **ლუკაშენკო რისკიანი პოლიტიკოსია და თავისი ქვეყნის ინტერესებს თავგამოდებით იცავს. სურს, ინვესტიციები მოიზიდოს, ერთობლივი საწარმოები ჰქონდეს, რაც საშუალებას მისცემს, თავისი პროდუქცია უცხოურ ბაზარზე გაიტანოს. ლუკაშენკო ყოველთვის ამაზე ზრუნავდა და ეს ქართველებსაც შემოგვთავაზა.**

იმავე დასავლეთთან ურთიერთობაშიც ბელარუსი ლუკაშენკოს ხელმძღვანელობით ჩვენზე ბევრს მიაღწევს. ჩვენ ვერაფერს ვეღარ მივაღწევთ, ამერიკელებს აღარ ვაინტერესებთ, რადგან უკვე გაგვტეხეს, თავისად მივაჩნივართ. ამერიკისთვის საფიქრალი არ ვართ, ქართველი საზოგადოება გარყვნილია და მას საფრთხის შექმნა არ შეუძლია, ჩვენ სერიოზულ ნაბიჯებს ვერ გადავდგამთ. **ისეთი ფინიები ვართ, არსად არ წავალთ. ბელარუსი კი საინტერესოა, ფაქტობრივად, ევროპაა. ამერიკას, დიდი ხანია, სურს, დასავლეთიდან სამხედრო შეიარაღების რკალი შემოარტყას რუსეთს — ბალტიისპირეთიდან დაწყებული, შავი ზღვის ჩათვლით, ამ იდეის განხორციელებას ხელს ლუკაშენკო უშლის.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

# «იმის გამო, რომ «მიშა მაგარია» არ ვიმღერეთ, საკანში მყოფ ყველა პატიმარს გვცემეს»

**საზოგადოებამ საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი არნახული სისასტიკით მოპრობის შესახებ რამდენიმე წლის წინათ შეიტყო და ყოფილი ხელისუფლების მმართველობას წერტილი დაუსვა. პატიმრების წამების ფაქტებზე, მართალია, დროდადრო ვრცელდებოდა ინფორმაცია, მაგრამ მათზე რატომღაც ყველა თვალს ხუჭავდა და ყოფილი პრეზიდენტიც ამერიკელებისთვის კვლავ „დემოკრატიის შუქურად“ რჩებოდა, საერთაშორიოს საზოგადოებრიობისთვის კი — თავისუფლებისა და სამართლიანობის მედროშედ. თუმცა, როგორც ყოფილი პატიმრები ამბობენ, დამნაშავეები არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დასჯილან და არც ყოფილი პოლიტიკური პატიმრების რეაბილიტაცია განხორციელებულა. მეტიც, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების ნაწილს პოლიტიკური ამნეზია დაემართა, ვინაიდან ახლახან გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 27% მოიპოვა... იმიტომ, რომ არასოდეს დავივიწყოთ ის სისასტიკე და უკანონობა, რომელიც ახლო წარსულში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა, „საქართველო და მსოფლიომ“ დაიწყო რუბრიკა „ხანდაზმულობის ვადის გარეშე“, რომელშიც ყოფილი პოლიტპატიმრები თავიანთ ისტორიებს ყვებიან. დღეს რუბრიკის სტუმარია ყოფილი პოლიტპატიმარი, „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ფრთის მარნეულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე კაკო შუბითიძე.**



— „ნაციონალური მოძრაობის“ სისასტიკე ჩემმა ოჯახმაც იწვნია — მამა-შვილი საakაშვილის უკანონო პატიმრებად ვიქეცით. მე რომ დამიჭირეს, მშობლებს ნერვიულობის გამო დიაბეტი დაემართათ. ჯერ მამა დააპატიმრეს, შემდეგ — მე. მამა 2009 წლის აქციებში მონაწილეობის გამო დააკავეს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით. არადა, არანაირი იარაღი არ ჰქონია. რაიონში ყველა იცნობს და მის ხელში იარაღი არავის უნახავს. აქედან დაიწყო ჩვენი ოჯახის პრობლემები. მე ვმუშაობდი „გაერთიანებულ ტელეკომში“, ჯერ სამსახურიდან გამათავისუფლეს, შემდეგ ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვა-მოხმარების ბრალდებით გამასამართლეს. მოგეხსენებათ, **სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება მათთვის მიუღებელი ადამიანების თავიდან მოშორების ყველაზე იოლი საშუალება იყო.**

ვინაიდან „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ვიყავი, საპროტესტო აქციებში აქტიურად ვმონაწილეობდი, **დაპატიმრებამდე გამუდმებით მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ, უშიშროების თანამშრომელიც მოგვიგზავნეს მე და ჩემს ახლობლებს, მაფრთხილებდნენ, არ წავსულიყავი საპროტესტო აქციებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზულ პრობლემებს შემიქმნიდნენ, ხოლო, თუ დავუჯერებდი, რაიონის გამგეობაში სამსახურს მპირდებოდნენ. რა თქმა უნდა, არ დავემორჩილე.**

2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევისას გადავრჩი, ვერ დამიჭირეს, მაგრამ ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 26 ივნისს, დამაპატიმრეს. ქალი მომიგზავნეს, მირეკავდა, თითქოს მარნეულის რაიონის კულტურის სახლისთვის ჩემი დახმარება სჭირდებოდა. შეხვედრისას კი სასმელში ნარკოტიკული საშუალება ჩამიყარა. თავი ცუდად რომ ვიგრძენი, შევეცადე, მალე წავსულიყავი. ამ ქალმა მთხოვა, სასტუმროში დამაბინავეო, როცა ავუღე ნომერი, მოულოდნელად მითხრა, თბილისში წასვლა გადავწყვიტე, შენ კი დარჩიო. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული სცენარი იყო — ერჩივნათ, სასტუმროში დავეკავებინეთ უხმაუროდ. სწორედ სასტუმროში მოვწიე იმ გოგოს მოწოდებული სიგარეტი, რომელშიც მარიხუანა იყო შერეული. სასტუმროდან რომ გამოვედი, დავინახე, რომ ადგილობრივი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები მანქანებით მომყვებოდნენ. ჩემთან მოვიდა პოლიციის თანამშრომელი **ივანე ხახვიაშვილი**, რომელიც შემდგომ ერთადერთი მოწმე აღმოჩნდა ჩემს საქმეში, და იარაღი დამადო შუბლზე. ეს ხახვიაშვილი მოგვიანებით ყვებოდა, თითქოს შემთხვევით დამინახა ქუჩაში და გონივრული ეჭვის საფუძველზე დამაკავა; თანაც თქვა, როდესაც დავუძახე, გაიქცაო, რაც სიცრუეა. პოლიციის თანამშრომელმა **გიორგი გელაშვილმა** კი ნარკოტიკი ჩამიდო წინდაში. როცა გავაპროტესტე, — რა გაყვირებს, ხომ იცი, როგორც ხდება, ხომ გაგაფრთხილეს, შეეშვი პოლიტიკასო?!

გადამიყვანეს თელეთში, ნარკოლოგიურში. ექსპერტიზაზე შარდის ანალიზში მარიხუანის კვალი აღმოჩნდა. ითხოვდნენ, დანაშაული მეღიარებინა, თორემ 11 წლამდე მომისჯიდნენ, მაგრამ არ დავთანხმდი, ჩხრეკის ოქმზეც არ მოვაწერე ხელი, ვინაიდან კანონის დარღვევით ჩატარდა ყველაფერი.

**— როგორი იყო ერთი ჩვეულებრივი დღე ციხეში?**

— იღება ციხის კარი და იწყება ჯოჯოხეთი. რაც უნდა ვილაპარაკო, ზუსტად ვერავინ წარმოიდგენს, რა საშინელება იყო თუნდაც ერთი დღე ციხეში. პატიმარზე გამუდმებით მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედება. მაგალითად, კარანტინში, სადაც ციხეში შესვლისას პირველად ხვდები, **16 კვადრატული მეტრის ოთახში დაახლოებით 35 კაცი იჯდა. იდგა სამი საწოლი, მაგიდა, სკამი და იქვე იყო საპირფარეშო. გაფუჭებული ონკანიდან წყალი ოთახში იღვრებოდა. ფეხზე მდგარს უნდა დაგეძინა, რადგან იატაკზე დაწოლის საშუალება არ გვქონდა. რკინის ლოგინებზე არც საბანი იყო და არც ბალიში. ან რა დაგაძინებდა, მთელი ღამე პატიმრების გოდება ისმოდა. ვცდილობდით, კართან დავმდგარიყავით, ჰაერი რომ გვესუნთქა.**

**ხშირად გვაყურებინებდნენ სხვა პატიმრის ცემასა და წამებას. მაგალითად, პატიმარს მუხლებზე დააყენებდნენ, დააშარდავდნენ, სხვა პატიმრებს კი აყურებინებდნენ და ეუბნებოდნენ, არჩევნები დასრულდება, ხომ იცით, სააკაშვილი წამსვლელი არ არის და მერე ნახავთ, რაც გელოდებათო.** ხან ერთი საკნის კარს გაალებდნენ, ხან — მეორის და რიგრიგობით გვცემდნენ, რათა სულ შიშში ვყოფილიყავით. სად გაიზარდნენ ასეთი სადისტები, არ ვიცი.

აბანოში როცა გავყავდით, **ხუთ წუთში უნდა მოგვესწრო ბანაობა. წარმოიდგინეთ, ხუთ წუთში უნდა მოგესწრო გახდა, ბანაობა და ჩაცმა. ნახევრად გასაპნულები გამოვდიოდით გარეთ. ნორმალურად დაბანის საშუალებას არ გვაძლევდნენ.**

## «პატიმარს მუხლებზე დააყენებდნენ, დააშარდავდნენ, სხვა პატიმრებს კი აყურებინებდნენ და ეუბნებოდნენ, არჩევნები დასრულდება, ხომ იცით, სააკაშვილი წამსვლელი არ არის და მერე ნახავთ, რაც გელოდებათო»

**— რის გამო შეიძლებოდა ეცემათ პატიმარი?**

— სრულიად უმიზეზოდ. მაგალითად, ერთი გადაიყვანეს სხვაგან და მისი საბანი მეორე პატიმარმა დაიფარა და ამის გამო სცემეს. გვიბრძანებდნენ, საწოლის ქვეშ შეძვერი ან დაგვიჩოქეო, დამამცირებელ რალაცებს გვეუბნებოდნენ და, როცა არ ვასრულებდით, სასტიკად გვცემდნენ. ერთხელაც შემოვიდნენ საკანში და გვიბრძანეს, გვემღერა „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია“. ვინ იმღერებდა „მიშა მაგარიას“? იმის გამო, რომ „მიშა მაგარია“ არ ვიმღერეთ, საკანში მყოფ ყველა პატიმარს გვცემეს. გვცემდნენ ყველაფრის გამო, გამარჯობის თქმის გამოც.

**ყველა, ვისაც სტრასბურგში გვქონდა გასაჩივრებული საქმე, ჩაგვიყვანეს კარანტინში და სახელმწიფოს მოღალატეები და ჯაშუშები გვეძახეს. ათი ღამე მარტო გავატარე ე.წ. კარცერში. ვიღაც ბანგლადეშელი იჯდა საკანში და დააწერინეს, ვითომ ვაგინებდი და შეურაცხყოფდი.**

**— არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თუ შემოდიოდნენ ციხეში?**

— დიახ, შემოდიოდნენ. ვუყვებოდით, რაც ხდებოდა, წავიდოდნენ და, მათთან საუბრის გამო, პატიმარს უარეს დღეში აგდებდნენ. მოგვისმენდნენ, ჩაიწერდნენ ყველაფერს ამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაგვპირდებოდნენ შესაბამის ორგანოებს, სახალხო დამცველის აპარატსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს თქვენ შესახებ გავაგებინებთო და ამით სრულდებოდა მათი დახმარება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არაფერში დაგვხმარებიან. როგორც ჩანს, თავიანთ საქმეს იკეთებდნენ, თორემ გლდანში სასაკლაო იყო — დღე არ გავიდოდა, პატიმარი არ გაესვენებინათ.

**— შესაძლებელი იყო, ხელისუფლებას არ სცოდნოდა, რაც ციხეში ხდებოდა?**

— გამორიცხულია. მოდიოდა ხოლმე სასჯელაღსრულების იმჟამინდელი მინისტრი **ხათუნა კალმახელიძე** უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად და პატიმრებს გვიბრუნებდნენ რადიოს, ნარდს, გაზეთებს, რათა მათთვის დაენახვებინათ, ასეთი მშვიდი და ბედნიერი ვითარებაა ციხეშიო.

ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, დიდი ალბათობით, ისევ ციხეში ვიქნებოდით. მადლობა ამისთვის ხელისუფლებას, მაგრამ ვთხოვ, დაიწყოს საქმეების გამოძიება და ყველა დამნაშავე დაისაჯოს. **ერთხელ და სამუდამოდ აღდგეს სამართლიანობა.** კრიმინალებს რომ გვეძახის „ნაციონალური მოძრაობა“, გამოიძიონ ჩვენი საქმეები, რათა საზოგადოებამ შეიტყოს, მართლა კრიმინალები ვართ თუ პოლიტპატიმრები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი მაქვს, არ გაუუქმებიათ 2-ათასლარიანი ჯარიმა და მთელი რიგი აკრძალვებისა, მაგალითად, საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება დღემდე არ მაქვს.

ყველა ადამიანის გვარი ვიცი, ვინც ჩემს საქმეში ფიგურირებდა, დაისაჯონ ეს ადამიანები. ცრუ მოწმე ივანე ხახვიაშვილი დღესაც მუშაობს ძალოვან სტრუქტურებში. მარნეულის პროკურორი **ლევან ლაზარიშვილი**, ჩემი, მამაჩემის და ყველა იმ ადამიანის საქმეში მონაწილეობდა, რომლებიც იმხანად მარნეულში უკანონოდ გაასამართლეს, მაგრამ **ლაზარიშვილი** დააწინაურეს. **გიორგი გელაშვილს**, რომელმაც ნარკოტიკი ჩამიდო, როგორც ჩანს, პატრონი გამოუჩნდა, აღადგინეს სამსახურში და დღესაც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობს. გამომძიებელი **ვახტანგ ჩარკვიანი**, ერთ-ერთი პოლიციის განყოფილების უფროსია. სამართლიანობის აღდგენას ვითხოვ, მეტს არაფერს. ჩემი საქმე სტრასბურგშია გასაჩივრებული და პასუხს ველოდები. საქართველოში კი ჩემი საქმის გამოძიება არ იწყება. ვფიქრობ, ხელისუფლებას არ სურს პოლიტპატიმრების საქმეების გამოძიება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოში პირველი ერთნაირსქესიანთა ქორწინება უკვე შედგა საქართველოს პარლამენტში და ეს ერთნაირსქესიანი წყვილი „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობაა“, ხოლო „დაპირისპირება“ მათ შორის ჩვეულებრივი „ცოლქმრული“ ჩხუბია, რომელიც, ცნობილი ანდაზის თანახმად, მხოლოდ ბრიყვს თუ ეგონება მართალი.**

# ერთნაირსქესიანთა ქორწინება საქართველოს პარლამენტში

**ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“, რომელიც უკვე ისე არახალია, რომ პოლიტიკაში მოსვლაც მოასწრო და წასვლაც, კვლავ ყურადღების ცენტრში ყოფნას ლამობს და ქართული სნობურ-უინტელექტო ელექტრონული თუ ბეჭდური მედიის პირობებში, გამოსდის კიდეც.**




პაატა ბურჭულაძის საარჩევნო კოალიციაში შესვლა-გამოსვლის შემდეგ „გირჩის“ ლიდერებმა განაცხადეს — კლასიკური პოლიტიკიდან გავდივართ და სრულიად ახლებური ტიპის, სოციალურ ქსელებზე ორიენტირებული, შეიძლება ითქვას, ფეისბუქ-პარტია ვხდებითო.

ჯერჯერობით ვერავინ ჩაწვდა, რას ნიშნავს „ფეიქსბუქ-პარტია“ და რით შეიძლება ის განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი პარტიისგან. ალბათ, ამას „გირჩი“ თავისი მოქმედებით მომავალში დაგვანახვებს. **ვერ გეტყვით, რამდენად არის კავშირში ყოველივე ეს „ფეისბუქ-პარტიობასთან“, მაგრამ ასეთად საკუთარი თავის გამოცხადების შემდეგ, პირველი ნაბიჯი, რომელიც „გირჩმა“ გადადგა, ერთნაირსქესიანთა ქორწინების ოფიციალურად, კანონიერად დაშვების მხარდაჭერაა.**

ანუ, **„გირჩის“ ლიდერებმა მედიის საშუალებით განაცხადეს, რომ „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობამ ვერ უნდა გაბედოს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა იმის შესახებ, რომ ქორწინება მხოლოდ და მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია და არ შეიძლება ოჯახი დაერქვას მამაკაცისა და მამაკაცის ან ქალისა და ქალის კავშირს.**

მკითხველი, ალბათ, ამას ელოდება, მაგრამ მინდა, იმედი გაგიცრუოთ, რომ ამ წერილის მიზანი არ არის მსჯელობა უშუალოდ ამ საკითხზე. მე მსურს, უბრალოდ, ამ ანალოგიით, არა ერთნაირსქესიანი ადამიანების, არამედ ერთნაირსქესიანი პოლიტიკური პარტიების შესახებ ვიმსჯელო.

ნუ გაგიკვირდებათ! **განა შეუძლებელია, „ერთნაირსქესიანი“ ვუწოდოთ დღევანდელი საქართველოს თუნდაც ორ ყველაზე დიდ პოლიტიკურ გაერთიანებას — „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“?**

**თუ ამას ეწინააღმდეგებით, დამისახელეთ მათ შორის განსხვავება რომელიმე ორიენტაციაში — გინდა საგარეოში და გინდა საშინაოში. დამისახელეთ განსხვავება თუნდაც მათ დამოკიდებულებაში „სხვა სქესის“ ქვეყნებთან — მაგალითად, თურქეთთან!**

წესით, ყველას უნდა გახსოვდეთ, ვინ „განგვანათლა“ პირველად ამ ათიოდე წლის წინათ, რომ ოსმალეთის იმპერიის პირდაპირი მემკვიდრე თურქეთი, ჩვენი, ანუ საქართველოს „მრავალსაუკუნოვანი ძმა და მეგობარია“! რა თქმა უნდა, ეს ჩვენი „ექსტრავაგანტური,“ „ხუნტრუცა“ და მუდამ „განსხვავებული“ პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** გახლდათ.

ისიც ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მისი ასეთი უგუნური განცხადების შემდეგ, მთელი 7 თუ 8 წელიწადი, მიშას მოწინააღმდეგეთა სხვა უამრავ არგუმენტს შორის ეს უპირველესი და უმთავრესი არგუმენტი იყო და მას ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე — კაცი რომ იტყვის, თურქეთთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებსო, ასეთ კაცს რაღა უნდა ელაპარაკო?!

მიშას არაერთმა კრიტიკოსმა მაშინ ეს მის „არაორდინარულობას“ „ექსტრავაგანტურობასა“ და „ხუნტრუცა“ ხასიათს მიაწერა და იყო მოსაზრებები, რომ საქართველოს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას აუცილებლად სჭირდება დინჯი, გაწონასწორებული, მშვიდი და ჭკუადამჯდარი ლიდერი და ასეთი პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი არავითარ შემთხვევაში აღარ იტყვის მსგავს სირეგვნესო.

როგორც მეზღაპრეები იტყვიან ხოლმე, გამოხდა ხანი და ჩვენს ქვეყანას ეღირსა სწორედ ასეთი ლიდერი. **გიორგი კვირიკაშვილის** გარშემო წარმოებული „პიარი“ სწორედ ამ მიმართულებისა იყო — **„ჩვენი გაწონასწორებული პრემიერი“, „ჩვენი დინჯი და ჭკუადამჯდარი ლიდერი“...**

მაგრამ, ისევ მეზღაპრეების ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ჰოი, საოცრებავ, და — **„თურქ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა საუკუნეებს ითვლის“ — ზუსტად ასე განაცხადა თურქეთის საელჩოში გამართულ მიღებაზე ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა, ანუ „გაწონასწორებულმა“ სიტყვასიტყვით გაიმეორა „ესქსტრავაგანტურის“ ნათქვამი ისე, რომ შუბლზე ძარღვიც კი არ შეტოკებია.**

რა ვქნათ ახლა? იქნებ როგორმე დავრწმუნდეთ, რომ „ექსტრავაგანტურობასა“ და „გაწონასწორებულობაში“ არ ყოფილა საქმე, ანუ არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტული ლიდერის ფსიქოემოციურ მახასიათებელს და პრობლემა გაცილებით უფრო ღრმა და მტკივნეულია?

**არა? მაინც გვინდა, მთელი ეს სიშტერე რამენაირად „გავაპარავოთ“?**

კი, ბატონო, **თუ გნებავთ, დაიჯერეთ, რომ ოსმალთა და ქართველთა ურყევი ძმობა და მტკიცე მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. ბოლოს და ბოლოს, როდესაც ერის ორი ამხელა ლიდერი, თანაც „ექსტრავაგანტურიცა“ და „გაწონასწორებულიც“, გეუბნება, — „ჩაიდანი“ ხარო, ერსაც სხვა რაღა დაგვრჩენია და ბოლი უნდა ამოვუშვათ, ხო?!**

განსაკუთრებით სავალალო და კომიკურია იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც ადრე მიშა სააკაშვილს ასეთი გამონათქვამის გამო განსაკუთრებული სისასტიკით ლანძღავდნენ, ხოლო ახლა, „ოცნების“ ფრთის ქვეშ შეყუჟულებს, აღარ სურთ გიორგი კვირიკაშვილის ლანძღვა და ისე „საყვარლად“ უძებნიან მის ამ გამონათქვამს რაღაც სულელურ გამართლებას, პირდაპირ აგეტირება კაცს...

მაშ, აბა, ახლა თქვენ თვითონ ბრძანეთ — **არის რაიმე „სქესობრივი“ განსხვავება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის?**

ჰო, მართლა, ამ ერთნაირსქესიანთა ახალ „მწყემსად“ რომ მოგვევლინა, აი, იმ კაცზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა, ისე როგორ შეიძლება?!

ზუსტად ისევე, როგორც დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ ახალ პრემიერმინისტრს, **გიორგი კობახიძესაც**, პარლამენტის თავმჯდომარედ დასახელებისთანავე, მსწრაფლ გამოუჩნდნენ მეხოტბეები. თუკი გიორგი კვირიკაშვილის „საპიარო“ მთავარი სიტყვა იყო **„გაწონასწორებული“,** პარლამენტის ახალი თავმჯდომარის „საპიარო“ მთავარი სიტყვაა **„ნიჭიერი“.** სიმართლე ითქვას, **ეს თიკუნი ქართულ პოლიტიკაში ახალი არ არის და სხვაც ბევრი გვინახავს „ნიჭიერი ვარსკვლავბიჭუნა“, რომელსაც საბოლოოდ ხალხის დიდი ზიზღით დაუმთავრებია თავისი „მოღვაწეობა“.**

დიაგნოზის წინასწარ დასმის პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ სოციალურ ქსელებში უკვე ატეხილი სრულიად ულოგიკო აჟიოტაჟი ამ ახალი „ვარსკვლავბიჭუნას“ გარშემო მაინც საოცრად გვაგონებს სხვა „ვარსკვლავბიჭუნათა“ გარშემო სხვადასხვა პერიოდში ატეხილ აჟიოტაჟებს.

**„აი, ასეთი კაცი გვინდა ქართულ პოლიტიკაში! ბევრი ასეთი ნიჭიერი კაცი გვინდა და გადავრჩებით!“** — „აზიარებენ“ ირაკლი კობახიძის ფოტოებს „ფეისბუქ-მომხმარებლები“ და რატომღაც აზრად არ მოსდით, რომ კარგად ჩაუკვირდნენ ამ მორიგი „ნიჭიერის“ განვლილ გზას, მის, ასე ვთქვათ, „ბეგრაუნდს“ და დასვან კითხვა — **ის და მისი წინამორბედნიც პოლიტიკურად „ერთნაირსქესიანები“ ხომ არ არიან?**

**ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ (სოროსის ფონდი), სხვა ყველა დანარჩენი „ნიჭიერის“ მსგავსად, ყელს რომ იღერებს ირაკლი კობახიძის ბიოგრაფიაშიც — ეს უკვე ბევრ რამეზე მიანიშნებს.**

უფრო საინტერსო კი არის ის, რომ, **როცა მისი მამა, ნინო ბურჯანაძის პარტიის ყოფილი წევრი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი ვიცესპიკერი ედპ-დან, ბატონი გიორგი კობახიძე, სასტიკად სცემეს 2011 წლის 26 მაისს, ვინმემ ყური მაინც თუ მოჰკრა მისი შვილის, გიორგი კობახიძის, ხმამაღალ პროტესტს მამის არაადამიანური ცემის გამო?**

ეს ჩვენი ძალიან „წარმატებული“ ბატონი ირაკლი მაშინ არც ისე ბავშვი იყო, კაი მოწიფული, 32 წლის მამაკაცი გახლდათ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდულ ფაკულტეტზე საკმაოდ სერიოზულ თანამდებობაზეც მუშაობდა.

**რაო, კარიერის გამო მამის უმოწყალოდ ცემის „გადაყლაპვაც“ შეიძლებაო? რაო, უსამსახუროდ დარჩენის შიშით, უბრალო თანამოქალაქეების კი არა, საკუთარი მამის ცემაც კი არ უნდა გააპროტესტო „წარმატებულმა“ და „ნიჭიერმა“ ადამიანმაო?**

**ალბათ, აი ასეთი ზნეობის ადამიანები „სჭირდება“ ქართველი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ასეთი აღფრთოვანებით წერს ამ ახალ „ვარსკვლავბიჭუნაზე“ და უნდა ვაღიარო — ღირსიც ვართ!**

უარესის ღირსიც ვართ ადამიანები, რომლებმაც, თავის დროზე, პირადი კეთილდღეობაც, ოჯახის უსაფრთხოებაც, ლამის სიცოცხლეც გავწირეთ იმისათვის, რომ ძალაუფლება აი, ასეთი „წარმატებული ნიჭიერებისთვის“ ჩაგვებარებინა...

**თამარ ჩუგოშვილსა** და „ქართული ოცნების“ პირველი ოცეულის სხვა პერსონებზე აღარაფერს ვამბობ. მათ შორის ერთიც კი არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც ოდნავ რისკზე მაინც წავიდა თავის დროზე „ნაცების“ მანიაკურ რეჟიმთან ბრძოლისას.

ადამიანები, **რომლებიც გატრუნულნი იყვნენ ქვეყნისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს, დღეს, უკვე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოკალათებულნი, ჭკუას გვასწავლიან „ქვეყნის სტაბილური, მდგრადი დემოკრატიული განვითარების“ შესახებ...**

როდესაც საზოგადოების მართლა ზნეობრივი და გაბედული ნაწილი უდიდესი რისკის ფასად ცდილობდა, რეჟიმს ფეხქვეშ არ გაეთელა დემოკრატიული ღირებულებები, აი ეს ბატონები და ქალბატონები გატრუნულნი ელოდნენ, ვინ ვის სძლევდა, რათა შემდეგ მათთან ერთად გაეგრძელებინათ თავიანთი „წარმატებული“ კარიერა და არც იმაზე იტყოდნენ უარს, მანიაკებთან და კაცისმკვლელებთან ერთად თუ მოუწევდათ ამის გაკეთება...

ასეთ ფონზე, როგორ ფიქრობთ, „გირჩის“ აბსოლუტურად უადგილო გამოხდომა, „ოცნებამ“ ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვა არ უნდა შეიტანოს კონსტიტუციაშიო, ხოლო „ოცნების“ წარმომადგენელთა მედგარი წინააღმდეგობა — გინდა თუ არა კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ, ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობააო — არ ჰგავს თითიდან გამოწოვილ და ხელოვნურ „კონფლიქტს“?

„გირჩისა“ და კონკრეტულად მისი ლიდერების — ძმები **კუბლაშვილების** ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსების შესახებ ლოგიკური ეჭვები ყოველთვის არსებობდა და ვითომ საფუძველს არის მოკლებული ის მოსაზრება, რომ „ქართულ ოცნებას“, „დოლარის გაქცევისა“ და კოაბიტაციის მორიგი ტალღის ფონზე,აგრეთვე, უამრავი სხვა საჭირბოროტო პრობლემის ფონზე, ქართული ტრადიციების დიადი დამცველის იმიჯი სჭირდება და ასეთი აჟიოტაჟის შესაქმნელად „გირჩი“ წინასწარ გათვლილ „სატოპკეს“ უწევს?

სწორედ ამიტომ საჯაროდ ვამბობ, რომ **საქართველოში პირველი ერთნაირსქესიანთა ქორწინება უკვე შედგა საქართველოს პარლამენტში და ეს ერთნაირსქესიანი წყვილი „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობაა“, ხოლო „დაპირისპირება“ მათ შორის ჩვეულებრივი „ცოლქმრული“ ჩხუბია, რომელიც, ცნობილი ანდაზის თანახმად, მხოლოდ ბრიყვს თუ ეგონება მართალი...**

**ფონდი «ღია საზოგადოება საქართველო» (სოროსის ფონდი), სხვა ყველა დანარჩენი «ნიჭიერის» მსგავსად, ყელს რომ იღერებს ირაკლი კობახიძის ბიოგრაფიაშიც — ეს უკვე ბევრ რამეზე მიანიშნებს. უფრო საინტერსო კი არის ის, რომ, როცა მისი მამა, ნინო ბურჯანაძის პარტიის ყოფილი წევრი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი ვიცესპიკერი ედპ-დან, ბატონი გიორგი კობახიძე, სასტიკად რომ სცემეს 2011 წლის 26 მაისს, ვინმემ ყური მაინც თუ მოჰკრა მისი შვილის, გიორგი კობახიძის, ხმამაღალ პროტესტს მამის არაადამიანური ცემის გამო?**

**ყველაზე გამორჩეული მაინც „ნაციონალური მოძრაობის“ შესვლა იქნება პარლამენტში. კულუარებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ პარტიის წევრებს სირცხვილის დერეფანში გაატარებენ ეკა ბესელია და მანანა კობახიძე. ისინი, სცენარის მიხედვით, პარლამენტის კართან სისხლიანი დანებით დადგებიან და „ნაცმოძრაობის“ წევრებს ამ დანების ქვეშ გავლა მოუწევთ. დაგეგმილია, რომ ეკასაც და მანანასაც ნიშნისმომგები გამომეტყველება უნდა ჰქონდეთ.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღმერთკაც მიშდუს მხევალი ირინა გნომი ბიძინიუსის შელოცვის წინააღმდეგ

**ძალიან უცნაური ამბები ხდება საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, ოდესის გუბერნატორი, რომელიც 8 ოქტომბერს საქართველოში ზღვის ქვეშ გათხრილი გვირაბით აპირებდა შემოსვლას, საკუთარ სავარძელშიც ველარ დამაგრდა და უმუშევარი დარჩა.**

სანამ ეს მოხდებოდა, „მის საქართველო 90-იანების“ გამარჯვებულმა **ირინა სარიშვილმა** ქართველთბაში მილიარდერ **ბიძინა ივანიშვილს** „ქონდრისკაცი“ და „გნომი“ უწოდა. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა სამი ლოზუნგი სტყორცნა საქართველოს: „თავისუფლება“, „სწრაფი განვითარება“, „კეთილდღეობა“. ყოველივე ეს უდიდესი ბურუსითა და საიდუმლოებით არის მოცული, რადგან არც სიტყვის შეუსრულებლობაა მიხეილ სააკაშვლის სტილი, არც დაკვეთილი „შავი პიარი“ ახასიათებს ირინა სარიშვილს და არც ბიძინაა ისეთი ადამიანი, რომ ხალხი მოატყუოს და დაპირებული კეთლდღეობა არ შეუსრულოს.

რა ხდება სინამდვილეში?

აი, სწორედ ამის გარკვევას შეეცადა ჩვენი თავბრუდახვეული კორესპონდენტი და მას შემდეგ, რაც ტელეეკრანზე ოდესის გუბერნატორის კადრების ხილვისას ეჭვი შეეპარა, — ეს ნამდვილად არ არის მიხეილ სააკაშვილიო, გადაწყვიტა, ირინა სარიშვილისთვის ეთვალთვალა და სიმართლე გაერკვია.

ამ თვალთვალის შედეგები გამაოგნებელია. ირინა სარიშვილი თურმე ყოველ დილით ჯდება ორნიჩბიან პატარა კანჯოში და მიდის შავ ზღვაში მდებარე საიდუმლო კუნძულზე, სადაც იგი პირველყოფილთა რიტუალებს ატარებს იმ კლდის წინ, რომელშიც **მიშა სააკაშვილის** სახეა გამოსახული. ირინა, რომელიც კუნძულზე გადასვლის შემდეგ თავს პარასკევას უწოდებს, კლდეში არსებულ გამოსახულებას **„მიშდუ“**-თი მიმართავს და მას გნომი **ბიძინიუსის** შელოცვის წინააღმდეგ ბრძოლას ევედრება.

ჩვენი თავბრუდახვეული კორესპონდენტი თვითონ შეესწრო სასწაულს, მორიგი ასეთი რიტუალისას როგორ ამოძრავდა მიშდუს სასწაულმოქმედი გამოსახულება კლდეში და როგორ დაიძახა, — ნუ გეშინია ირინა, აგერ გვირაბში გავიჩხირე, მომეხმარე, გამომიყვანე და მალე ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ მიშდუს სახების ამოძრავების სასწაულმა მლოცველ ირინას თავზარი დასცა და მას აღარც მოუსმენია მიშდუს სიტყვებისთვის, უკანმოუხედავად ჩახტა თავის კანჯოში და შიშისგან აკანკალებულმა იქიდან მოუსვა.

როგორც ჩვენი თავბრუდახვეული კორესპონდენტი გვატყობინებს, ირინა ნაპირზე გადმოსვლის შემდეგაც არ შეჩერებულა და ხმელეთზეც შეუჩერებლად ირბინა სოლოლაკის ქედამდე, სადაც უკვე მის თავზე ცა გაიხსნა და გარკვევით გაისმა ხმა: **„თავისუფლება! სწრაფი განვითარება! კეთილდღეობა!“**. ამ სიტყვების გაგონებაზე ირინა გულწასული დაეცა თურმე და ჩვენი თავბრუდახვეული კორესპონდენტიც, იმის შიშით, რამე შარში არ გავეხვიოო, სასწრაფოდ გამოეშურა რედაქციისკენ.

რედაქციაში მისულმა, როდესაც უკვე სიტუცია გააანალიზა, ასეთი დასკვნა გამოიტანა—- როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი 7 ოქტომბრის ღამეს მართლაც დაიძრა შავი ზღვის ქვეშ გათხრილი საიდუმლო გვირაბით საქართველოსკენ, მაგრამ წინა დღეს რესტორანში უკრაინელ „ნაშებთან“ გამოსათხოვარ ვახშამზე იმდენი ჭამა, რომ ერთი ადგილი კიდევ უფრო გაუსქელდა და, გვირაბის აქეთა ბოლოში თავი რომ გამოყო, ის გასუქებული ერთი ადგილი ველარც აქეთ გამოეტია და ვეღარც უკან. ასე დარჩა მიშა კლდეში გამოხვრეტილ საიდუმლო გვირაბში გაჩხერილი.

ამ მომენტში ზღვის პირას მიშას ელოდა ირინა სარიშვილი, რომელმაც დაახლოებით იცოდა სანაპირო, სადაც უნდა ამოეყვინთა მიშას, მაგრამ არ იცოდა კლდეში გამოთხრილი გვირაბის შესახებ, ამიტომ კლდიდან მიშას სახის გამოჩენა ირინამ სასწაულად მიიჩნია და მის წინაშე ლოცვა დაიწყო. ეცადა მიშა, დაერწმუნებინა ირინა, ღვთაება კი არა, ნამდვილი მიშა ვარ და მომეხმარე, გამომიყვანეო, მაგრამ ირინას მაინც არ სჯერა მიშას მიწიერი წარმოშობისა და განაგრძობს მის წინაშე ლოცვას. მაგრამ, როგორც კი მიშა კლდეში გამოძრავდება, ირინას შიში იტანს და უკანმოუხედავად გარბის.




ამასობაში ოდესაში გუბერნატორის ასე უაზროდ გაუჩინარებას ხომ ვერ გამოაცხადებდნენ? ამიტომ, ხალხს რომ არაფერი შეემჩნია, მიშას ორეული იპოვეს, ცოტა ხანს ატარეს მის მაგივრად სამსახურში და შემდეგ უკვე საჯაროდ მოხსნეს თანამდებობიდან, რათა აღარავინ არასოდეს დაინტერსდეს, სად ჯანდაბაში წავიდა ისედაც ჯანდაბიდან მოსული ოდესის გუბერნატორი.

რაც შეეხება იმ სიტყვებს, რომლებიც სოლოლაკის გახსნილი ციდან გაისმის ხოლმე — „თავისუფლება! სწრაფი განვითარება! კეთილდღეობა!“ — დოლარის ჯერარნახული გაქცევისა და შიმშილით გონდაკარგული ადამიანების ფონზე, ფაქტია, რომ ამ სიტყვებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს და ეს სიტყვები სწორედ გნომი და ქონდრისკაცი ბიძინიუსის ჯადოსნურ შელოცვას უფრო წააგავს, რომელიც ზღაპრებში უკულმა ხდება ხოლმე.

ამაში კი, ნამდვილად არ შეიძლება პარასკევა-ირინას არ დავეთანხმოთო, — ამბობს ჩვენი თავბრუდახვეული კორესპონდენტი.

# პარლამენტის პირველი სამუშაო დღე ზეიმით დაიწყება

**გახსოვთ, ალბათ, 2012 წლის მოწვევის პარლამენტის პირველი სამუშაო დღე გამორჩეული იმითაც იყო, რომ გოგა ხაჩიძე ველოსიპედით მივიდა პარლამენტში, ხოლო ზვიად ძიძიგური, ბიძინა გუჯაბიძე და კიდევ რამდენიმე დეპუტატი მას იქ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დახვდნენ.**

ვრცელდება ინფორმაცია, რომ პირველი სამუშაო დღე ამ მხრივ 2016 წლის მოწვევის პარლამენტში კიდევ უფრო გამორჩეული იქნება.

ჩვენმა კორესპონდენტმა მოიპოვა ექსკლუზიური ინფორმაცია, ვინ რა სიურპრიზს გვიმზადებს ამ მხრივ:

ვინ რა დრესკოდით და რა სცენარის მიხედვით შევა ახალ პარლამენტში.

**მანანა კობახიძე და ეკა ბესელია** სპეციალურად ამ დღისთვის ბიძინას ნაჩუქარი საკაბეებით იკერავენ კაბებს და თეთრ ცხენებში შებმული ეტლით შეაბიჯებენ ახალი მოწვევის პარლამენტის შენობაში, კართან მათ ჩოხაში გამოწყობილი **ზვიად ძიძიგური** შეეგებება გაფხორილი სახით.

„ქართული ოცნების“ განახლებული გუნდის ახალი წევრებისთვის განსხვავებული სცენარი დაიწერა, ისინი ციდან ქოლგებით დაეშვებიან და ჟივილ-ხივილითა და წიოკ-წიოკით შეცვივდებიან პარლამენტში.

**დავით თარხან-მოურავის** გუნდს საკანონმდებლო ორგანომდე მიაცილებენ მისი წინაპრები — მეფეები, დედოფლები, კნეინები და ხანუმები. მათ მომღიმარი სახით **დახვდება ადა მარშანია.** სპეციალურად ამ დღისთვის ბატონი თარხან-მოურავი ცნობილ ორსაყელოიან შავ პერანგს ხალხში ისვრის და, ვინც დაიჭერს, სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი იქნება.

თარხან-მოურავის წინაპრების როლს „ობიექტივის“ თანამშრომლები შეასრულებენ, ამიტომ ამ დღეს ტელევიზია რამდენიმე საათით დაიხურება.

ყველაზე გამორჩეული მაინც **„ნაციონალური მოძრაობის“** შესვლა იქნება. კულუარებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ პარტიის წევრებს სირცხვილის დერეფანში გაატარებენ ეკა ბესელია და მანანა კობახიძე. ისინი, სცენარის მიხედვით, პარლამენტის კართან სისხლიანი დანებით დადგებიან და „ნაცმოძრაობის“ წევრებს ამ დანების ქვეშ გავლა მოუწევთ. დაგეგმილია, რომ ეკასაც და მანანასაც ნიშნისმომგები გამომეტყველება უნდა ჰქონდეთ.

ცალკე სცენარი დაიწერა **ირმა ინაშვილისთვის**, სპეციალურად მისთვის გათვალისწინებულია შავი ფერის „ვოლგა“ ძველებური სიგნალებით. ის სტოპკადრის პრინციპით გადმოვა მანქანიდან, შეჩერდება, ამ მომენტში ჩაირთვება საბჭოთადროინდელი საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ მუსიკა და ირმაც რამდენიმე წამში ცივი სახით დაიძრება საკანონმდებლო ორგანოსკენ, ვითარცა **ნიკიტა.**

**დავით თარხან-მოურავის გუნდს საკანონმდებლო ორგანომდე მიაცილებენ მისი წინაპრები — მეფეები, დედოფლები, კნეინები და ხანუმები. მათ მომღიმარი სახით დახვდება ადა მარშანია. სპეციალურად ამ დღისთვის ბატონი თარხან-მოურავი ცნობილ ორსაყელოიან შავ პერანგს ხალხში ისვრის და, ვინც დაიჭერს, სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი იქნება**

როგორც ცნობილია, ამ დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ მარგინალი მხარდამჭერი ქალები აპირებენ, ცოცხებით გადაუფრინონ პარლამენტის შენობას და დაწყევლონ. ამის აღსაკვეთად შენობის თავზე დამონტაჟებულია „ირინ-ამრიდები“ და „მეგი-ამრიდები“, საფრთხის შემთხვევაში მოხდება მათი ჩამოგდება.

დასასრულ, სცენარში გაწერილია ზღაპრის კეთილად დასრულება, სწორედ ამიტომ იგეგმება დიდი საყოველთაო შერიგება. კერძოდ, სპეციალურად ამ დღეს ერთმანეთს სახალხოდ ჩაეხუტებიან ირმა ინაშვილი და **თინა ხიდაშელი**, რომლებსაც დავით თარხან-მოურავი თავზე ხელს გადაუსვამს, თავზე აკოცებს, დალოცავს და აცრემლდება.

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერწუხის ველზე გამართული ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი გამოდგა. აღმაშენებელი უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლაში — „თვით მეფე არათუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ვითარცა სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასი თვით წინე უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სვრიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა“. იმ დღეს სამი ცხენი მოუკლეს დავითს და მეოთხე ცხენზე ამხედრებულმა დაასრულა ბრძოლა. მეფის შეუპოვრობა და სიმამაცე მთელ ლაშქარს გადაედო და, ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, ქართველებმა საარაკო გამარჯვება მოიპოვეს.**

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-40 (368-369)**

# «კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს»

**მემატიანე „დიდი თურქობის“ უსაშინლეს წლებს ასე აღწერს: „არა იყო მათ ჟამსა შინა თესვა და მკა, მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა. ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მას შინა და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულნი, ჭაბუკნი დაკუეთებულნი, ხოლო ჩვილნი მიმოდატაცებულნი... მდინარე სისხლიანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულითა მრწყეველნი ქუეყნისანი“.**



ამას დაერთო უძლიერესი მიწისძვრა, რომელმაც მიწასთან გაასწორა მტრისგან გადარჩენილი ქალაქები და სოფლები. ბიძგები თითქმის ერთ წელს გაგრძელებულა და ამას არნახული ნგრევა და მსხვერპლი მოუტანია: „შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქი და სოფელი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს...“

1089 წლის დასაწყისში აოხრებული და გაჩანაგებული ქვეყნის მეფე **გიორგი მეორე** აიძულეს, ტახტიდან გადამდგარიყო და ხელისუფლება 16 წლის ენერგიული ყმაწვილისთვის — **დავითისთვის** დაეთმო. ბუნებრივია, 38-39 წლის ჯან-ღონით სავსე მეფე ნებით არ გადამდგარა, მაგრამ მისმა ვაზირებმა და პატრიოტმა ერისთავებმა ძალასაც მიმართეს და „დაარწმუნეს“, რომ ქვეყნისთვის უმჯობესი იქნებოდა მისი გადადგომა. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ეს იყო იმ პერიოდში ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება.

**უმძიმესი მემკვიდრეობა ხვდა წილად ჭაბუკ მეფეს. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი მტრისა და სტიქიისგან დაქცეული ქვეყნის აღორძინების საქმეს. დავით აღმაშენებელმა „განამრავლა სპანი“, აღჭურვა იარაღით, ცხენებითა და მათ წვრთნას შეუდგა. „უწყინოთა ლაშქრობითა“ და მცირე ბრძოლით უნერგავდა მებრძოლებს გამარჯვების რწმენას. ასწავლიდა ბრძოლის სტრატეგიას და ტაქტიკას და შეახსენებდა ქართველთა სახელოვან გამარჯვებებს. მეფე უმკაცრესი იყო ლაჩართა მიმართ — მათ ქალის ტანისამოსში გამოაწყობდა და ჩამოატარებდა მოლაშქრეებში. ამ გზით თრგუნავდა მეომრებში შიშს. დავითმა აკრძალა ჯარში ბილწსიტყვაობა, უგვანი სიმღერები და იდეალური წესრიგი დაამყარა. ლაშქრის წყობაშიც ბევრი სიახლე შეიტანა, ხოლო ქვეითი ჯარი თანდათან ცხენოსანი რაზმებით შეცვალა.**

პატარ-პატარა შეტაკებებში მიღწეული წარმატებების შემდეგ ბარი ნაწილობრივ გაწმინდა თურქთა ურდოებისგან, მთაში გახიზნული მოსახლეობა საკუთარ მიწას დაუბრუნა და ნასოფლარებსა და ნაქალაქარებს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა.

ამ ბრძოლებმა იმედი დაუბრუნა ხალხს და, რაც მთავარია, ყველას დაანახვა, რომ თურქების დამარცხებაც შესაძლებელია, მაგრამ სელჩუკთა საბოლოოდ დასამარცხებლად ეს არ იყო საკმარისი.

ამიტომაც, დავითმა თავისი მეფობა ძალაუფლების განმტკიცებით დაიწყო. „დიდმა თურქობამ“ საფუძველი შეურყია სამეფო ხელისუფლებას, რომელიც ისე იყო დაკნინებული, რომ მისი გავლენა მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. მემატიანე წერს: **„საზღვარი სამეფოსა იყო მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფოსი წაღვლისთავი“. ეს იყო და ეს, დანარჩენი საქართველო სელჩუკთა და თავგასულ ქართველ ერისთავთა სათარეშო ადგილი იყო.**

ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით, მეფე ცდილობდა, ერისთავები დაექვემდებარებინა ფეოდალური მონარქიის მიერ შექმნილი სამეფო კარის ცენტრალური სამოხელეო აპარატისთვის. დავითის პერიოდში გაძლიერებულმა ვაზირის სამოხელეო ინსტიტუტმა გასაქრობად შეუტია ერისთავობის ძველ ინსტიტუტს. დავითი ერისთავობას ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის შეუფერებლად თვლიდა, ყოველმხრივ ავიწროებდა და ცდილობდა მის გაუქმებას.

მოკლედ, დავითის მტკიცე ხელი თავიდანვე იგრძნეს მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულებმა. პირველი იერიში კლდეკარის ერისთავზე იქნა მიტანილი. 1093 წელს მეფემ შეიპყრო განდგომილი **ლიპარიტ ბაღვაში**. კლდეკარის ერისთავმა მოინანია მეფის ღალატი და პატიება ითხოვა. დავითმა დიდსულოვნად შეიწყალა იგი, კვლავ დაუბრუნა ტიტულიცა და სამფლობელოც, მაგრამ ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და მეფეს კვლავ გაუორგულდა. დავითი დარწმუნდა, რომ „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“ და ლიპარიტი კვლავ შეიპყრო. 2 წლის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდა, შემდეგ კი საბერძნეთში გააძევა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. კლდეკარის საერისთავო გააუქმა და მისი მიწა-წყალი სამეფოს დომენად გამოაცხადა.

დავითს ერისთავებთან ბრძოლა ბაღვაშთა დამარცხებითა და კლდეკარის საერისთაოს გაუქმებით არ დაუმთავრებია. მან არც ძმები — არაგვის ერისთავი **ძაგან** და **მოდისტოს აბულეთისძეები** დაინდო. 1103 წელს, დავითის მიერ ზედაზნის აღების შემდეგ, ძაhგანმა „მძლავრობით“ ხელთ იგდო მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები. შიომღვიმე სიმაგრედ გადააქცია და თავის შეფარებაც იქ სცადა. რაც შეეხება მოდისტოსს, ძაგანმა იგი წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსის რანგში აიყვანა და მისი მეოხებითაც არაერთი მიწა მიიტაცა. მაგრამ მეფემ ალაგმა თავგასული აბულეთისძეების პარპაში. დამარცხებული და დევნილი ძაგანი იძულებული შეიქნა, შიომღვიმის მონასტრისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ მღვდელმსახურებმა შეიპყრეს და მეფეს გადასცეს. მართალია, დავითმა ძაგანი სიკვდილით არ დასაჯა, მაგრამ ყველა პატივი და ღირსება აჰყარა.

**სელჩუკებთან გადამწყვეტი ბრძოლების წინ მოღალატე ერისთავების დამარცხებითა და ხელისუფლების განმტკიცებით მეფე დავითმა დასაყრდენი გამოაცალა სელჩუკებს და უზრუნველყო „ზურგის უსაფრთხოება“. შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.**

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ დავით აღმაშენებლის მეფობის წარმატებულ დასაწყისს დიდად შეუწყო ხელი გარე ფაქტორებმაც. კერძოდ, 1092 წლის დასაწყისში ასასინის ხელით იქნა მოკლული სელჩუკიანთა იმპერიის უპირველესი ვაზირი **ნიზამ ალ მულკი.** იმავე წლის ნოემბერში გარდაიცვალა სულთანი **მალიქ-შაჰიც.** ამის შემდეგ იმპერია შინაომებმა მოიცვა, რაც უზარმაზარი სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებით დასრულდა.

თუმცა დაშლილი და დანაწევრებული სელჩუკთა სახელმწიფოებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქრისტიანულ სამყაროს. სელჩუკებმა ადვილად დაამარცხეს ბიზანტიელები და სტრატეგიული ქალაქი ნიკეაც წაართვეს. ნიკეას დაკარგვით საფრთხე დაემუქრა კონსტანტინოპოლსაც. ბიზანტიის დედაქალაქი პანიკამ მოიცვა, სასოწარკვეთილმა ბიზანტიის იმპერატორმა **ალექსი პირველმა** 1095 წელს რომის პაპს **ურბან II** დახმარების თხოვნით მიმართა. პაპი გამოეხმაურა ამ თხოვნას და 1095 წლის ნოემბერში საფრანგეთის ქალაქ კლერმონში დიდი საეკლესიო კრების მოწვევის გადაწყვეტილება მიიღო. კრებაზე, რომელსაც უამრავი საულიერო დაესწრო, რომის პაპმა ისტორიული სიტყვა წარმოთქვა და შეკრებილთ წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა. ამ მოწოდებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და უმოკლეს დროში ჯვაროსანთა 6 დიდი არმია ლაშქრობის დასაწყებად იყო მზად.

**პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა 1096 წელს დაიწყო.** საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან ჯვაროსანთა რამდენიმე ნაკადი თითქმის ერთდროულად დაიძრა იერუსალიმისკენ. ისინი კონსტანტინეპოლში შეერთდნენ და გაერთიანებული ძალით შეუტიეს თურქთა სამფლობელოებს. **1097 წლის დასაწყისში ჯვაროსნებმა ნიკეა აიღეს, შემდეგ ედესაც წაართვეს სელჩუკებს და იმავე წლის ოქტომბერში ანტიოქიას შემოარტყეს ალყა. ქალაქი ერთ თვეში დაეცა, ხოლო 1099 წლის 15 ივლისს იერუსალიმიც გადავიდა ჯვაროსნების ხელში.**

**დავით აღმაშენებელმაც ისარგებლა ხელსაყრელი საგარეო ვითარებით და 1099 წელს ხარკის მიცემა შეუწყვიტა სულთანს:** „განძლიერდა დავით და განაძლიერა სპანი და არღარა მისცა სულთანს ხარაჯა და თურქნი ველარ დაიზამთრებდნენ ქართლს“. მას შემდეგ, რაც სელჩუკებს ფეხი ამოუკვეთა შიდა ქართლიდან, დავითმა კახეთის შემოერთებაზე დაიწყო ფიქრი და 1103 წელს სელჩუკთა ვასალს, კახეთ-ჰერეთის **მეფე კვირიკეს** ზედაზენი წაართვა: „წარუღო კვირკეს ზედაზენი“. ეს უკვე სელჩუკთა აშკარა გამოწვევას ნიშნავდა.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, დავითი მაინც მოერიდა ძმათამკვლელ ომს და კახეთის უსისხლოდ შემოერთება სცადა. მან 1104 წელს, ერთგული კახელი დიდებულების — **არიშიანის, ბარამისა** და **ქავთარ ბარამის ძის** დახმარებით შეიპყრო კახეთ-ჰერეთის მეფე **აღსართან მეორე.** დანარჩენი კახელი დიდებულები ნაცვლად იმისა, რომ ქართველთა მეფეს დამორჩილებოდნენ, დახმარების სათხოვნელად განძის ათაბაგთან გაიქცნენ.

სელჩუკებს არ შეეძლოთ, მშვიდად ეცქირათ, როგორ წაართმევდა საქარ- ▶

## იცით თუ არა, რომ:



ნარდი ქალდეველებმა გამოიგონეს. ნარდს უძველესი დროიდან თამაშობენ, მისით ერთობოდნენ ფარაონი ტუტანხამონი და რომის იმპერატორი კლაუდიუსი. იყო ასეთი შემთხვევა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისას: ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგულმა და საფრანგეთის მეფე ფილიპ ოუგუსტმა თავიანთ ჯარისკაცებს აუკრძალეს ნარდის თამაში, მოვალეობის შესრულებას რომ არ მოცდენილიყვნენ.



შუა საუკუნების ციხესიმაგრეების დილეგებში უმეტესად დამწყვდეული ჰყავდათ არა კრიმინალები, არამედ ტყვე რაინდები, რომლებიც გამოსასყიდის მიღებას წლების განმავლობაში ელოდნენ.



კორეაში ცოლი ქმარს მხოლოდ თქვენობით მიმართავს, ქმარი კი, როდესაც საუბარში თავის ცოლს ახსენებს, ამბობს: „ჩემი შვილის დედა“ ან „ადამიანი, რომელიც ჩემს სახლში ცხოვრობს“

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1118 წელს, გაზაფხულზე, ბზობის დღესასწაულს ზეიმობდა ნახიდურს მდგარი მეფე, როდესაც თურქთა ახალი ლაშქრის შემოჭრისა და ერისთავ ბეშქენის მოკვლის ამბავი მოახსენეს. დავითი არაქსის პირას წამოეწია სელჩუკებს და მუსრი გაავლო მათ: „მოსრა სიმრავლე მათი და წამოიღო ტყვე და ალაფი ურიცხვი“.

◀ თველოს მეფე ამიერკავკასიის ერთ-ერთ მდიდარ რეგიონს, რომელიც, ამასთანავე, უაღრესად ხელსაყრელ პლაცდარმს წარმოადგენდა. ბუნებრივია, ისინი ამას ვერ შეეგუებოდნენ, ამიტომ სულთან **ბარქიაროკის** (1094–1105 წწ.) ბრძანებით, ქართველთა მეფის დასასჯელად დიდი არმია დაიძრა. მათ განძის ათაბაგი და მოღალატე კახელი დიდებულები შეუერთდნენ თავიანთი მეომრებით. როგორც მემატიანე წერს: „ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანათა ერი მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა“... მტერი, რაოდენობით ძალიან აღემატებოდა დავითის მოლაშქრეებს. მეფემ მომხვდურთ კარგად გაწვრთნილი „მცირედი ლაშქარი“ და „განწირული ერი“ შეაგება.

ერწუხის ველზე გამართული ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი გამოდგა. აღმაშენებელი უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლაში — **„თვით მეფე არათუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ვითარცა სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასი თვით წინე უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სვრიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა“.**

**იმ დღეს სამი ცხენი მოუკლეს დავითს და მეოთხე ცხენზე ამხედრებულმა დაასრულა ბრძოლა. მეფის შეუპოვრობა და სიმამაცე მთელ ლაშქარს გადაედო და, ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, ქართველებმა საარაკო გამარჯვება მოიპოვეს.**

კახეთ-ჰერეთიდან სელჩუკების განდევნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა თბილისის საამიროს გაუქმების საკითხი, მაგრამ მეფე დიდი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით კარგად გამაგრებულ ქალაქზე პირდაპირ იერიშს მოერიდა. მან აქცენტი თბილისის გარე სამყაროსგან სრულ იზოლაციაზე გადაიტანა და იერიშები მასთან ახლოს მდებარე ქვემო ქართლის სტრატეგიული დანიშნულების ციხე-ქალაქებზე მიიტანა. **1110 წელს ქართველებმა თურქებს კარგად დაცული ციხესიმაგრე სამშვილდე წაართვეს. სამშვილდის დაკარგვით თავზარდაცემულმა სელჩუკებმა ძერნაც მიატოვეს — ღამით მთელი გარნიზონი გაიპარა.**

ქართველთა წარმტებებით განრისხებულმა სულთანმა **მეჰმედ პირველმა** (1106 — 1118 წწ.) ასიათასიანი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოს დასაჩოქებლად. ურდო ღამის გასათევად თრიალეთში დაბანაკდა. ეს ისე მოულოდნელი აღმოჩნდა დავითისთვის, რომ ვერ მოასწრო ლაშქრის შეკრება. ნაჭარმაგევში მდგარ მეფეს მხოლოდ 1500 მეომარი ედგა გვერდით. მიუხედავად ჯარის სიმცირისა, დავითმა გარისკა და გამთენიისას „უდრტვინველად“ დაეცა თავს თურქებს. ამას, კი ნამდვილად არ მოელოდნენ სელჩუკები და მათ ბანაკში პანიკა დაიწყო. აღმაშენებელმა მტერს გონს მოსვლა არ აცალა, ისე გაავლო მუსრი.

1115 წელს, მას შემდეგ, რაც **გიორგი ჭყონდიდელმა** გაათავისუფლა რუსთავი, მუსლიმანურ სამყაროსთან დამაკავშირებელი გზა თბილისის საამიროს სამხრეთ-დასავლეთიდანაც მოეჭრა და, ფაქტობრივად, ალყაში მოექცა.

იმავე წლის დეკემბერში ტაოში დაბანკდა ახალი დიდი ურდო. მათ ისევ მოულოდნელად დაესხა თავს აღმაშენებელი და საქართველოს სამანებიდან გადარეკა. 1117 წელს კი დავითის დიდებულებმა **ასათ** დაშოთა **გრიგოლის ძეებმა** ივაჟკაცეს და მტერს გიშის ციხე წაჰგლიჯეს. გიშის აღებით საბოლოოდ დასრულდა ჰერეთის შემოერთება. ეს ქალაქი წუქეთის საერისთავოს ცენტრი და გრიგოლის ძეთა საგვარეულო რეზიდენცია გახდა.

ამ წარმატებით ფრთაშესხმულმა ქართველებმა შირვანი ამოიღეს მიზანში. დავითმა თავისი ძე **დემეტრე** გაგზავნა შირვანში სალაშქროდ. დემეტრემაც გაამართლა მამის იმედი, მან სელჩუკებსა და მათ ვასალ შირვანის შაჰს წაართვა ქალაძორი, გამარჯვებული და დიდი ნადავლით დატვირთული დაბრუნდა უკან.



ბალდუინ II

**1120 წლის დასაწყისში ახალი ლაშქრობა მოეწყო შირვანში. როგორც მემატიანე წერს: „დაარბიეს ლიჟათათ ვიდრე ქურდოვანამდე და ხიშტალანამდე“. 14 თებერვალს დაეცა ყაბალაც. ეს ქალაქიცა და მისი მიმდებარე ტერიტორიაც ქართველების ხელში გადავიდა.**

დავითს საქმე გაუადვილა დარუბანდის მმართველმა, ვინაიდან დარუბანდელებთან ბრძოლაში დაიღუპა შირვანის შაჰი. ტახტზე ასული ახალი შაჰი კი ქართველთა მეფისთვის სასურველი კანდიდატურა იყო.

**თურქები მაინც არ ეხსნებოდნენ ჩვენს ქვეყანას. 1118 წელს, გაზაფხულზე, ბზობის დღესასწაულს ზეიმობდა ნახიდურს მდგარი მეფე, როდესაც თურქთა ახალი ლაშქრის შემოჭრისა და ერისთავ ბეშქენის მოკვლის ამბავი მოახსენეს. დავითი არაქსის პირას წამოეწია სელჩუკებს და მუსრი გაავლო მათ: „მოსრა სიმრავლე მათი და წამოიღო ტყვე და ალაფი ურიცხვი“.**

**1118 წლის ივლისში თურქებს ჯერ სტრატეგიული ციხე-ქალაქი ლორე, ხოლო შემდეგ აგარანი წაართვეს. განსაკუთრებით წარმატებული აგარანზე ლაშქრობა გამოდგა, მის ასაღებად ერთი დღეც არ დასჭირვებიათ ქართველებს. აღმაშენებელმა ლორე ამირსპასალარს გადასცა და აქედან მოყოლებული ლორე საკმაოდ დიდხანს იყო ამირსპასალართა რეზიდენცია.**

ერთი სიტყვით, დავითმა შეუძლებელი შეძლო — გაპარტახებული ქვეყანა ფეხზე დააყენა, აღორძინა და იმჟამინდელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. 1089-დან 1119 წლამდე აღმაშენებელმა თითქმის მთელი საქართველო გამოიხსნა თურქთა კლანჭებიდან (მხოლოდ თბილისი რჩებოდა აუღებელი). **დავით აღმაშენებელი, ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ, მსოფლიო ისტორიაში მეორე ადამიანი იყო, რომელმაც ყველა ბრძოლა მოიგო. სელჩუკებმა დიდი კატასტროფა განიცადეს საქართველოში და უმძიმეს დღეში ჩაცვივდნენ.**

თუმცა, საქართველოში განცდილი მარცხის „კომპენსირებას“ თურქები პალესტინაში ახდენდნენ. ისინი დიდ წარმატებებს აღწევდნენ „წმინდა მიწაზე“ ევროპელ რაინდებთან ბრძოლაში. მათმა ძლევამოსილმა სარდალმა **ილღაზიმ** ზედიზედ დაამარცხა ჯვაროსნები და დაათმობინა სტრატეგიული ციხესიმაგრეები.

ჯვაროსნების მდგომარეობა კრიტიკული იყო. ისინი ევროპიდან ვეღარ იღებდნენ იმ აუცილებელ დახმარებას (ფინანსები, საომარი აღჭურვილობა, ცოცხალი ძალა), რომელიც საკმარისი იქნებოდა მუსლიმანური კოალიციის დასამარცხებლად. 1119—1120 წლების მიჯნაზე იერუსალიმის ჯვაროსანთა მეფე **ბალდუინ II** საიდუმლო ვითარებაში ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა დავით მეფეს და ერთად დასახეს სამომავლო გეგმები. ბუნებრივია, არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს მეფეებმა. ამის თაობაზე ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია. ქართველთა მეფეს საათივით აწყობილი მსტოვართა ინსტიტუტი ჰყავდა, რომელიც ინტენსიურად იღებდა ინფორმაციას სელჩუკთა სულთნებისა თუ ამირების სასახლის კარიდან. ბუნებრივია, ამ ინფორმაციის გაცნობა ჯვაროსანთა მეფისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ საუბარი ჯვაროსნებისთვის ფულითა და საომარი აღჭურვილობით დაეხმარების გაწევას შეხებოდა. შესაძლოა, დავითმა პირობა მისცა ბალდუინს, რომ თურქთა მთელ ძალებს თავისკენ მიიზიდავდა და ამით განსაცდელისგან იხსნიდა პალესტინელ ჯვაროსნებს.

(გაგრძელება იქნება)

**ვანო სულორი**

**დავითმა შეუძლებელი შეძლო — გაპარტახებული ქვეყანა ფეხზე დააყენა, აალორძინა და იმჟამინდელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. 1089-დან 1119 წლამდე აღმაშენებელმა თითქმის მთელი საქართველო გამოიხსნა თურქთა კლანჭებიდან (მხოლოდ თბილისი რჩებოდა აუღებელი). დავით აღმაშენებელი, ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ, მსოფლიო ისტორიაში მეორე ადამიანი იყო, რომელმაც ყველა ბრძოლა მოიგო. სელჩუკებმა დიდი კატასტროფა განიცადეს საქართველოში და უმძიმეს დღეში ჩაცვივდნენ**



## მაჰათმა განდი

**(მოჰანდას კარამჩანდ განდი) 1869 —1948, ინდოეთის ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი**

გძულდეს ცოდვა და არა ცოდვილი.

* * *

**მიუტევო, არ ნიშნავს, დაივიწყო.**

* * *

ზოგიერთს თვალის ჩინი აქვს წართმეული, ზოგს კი გული აქვს დაბრმავებული.

* * *

**წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ძალისმიერი მეთოდის, რაგინდ კეთილშობლიურ მიზნებს ემსახურებოდეს.**

* * *

უზომოდ მიყვარს ჩემი თავისუფლება, ამიტომ ისეთს არაფერს მოვიმოქმედებ, რომ შევზღუდო სხვისი თავისუფლება.

* * *

**ქალის ჭეშმარიტი სილამაზე მისი შინაგანი ბუნებაა.**

* * *

როცა ვინმე ცდება, თავს ვეუბნები: — შენ არ შემცდარხარ განა? ან, თუ ვინმე ვნებასაა აყოლილი, მაშინაც შევახსენებ ხოლმე ჩემს თავს – განა შენ არ აყოლილხარ ვნებას? და ასე თანდათან ვრწმუნდები, რომ მეც ისეთი ვარ, როგორიც სხვები. თუმცა იმასაც ვგრძნობ, რომ მე ვერ ვიქნები ბედნიერი, სანამ ყველანი არ ვიგრძნობთ, რომ ბედნიერი ვართ.

* * *

**პირადი ცხოვრების სიწმინდე აუცილებელი პირობაა, რათა სხვა აღზარდო და გაანათლო.**

* * *

„ძალაუფლება ორნაირი არსებობს: ერთი — სასჯელის შიშზე დამყარებული, მეორე კი – სიყვარულის ძალაზე დაფუძნებული, რომელიც ათასჯერ უფრო მტკიცეა, ვიდრე შიშზე დამყარებული ძალაუფლება.

* * *

**მუდამ მაოცებენ ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ, პატივით მოეპყრონ, როდესაც თვითონ სხვებს ამცირებენ.**

* * *

ჯანსაღი უკმაყოფილება პროგრესის საწინდარია.

* * *

**კორუფცია და ფარისევლობა არ უნდა იყოს დემოკრატიის გარდაუვალი შედეგი, როგორც ეს დღესაა.**

* * *

მიმბაძველობა ყველაზე აშკარა პირმოთნეობაა.

* * *

**სჯობს, ყველანი წამებით დავიხოცოთ, ვიდრე შეგვიპყროს წყურვილმა, რომ სხვა ვაწამოთ.**

* * *

სიძულვილზე გაიმარჯვე სიყვარულით, სიცრუეზე — სიმართლით, ძალადობაზე — მოთმინებით.

## იცით თუ არა, რომ:

თბილისში სტუმრად ჩამოსული ამერიკელი მწერალი ნოდარ დუმბაძეს შეხვედრისას ინგლისურად მიესალმა. ნოდარი თარჯიმანს მიუბრუნდა:

— უთხარით, რომ სკოლაში გერმანულს მასწავლიდნენ.

ამერიკელი მაშინვე გერმანულზე გადავიდა.

— ახლა ისიც უთხარი, რომ ისინი კი მასწავლიდნენ, მაგრამ მე არ ვსწავლობდი-თქო, — დააზუსტა ნოდარ დუმბაძემ.



ერთ წვეულებაზე არისტოტელე და დიოგენე ერთად მოხვდნენ. ბევრმა შეჰნატრა არისტოტელეს:

— ბედნიერი კაცი ხარ, მეფესთან ერთად სადილობ ხოლმე.



დიოგენემ ყური მოჰკრა მათ საუბარს და არისტოტელეს მიმართა:

— არისტოტელევ, მე არ მომწონს შენი ცხოვრება. შენ უნდა ისადილო მაშინ, როდესაც მეფეს მოშივდება. მე კი ვსადილობ მაშინ, როცა მე მომშივდება.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი გეგმავს რომელიმე მეზობელ ქვეყანაზე თავდასხმას ან დაინტერესებულია ამით. ეს არის ცალმხრივი აგრესიული ესკალაცია ნატოს მხრიდან, რომელიც აბუქებს საფრთხეს და ამით ხელს უწყობს ევროპაში დესტაბილიზაციას. სამხედრო მზადება მომგებიანია თავდაცვის მრეწველობისთვის, აგრეთვე, ქვეყანაში ოპოზიციის დასადუმებლად. ევროპას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის პრობლემები აქვს, ამიტომ საჭიროა სამხედრო მზადება, რომელიც პრობლემებისგან ყურადღებას სხვა რამეზე გადაიტანს.**

# ნატო რუსეთთან საომრად ემზადება?

**ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება აღმოსავლეთ ევროპაში, უშუალოდ რუსეთის საზღვრებთან, 4000 სამხედრო მოსამსახურის განლაგების თაობაზე. ეს არის ე.წ. მოწინავე ბაზირების ძალები, რომლებაც მხარი უნდა დაუჭირონ 40 ათასი ჯარისკაცისგან დაკომპლექტებულმა სწრაფი რეაგირების ძალებმა. ეს შეიარაღებული ძალების ყველაზე დიდი ესკალაციაა ევროპაში სსრკ-სა და აშშ-ს შორის ცივი ომის კულმინაციის შემდეგ.**



ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** განაცხადა, რომ სამხედრო ქვედანაყოფები განლაგდებიან პოლონეთსა და ბალტიისპირეთის 3 რესპუბლიკაში და „ალიანსის ნებისმიერ წევრზე თავდასხმა განიხილება, როგორც თავდასხმა თითოეულ ჩვენგანზე“.

სტოლტენბერგმა, რომელიც ადრე ნატოს წინააღმდეგ გამოდიოდა, თქვა, რომ ეს ზომები ჩაფიქრებული არ არის რუსეთისგან მომდინარე რაღაც საფრთხის გამო. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ ნატო რამდენიმე სამხედრო ხომალდს გაგზავნის შავ ზღვაში.

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, აშშ საომრად მზადმყოფ 900 ჯარისკაცს აღმოსავლეთ პოლონეთში გაგზავნის. ამას გარდა, ჯავშნიანი მანქანების ბრიგადას, ტანკებსა და მძიმე არტილერიას, აგრეთვე, მრავალფუნქციურ ვერტმფრენებს — „შავ ქორებს“, გადაიყვანს რუსეთის საზღვრებთან. ეს გადაწყვეტილება, 330 ამერიკელი ჯარისკაცის ნორვეგიაში გადაყვანასთან ერთად, ერთხმად იქნა მიღებული, რაც ცივი ომის პერიოდშიც კი არ მომხდარა.**

დიდი ბრიტანეთი 800 ჯარისკაცს, აგრეთვე, ტანკებსა და უპილოტო საფრენ აპარატებს გადაისვრის ესტონეთში. სსრკ-ზე ნაცისტების თავდასხმის შემდეგ პირველად გერმანიაც გაგზავნის ჯარისკაცებს რუსეთის საზღვართან. ეს იქნება 400-დან 600-მდე სამხედრო, რომლებიც განლაგდებიან ლიტვაში. კანადა და იტალია კი სამხედროებს ლატვიაში გაგზავნის.

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, აშშ საომრად მზადმყოფ 900 ჯარისკაცს გაგზავნის აღმოსავლეთ პოლონეთში. ამას გარდა, ჯავშნიანი მანქანების ბრიგადას, ტანკებსა და მძიმე არტილერიას, აგრეთვე, მრავალფუნქციურ ვერტმფრენებს — «შავ ქორებს», გადაიყვანს რუსეთის საზღვრებთან**

**არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი გეგმავს რომელიმე მეზობელ ქვეყანაზე თავდასხმას ან დაინტერესებულია ამით. ეს არის ცალმხრივი აგრესიული ესკალაცია ნატოს მხრიდან, რომელიც აბუქებს საფრთხეს და ამით ხელს უწყობს ევროპაში დესტაბილიზაციას. სამხედრო მზადება მომგებიანია თავდაცვის მრეწველობისთვის, აგრეთვე, ქვეყანაში ოპოზიციის დასადუმებლად. ევროპას ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის პრობლემები აქვს, ამიტომ საჭიროა სამხედრო მზადება, რომელიც პრობლემებისგან ყურადღებას სხვა რამეზე გადაიტანს.**

Steigan blogger
(ნორვეგია)

# ჩინეთმა პირველად წარმოადგინა მეხუთე თაობის გამანადგურებელი J-20

**რამდენიმე დღის წინათ გამართულ ავიაკოსმოსურ სალონ Airshow Cina-2016-ზე საზოგადოებამ პირველად იხილა მეხუთე თაობის ჩინური გამანადგურებელი J-20 („ძიან-20“).**

გამოფენა-სალონი Airshow Cina 1996 წლიდან ყოველწლიურად იმართება ქალაქ ჩჟუხაიში (პროვინცია გუანდუნი). ამ წელს ავიაშოუში 23 სახელმწიფოს 560-მდე ავიაკომპანია მონაწილეობდა.

თვითმფრინავის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია. ცნობილია, რომ გამანადგურებელს, რომლის უმთავრესი ამოცანა წყნარი ოკეანის აკვატორიის დაცვა იქნება, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვავენ.

**J-20-ს სამხედრო ექსპერტები „ჩინეთის პასუხს“ უწოდებენ ამერიკელების მიერ შექმნილი მეხუთე თაობის გამანადგურებლის — F-22 RAPTOR-ის წინააღმდეგ.**

J-20-ის გარდა, ჩინეთი მუშაობს მეხუთე თაობის კიდევ ერთ გამანადგურებელ **J-31**-ზე, რომელიც იფრენს რუსული ძრავით PD-93-ით. ეს გამანადგურებელი ჰაერში პირველად აფრინდა 2012 წლის 31 ოქტომბერს.

სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ ჩინური J-20 მეხუთე თაობის რუსული ექსპერიმენტული გამანადგურებლის პროტოტიპია.

„ჩინური საჰაერო მანქანის საფუძველში ჩადებულია რუსული „მიგ-1,44“-ის მახასიათებლები. ამ თვითმფრინავს, რომელმაც 2000 წელს დაასრულა ფრენა, ძალიან ჰგავს ჩინური J-20. მართალია, ოფიციალურად არავის უთქვამს, მაგრამ J-20-ზე დამონტაჟებულია რუსული ძრავი АЛ-31Д-М „სალუტი“, ისინი ჩინეთმა ნახევარ მილიარდ დოლარად შეისყიდა“, — განაცხადა სამხედრო ექსპერტმა, ჟურნალ „არსენალ ოტეჩესტვას“ მთავარმა რედაქტორმა **დიმიტრი დროზდენკომ.**





**ექსპერტთა ვარაუდით, ჩინეთის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში იქნება ექვსი J-20. ეს სტელსის ტექნოლოგიით დამზადებული გამანადგურებლების ყველაზე დიდი რაოდენობაა მსოფლიოში ამერიკელების შემდეგ.**

**რუსებს ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული T-50 მხოლოდ 4 ერთეული ჰყავთ.**

J-20-ის ტექნიკური მახასიათებლები:
*ეკიპაჟი — 1 კაცი;
*სიგრძე — 20,3 მ;
*ფრთების განშლა — 12,85 მ;
*სიმაღლე — 4,45 მ;
*მასა (მაქსიმალური) — 36000 კგ;
*ფრენის სიშორე — 5500 კმ;
*საომარი მოქმედების რადიუსი — 2000 კმ.

# რუსეთმა ხმელთაშუა ზღვაში ატომური წყალქვეშა ნავები გაგზავნა

**ფრთოსანი რაკეტა „კალიბრებით“ აღჭურვილი 2 რუსული წყალქვეშა ნავი „აკულა“ ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ ირლანდიის ზღვაში იქნა იდენტიფიცირებული, „კილოს“ კლასის მესამე რუსული წყალქვეშა ნავი — ლა-მანშის სრუტეში.**

სამი რუსული წყალქვეშა ნავი, რომელთაგან 2 ატომურია, ხმელთაშუა ზღვაში შეუერთდება სამხედრო ხომალდების ჯგუფს, რომელსაც მეთაურობს ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“. ეს სუბმარინები მურმანისკთან ახლოს მდებარე სევერომორსკიდან 30 ოქტომბერს გამოვიდნენ.

მესამე რუსული წყალქვეშა სუბმარინა, რომელსაც დიზელ-ელექტრული ძრავა ამოძრავებს, ნორვეგიულმა საპატრულო თვითმფრინავმა P3-მა ლა-მანშის სრუტეში შენიშნა.

სამივე ნავს 6 საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ ბრიტანული წყალქვეშა ნავ „ტრაფალგარიდან“.

**როგორც ჩანს, რუსეთს სურს, დაანახვოს დასავლეთს, რომ მისი წყალქვეშა ნავები ზღვაში გავიდნენ.**

**რუსული სუბმარინების მიზანი შეიძლება იყოს ალეპო, სადაც ბლოკირებულია 270 ათასი სამოქალაქო პირი, რომლებსაც ქალაქიდან გამოღწევის იმედი თითქმის ამოეწურათ.**

ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი „აკულები“ უდიდესი შემტევი ძალა იქნება, წყლის ზედაპირზე მცურავი



ფლოტი კი, ალბათ, ყურადღების გადასატან მანევრს შეასრულებს.

ამ მომენტისთვის რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიარაღებულია „აკულას“ კლასის 11 წყალქვეშა ნავით: მათ უმრავლესობას არემონტებენ და მხოლოდ 3 სუბმარინას იყენებენ აქტიურად. ესენია: **K-154 „ტიგრი“; K-335 „გეპარდი“** და **K-317 „პანტერა“.**

რუსეთს ჰყავს „კილოს“ კლასის 20 დიზელ-ელექტრულძრავიანი წყალქვეშა ნავი და „გაუმჯობესებული კილო“, რომელიც „ვარშავიანკის“ კლასს განეკუთვნება. ამ სუბმარინებს („პროექტი-363“), რომლებზეც დამონტაჟებულია თითქმის უხმაურო ძრავები, შეუძლია დააზიანოს დიდი მანძილით დაშორებული სამიზნე, თვითონ კი შეუმჩნეველი დარჩეს მოწინააღმდეგის ხომალდსაწინააღმდეგო რადარებისთვის. **მისი წყალწყვა 3100 ტონაა, სიჩქარე — 20 კვანძი, შეუძლია ჩაყვინთოს 300 მ სიღრმეზე. ეკიპაჟი შეადგენს 52 კაცს. ეს წყალქვეშა ნავები აღჭურვილია 18 ტორპედოთი, ჭურვებითა და 8 ფრთოსანი რაკეტა „კალიბრ 3M54“-ით.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გერმანიის ხელისუფლების საემიგრაციო პოლიტიკა, დიდი ხანია, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ადგილობრივებს ხშირად აქვთ კონფლიქტი სტუმრებთან, ამიტომ უკვე ბევრი ლაპარაკობს გერმანელი საზოგადოების მხრიდან ლტოლვილების დისკრიმინაციაზე. ამ ყველაფერმა შექმნა ნიადაგი იმისა, რომ გერმანელებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სულეიმანის სექსკარიერის მიმართ. „სირიელი პორნოვარსკვლავის“ ნათესავები და სხვა ლტოლვილებიც უარყოფითად არიან განწყობილი სულეიმანის პროფესიისადმი. ისინი ამბობენ, რომ სულეიმანი არცხვენს თავის ოჯახს და არასწორ წარმოდგენას ქმნის ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ ადამიანებზე.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## «ისლამურ სახელმწიფოს» ტერორს გამოქცეულმა სირიელმა გერმანიაში პორნომსახიობობა დაიწყო

**„19 წლის სირიელი ანტონიო სულეიმანი სამშობლოდან ტერორისტების თვითნებობას გამოექცა და ახალი ცხოვრება დაიწყო პორნოვარსკვლავის ამპლუაში“, — წერს ბრიტანული გამოცემა Mirror-ი.**

ანტონიო გერმანიაში ოჯახთან ერთად ჩავიდა 2012 წელს, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა სირიისა და ერაყის მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიპყრეს და ქვეყანაში ომი გაჩაღდა.

პორნოინდუსტრიაში კარიერა მან დაიწყო ფილმით „არაბთა მეფე“. სირიელი ამბობს, რომ თავისი მაგალითით განზრახული აქვს, შეცვალოს დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილების მიმართ. თავს ის „სირიელ პორნოვარსკვლავს“ უწოდებს და აღიარებს, რომ სამშობლოში, სადაც პორნობიზნესი აკრძალულია, ჩვეულებრივ თეატრში თამაშობდა, მაგრამ ყოველთვის ოცნებობდა პორნოვარსკვლავობაზე.

**„გერმანიაში მე ვტკბები თავისუფლებით, შემიძლია გავაკეთო ყველაფერი, რისი გაკეთებაც არ შემეძლო შინ“,** — ამბობს სულეიმანი.

Mirror-ი აღნიშნავს, რომ **გერმანიის ხელისუფლების საემიგრაციო პოლიტიკა, დიდი ხანია, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ადგილობრივებს ხშირად აქვთ კონფლიქტი სტუმრებთან, ამიტომ უკვე ბევრი ლაპარაკობს გერმანელი საზოგადოების მხრიდან ლტოლვილების დისკრიმინაციაზე. ამ ყველაფერმა შექმნა ნიადაგი იმისა, რომ გერმანელებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სულეიმანის სექსკარიერის მიმართ. „სირიელი პორნოვარსკვლავის“ ნათესავები და სხვა ლტოლვილებიც უარყოფითად არიან განწყობილი სულეიმანის პროფესიისადმი. ისინი ამბობენ, რომ სულეიმანი არცხვენს თავის ოჯახს და არასწორ წარმოდგენას ქმნის ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ ადამიანებზე.**

ანტონიო სულეიმანი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ფართო საზოგადოებამ შეიტყო მისი პროფესიის შესახებ, დღე არ გავა, რომ მან და მისმა ახლობლებმა მუქარის წერილი ან შეურაცხმყოფელი შეტყობინება არ მიიღონ სოციალურ ქსელში. გერმანელები, თავის მხრივ, გალიზიანებული ამბობენ, რომ ერთადერთი, რაც აკლდა მათ ქვეყანას — ეს სირიელი პორნომსახიობია.

### გალიზიანებული გერმანელები ამბობენ, რომ ერთადერთი, რაც აკლდა მათ ქვეყანას — ეს სირიელი პორნომსახიობია





## ესტონელმა ქალმა საკუთარ თავთან იქორწინა

**ესტონელი ქალი ცოლად საკუთარ თავს გაჰყვა. საქორწინო ცერემონიაზე ქალმა 21 ადამიანი მიიპატიჟა, — იუწყება Depfi.**

პორტალ Ohtulht-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, **კრისტალ რა ლაკსმი** თავს მოგზაურად მიიჩნევს და დაინტერესებულია ეზოთერიკით. **„მე დავაქორწინე შინაგანი ქალი კრისტალი და შინაგანი მამაკაცი რა“**, — ამბობს ესტონელი ქალი. გამოცემა, აგრეთვე, წერს, რომ ესტონელი ქალი გეგმავს გათხოვებას ნამდვილ მამაკაცზეც, საკუთარ თავზე დაქორწინებას კი ამ კავშირისათვის მზადებად მიიჩნევს.

## გერმანიაში მიგრანტმა მსხვერპლს თვალებში დანა გაუყარა და ტუჩები და ყურები მოაჭამა



**„გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პოლიციამ დააპატიმრა ლტოლვილი, რომელმაც მამაკაცს თვალებში დანა გაუყარა, შემდეგ კი ტუჩები, ქუთუთოები და ყურები მოაჭამა“, — იუწყება გამოცემა The Daili Star-ი.**

ინციდენტი მოხდა 7 ოქტომბერს შლუხტერნში, ფრანკფურტთან ახლოს, მიგრანტების ცენტრში. ერთ-ერთ მცხოვრებს განწირულის ყვირილი შემოესმა და პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცველებმა კარი შეამტვრიეს და დააპატიმრეს 19 წლის ყმაწვილი, რომელიც თავზე აჯდა 18 წლის მსხვერპლს.

მძიმე დაზიანებების მიუხედავად, დაზარალებული ცოცხალი გადარჩა, ოღონდ, ექიმები ჯერ ვერ ამბობენ, დაუბრუნებენ თუ არა მას მხედველობას.

## «კულინარიული შედევრი»: დედამ 4 წლის შვილს «მშობიარე ძროხის» ტორტი გამოუცხო

**ბრიტანელმა ქალმა ჯეიმი პაკარდმა თავის შვილს დაბადების დღეზე გამოუცხო ტორტი — „მშობიარე ძროხა“.**





4 წლის ბენცმა დედას სთხოვა, დაბადების დღისთვის გამოეცხო ტორტი ძროხისა და ხბოს გამოსახულებით. დედამ კი შემოქმედებითი უნარი გამოამჟღავნა.

**„ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ ჯეიმი პაკარდის მიერ გამომცხვარი ტორტის ფოტოს გასაჯაროება დაუშვებლად მიიჩნია და სოციალური ქსელიდან წაშალა, მაგრამ მოსიყვარულე დედის „კულინარიული შედევრის“ ფოტო გამოცემა The Telegraph-მა გამოაქვეყნა.**

„როდესაც ბენტმა ძროხისა და ხბოს სახით ტორტის გამოცხობა მთხოვა, ინტერნეტში დავიწყე ძებნა, როგორი შეიძლება ყოფილიყო ასეთი ტორტი. და იცით, რა? ქსელში შესაბამისი ფოტო ვერ ვიპოვე. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემებურად გამომეცხო“, — წაიტრაბახა ჯეიმიმ.

„პლაცენტა ალუბლის ვაჟინისგან გავაკეთე და ვფიქრობდი: „ღმერთო, რა კარგია, რომ ზეიმზე მხოლოდ ოჯახის წევრები ვიქნებით, — გვიზიარებს რეცეპტს ბრიტანელი ქალი, — ძროხის საშოდან გამოსაძრომად გამზადებული ხბოს ჩლიქები ხრაშუნა პურისგან დავამზადე, სხვა დეტალებისთვის ბრინჯი დამჭირდა“.

დედას განსაკუთრებით ახარებს ის, რომ ტორტი, არცთუ მიმზიდველი კომპოზიციის მიუხედავად, გემრიელი აღმოჩნდა და, რაც მთავარია, ძალიან მოეწონა პატარა იუბილარს.

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ენგელსმა, აღშფოთებულმა ფრანკო-რუსული კავშირის მოგვარებით (1890-1891წ.), რომელიც თავისი მახვილით მიმართული იყო ავსტრო-გერმანული კოალიციის წინააღმდეგ, თავის სტატიაში მიზნად დაისახა, თავს დასხმოდა რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკას და მისთვის დაეკარგა ყოველგვარი ნდობა ევროპისა და, უწინარესად, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის თვალში, მაგრამ მიილტვოდა რა ამ მიზნისკენ, მას მხედველობიდან გამორჩა სხვა რიგი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მომენტიც კი. ამის შედეგია სტატიის ცალმხრივობა“.**

# სტალინი – რევოლუციის, რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი

**უწინარესად, მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, კერძოდ, დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილსა და მთავარ სპეციალისტ ნათია კობახიძეს იმ უნიკალური მასალების მოძიებაში დახმარებისთვის, რომლებსაც მკითხველს პერიოდულად მივაწვდი.**
**მასალები ამოღებულია რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივიდან. ფონდი 558 (სტალინი), აღწერა 1, საქმე № 3150.**

„სრ. საიდუმლოდ!

ენგელსის სტატიაზე „რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკის“ შესახებ

გიგზავნით რა პოლიტბიუროს წევრებს ენგელსის სტატიას „რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკა“, საჭიროდ ვთვლი, მოვაყოლო შემდეგი შენიშვნები.

ამხანაგი **ადორაცკი** გვთავაზობს, „ბოლშევიკის“ უახლოეს ნომერში, რომელიც ეძღვნება მსოფლიო იმპერიალისტური ომის მეოცე წლისთავს, დავბეჭდოთ ენგელსის ცნობილი სტატია „რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკა“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა საზღვარგარეთ 1890 წელს. მე ჩავთვლიდი სრულიად ნორმალურად, რომ შემოეთავაზებინათ ამ სტატიის დაბეჭდვა ენგელსის თხზულებათა კრებულში ან სხვა ისტორიულ ჟურნალში, მაგრამ ჩვენ გვთავაზობენ, დავბეჭდოთ იგი ჩვენს საბრძოლო ჟურნალ „ბოლშევიკის“ იმ ნომერში, რომელიც ეძღვნება მსოფლიო იმპერიალისტური ომის მეოცე წლისთავს. როგორც ჩანს, თვლიან, რომ სტატია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სახელმძღვანელო, ყოველ შემთხვევაში ღრმად გამაცნობიერებელი ჩვენი პარტიული მუშაკებისათვის, იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების პრობლემების გამოკვლევის თვალსაზრისით. მაგრამ ენგელსის სტატიას, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, მიუხედავად მისი ღირსებებისა, სამწუხაროდ, არ აქვს ასეთი თვისებები. გარდა ამისა, მას აქვს რიგი ისეთი ნაკლოვანებებისა, რომლებსაც, კრიტიკული შენიშვნების გარეშე გამოქვეყნების შემთხვევაში, შეუძლია დააბნიოს მკითხველი.

ამიტომ, მიზანშეუწონლად ვთვლი, ენგელსის სტატიის დაბეჭდვას „ბოლშევიკის“ უახლოეს ნომერში.

და რა ნაკლოვანებებია ეს?

**1.** რუსული ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის დახასიათებისას და ამ პოლიტიკის სისაძაგლეებისთვის საკადრისის მიზღვისას ენგელსი მას ხსნის არა სამხედრო-ფეოდალურ-სავაჭრო ბობოლებისთვის ზღვებში გასვლის, საზღვაო პორტებში საგარეო ვაჭრობის გაფართოებისა და სტრატეგიული პუნქტების დაუფლების „მოთხოვნილებად“, არამედ იმით, რომ თითქოს რუსეთის საგარეო პოლიტიკის სათავეში იდგა უცხოელ ავანტიურისტთა ყოვლისშემძლე, მაგრამ ნიჭიერი ბანდა, რომელსაც ყოველთვის და ყველგან უმართლებდა, რომელსაც თავისი ავანტიურისტული მიზნის მიღწევის გზაზე შეეძლო დაეძლია ყველა დაბრკოლება და რომელიც მოხერხებულად აცურებდა ყველა ევროპელ მმართველს და საბოლოოდ მიაღწია იმას, რომ რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით გახადა ყოვლისშემძლე სახელმწიფო.

ენგელსის მიერ საკითხის ამგვარად დაყენება შეიძლება დაუჯერებელი მოგეჩვენოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია.

„საგარეო პოლიტიკა, — ამბობს ენგელსი, — ეს უსათუოდ ის დარგია, რომელშიც ცარიზმი ძალიან, ძალიან ძლიერია. რუსული დიპლომატია ქმნის ერთგვარად ახალ იეზუიტურ ორდენს, საკმაოდ ძლიერს, რათა საჭიროების შემთხვევაში ძლიოს სამეფო ახირებებს და კორუფციის გავრცელებით აღკვეთოს ის თავის გარემოში. თავდაპირველად ეს ორდენი დაკომპლექტებული იყო უპირატესად გადაბირებული უცხოელებისგან, კორსიკელებისგან, მაგალითად, როგორიც იყო **პოცო დი ბორგო**, გერმანელებისგან, როგორებიც იყვნენ **ნესელროდე, ლივენი.** უცხოელი იყო მისი დამფუძნებელიც — **ეკატერინე მეორე“.**

აქამდე სუფთა სისხლის მხოლოდ ერთმა რუსმა **გორჩაკოვმა** დაიკავა ამ ორდენში მაღალი თანამდებობა. მისი მონაცვლე უკვე კვლავ ატარებს უცხოურ გვარს.

ეს ფარული საზოგადოება თავდაპირველად დაკომპლექტებული იყო უპირატესად უცხოელებისგან და რუსეთის სახელმწიფო მის ამჟამინდელ სიძლიერემდე აწია. რკინისებური დაჟინებით მიიწევდა დასახული მიზნისკენ, არ გაჩერებულა არც ვერაგობის, არც ღალატის, არც მკვლელობის წინაშე, არ დახარბებულა მოსყიდვას, არ დამთვრალა გამარჯვებებით, წაგებისას არ დაცემულა სულით და, გადააბიჯა რა მილიონობით ჯარისკაცის გვამს და, სულ მცირე, ერთი მეფის გვამსაც, ამ ბანდამ, იმდენადვე უსინდისომ, რამდენადაც ნიჭიერმა, გააკეთა მეტი, ვიდრე მთელმა რუსულმა არმიამ, იმისათვის, რომ გაეფართოვებინა რუსეთის საზღვრები დნეპრიდან დვინამდე და ვისლას იქით, პრუტისკენ, დუნაისკენ,



შავი ზღვისკენ, დონიდან ვოლგამდე და კავკასიის იქით, ამუდარიისა და სირდარიის სათავეებთან. ეს მან გახადა რუსეთი დიდი, ძლიერი, შიშის ჩამნერგავი და გაუხსნა მას გზა მსოფლიო მბრძანებლობამდე“ (იხ. ენგელსის ზემოხსენებული სტატია).

შეგიძლიათ იფიქროთ, რომ რუსეთის ისტორიაში, მის საგარეო ისტორიაში, დიპლომატია შეადგენდა ყველაფერს, ხოლო მეფეები, ფეოდალები, ვაჭრები და სხვა სოციალური ჯგუფები — არაფერს ან თითქმის არაფერს.

შეგიძლიათ იფიქროთ, რომ, თუ რუსეთის საგარეო პოლიტიკის სათავეში იქნებოდნენ არა უცხოელი ავანტიურისტები, ნესელროდესა და გირსის მსგავსნი, არამედ რუსი ავანტიურისტები, გორჩაკოვი და მისთანანი, მაშინ რუსეთის პოლიტიკა სხვა გზით წავიდოდა.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დაპყრობითი პოლიტიკა თავისი სიბინძურეებითა და ჭუჭყით საერთოდ არ შეადგენდა რუსეთის მეფეების მონოპოლიას. ყველასათვის ცნობილია, რომ დაპყრობითი პოლიტიკა, აგრეთვე, თანამდევია ევროპის ქვეყნების მეფეებსა და დიპლომატებისა, მათ შორის, ისეთი ბურჟუაზიული ფორმაციის იმპერატორის, როგორიცაა **ნაპოლეონი**, რომელიც, მიუხედავად თავისი სამეფო წარმომავლობისა, წარმატებით იყენებდა თავის საგარეო პოლიტიკაში ინტრიგებსაც, ტყუილსაც, მზაკვრობასაც, პირფერობასაც, მხეცობასაც, მოსყიდვებსაც, მკვლელობებსაც, ცეცხლის წაკიდებასაც.

გასაგებია, რომ სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

ალბათ, თავის პამფლეტში რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ (ენგელსის სტატია კარგი პამფლეტია) ენგელსი ისე იყო გატაცებული, რომ ერთი წუთით დაივიწყა მისთვის კარგად ცნობილი ზოგიერთი ელემენტარული რამ.

**2.** ევროპის მდგომარეობის დახასიათებისას და მოახლოებული მსოფლიო ომის მიზეზებისა და პერსპექტივების ამოხსნისას ენგელსი წერს:

* „თანამედროვე ევროპის მდგომარეობა განისაზღვრება სამი ფაქტით: 1) გერმანიის მიერ ელზასისა და ლოტარინგიის ანექსიით; 2) მეფის რუსეთის კონსტანტინოპოლისკენ სწრაფვით; 3) პროლეტარიატის ბრძოლით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც გაჩაღდა ყველა ქვეყანაში. ბრძოლით, რომლის თერმომეტრად იქცა სოციალისტური მოძრაობის საყოველთაო აღმასვლა“.

* „პირველი ორი ფაქტით განპირობებულია თანამედროვე ევროპის ორ დიდ სახელმწიფო ბანაკად დაყოფა. ელზას-ლოტარინგიის ანექსიამ საფრანგეთი აქცია რუსეთის მოკავშირედ გერმანიის წინააღმდეგ, კონსტანტინოპოლისთვის სამეფო მუქარა გერმანიის მოკავშირედ აქცევს ავსტრიასა და იტალიასაც კი. ორივე ბანაკი ემზადება გადამწყვეტი ბრძოლისთვის, ომისთვის, რომლის მსგავსიც ჯერ არ უნახავს სამყაროს, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდება ათიდან თხუთმეტ მილიონამდე შეიარაღებული მებრძოლი. მხოლოდ ორი გარემოება აბრკოლებდა აქამდე ამ საშინელი ომის აფეთქებას: პირველი — საომარი ტექნიკის სწრაფი განვითარება, როცა ყოველ ახალგამოგონილი იარაღის ნიმუშს, სანამ მოასწრებენ მის შეტანას თუნდაც ერთ არმიაში, წინ უსწრებს ახალი გამოგონებები; და მეორე — შანსების გათვლის აბსოლუტური შეუძლებლობა, თუ ვინ გამოვა საბოლოოდ გამარჯვებული ამ გიგანტური ბრძოლიდან“.

* „ამ მსოფლიო ომის ეს საფრთხეები გაქრება იმ დღეს, როდესაც რუსეთში საქმეები შემოტრიალდება ისე, რომ რუსი ხალხი შეძლებს, ჯვარი დაუსვას თავისი მეფეების ტრადიციულ დამპყრობელ პოლიტიკას და, მსოფლიო ბატონობის ფანტაზიის ნაცვლად, დაკავდეს თავისი ცხოვრების ინტერესებით ქვეყნის შიგნით, ინტერესებით, რომლებსაც უკიდურესი საფრთხე ემუქრება“.

* „რუსეთის ეროვნული კრება, რომელიც მოინდომებს, გაუმკლავდეს თუნდაც ყველაზე გადაუდებელ საშინაო ამოცანებს, იძულებული შეიქნება, ბოლო მოუღოს ახალი დაპყრობებისკენ ყოველგვარ სწრაფვას“.

* „ევროპა მზარდი სისწრაფით, როგორც დახრილ სიბრტყეზე, მიექანება გაუგონარი ძალისა და შესაძლებლობების მსოფლიო ომის უფსკრულში. იგი შეიძლება შეაჩეროს მხოლოდ ერთმა რამემ — რუსეთში წყობილების შეცვლამ. ეს რომ უნდა მოხდეს უახლოეს წლებში, არავითარ ეჭვს არ იწვევს“.

* „იმ დღეს, როდესაც დაემხობა სამეფო ძალაუფლება, საერთო ევროპული რეაქციის ბოლო საყრდენი, ევროპაში დაუბერავს სულ სხვა ქარი“.

შეუძლებელია, არ აღინიშნოს, რომ ევროპის მდგომარეობის ამ დახასიათებასა და მიზეზების ნუსხაში, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ომი, გამორჩენილია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელმაც შემდეგ გადამწყვეტი როლი ითამაშა, სახელდობრ, იმპერიალისტური ბრძოლა კოლონიებისათვის, გასაღების ბაზრისთვის, ნედლეულის წყაროებისთვის, რომელსაც უკვე იმხანად ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა; გამორჩენილია ინგლისის როლი, როგორც მოახლოებული მსოფლიო ომის ფაქტორი, გერმანიასა და ინგლისს შორის წინააღმდეგობის მომენტი, წინააღმდეგობებისა, რომლებსაც უკვე მაშინ ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა და რომლებმაც შემდგომ ითამაშა განმსაზღვრელი როლი მსოფლიო ომის წარმოშობასა და განვითარებაში.

ვფიქრობ, რომ **ეს უკმარისობა შეადგენს ენგელსის სტატიის მთავარ ნაკლოვანებას.**

ამ ნაკლოვანებიდან გამომდინარეობს შემდეგი ნაკლოვანებები, რომელთაგან ურიგო არ იქნება აღინიშნოს შემდეგი:

**ა)** გადაფასება მეფის რუსეთის კონსტანტინოპოლისაკენ სწრაფვის როლისა მსოფლიო ომის მოახლოების საქმეში. მართალია, თავდაპირველად ენგელსი ომის ფაქტორებში პირველ ადგილზე აყენებს გერმანიის მიერ ელზას-ლოტარინგიის ანექსიას, მაგრამ შემდეგ უკანა ▶

**«ევროპის მდგომარეობის ამ დახასიათებასა და მიზეზების ნუსხაში, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ომი, გამორჩენილია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელმაც შემდეგ გადამწყვეტი როლი ითამაშა, სახელდობრ, კოლონიებისთვის იმპერიალისტური ბრძოლა, გასაღების ბაზრისთვის, ნედლეულის წყაროებისათვის, რომელსაც უკვე იმხანად ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა, გამორჩენილია ინგლისის როლი, როგორც მოახლოებული მსოფლიო ომის ფაქტორი, გერმანიასა და ინგლისს შორის წინააღმდეგობის მომენტი, წინააღმდეგობებისა, რომლებსაც უკვე მაშინ ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა და, რომლებმაც შემდგომ ითამაშა განმსაზღვრელი როლი მსოფლიო ომის წარმოშობასა და განვითარებაში. ვფიქრობ, რომ ეს უკმარისობა შეადგენს ენგელსის სტატიის მთავარ ნაკლოვანებას»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ჰიტლერს სსრკ რომ დაემარცხებინა, არ იქნებოდნენ რუსები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა... ამიტომ სტალინის სახელთანაა დაკავშირებული ყოველი ჩვენგანის არსებობა“.

**«ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. პოლიტიკური პარტიებისთვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი შექმნა თებერვალ-მარტის რევოლუციამ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს»**

◀ პლანზე სწევს ამ მომენტს და წინა პლანზე გამოაქვს მეფის რუსეთის სწრაფვა დაპყრობისკენ; ამტკიცებს, რომ „ამ მსოფლიო ომის მთელი ეს საშიშროება გაქრება იმ დღეს, როდესაც რუსეთში საქმეები შემოტრიალდება ისე, რომ რუსი ხალხი შეძლებს დაუსვას ჯვარი თავისი მეფეების ტრადიციულ დამპყრობლურ პოლიტიკაზე“.

**ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა.**

**ბ)** გადაფასება რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის როლისა და „რუსული ეროვნული კრების“ (ბურჟუაზიული პარლამენტი) როლისა მოახლოებული მსოფლიო ომის თავიდან აცილების საქმეში. ენგელსი ამტკიცებს, რომ რუსეთის ცარიზმის დაცემა მსოფლიო ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა. ეს აშკარად გადაჭარბებულია. ახალი ბურჟუაზიული წყობა რუსეთში მისი „ეროვნული კრებით“ ვერ შეძლებდა, თავიდან აეცილებინა ომი თუნდაც იმიტომ, რომ ომის მთავარი ზამბარები ჩადებული იყო ძირითად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის იმპერიალისტური ბრძოლის სიბრტყეში. საქმე ის არის, რომ ყირიმის დამარცხების დღიდან (გასული ასწლეულის ორმოცდაათიანი წლები) ცარიზმის დამოუკიდებელმა როლმა ევროპის საგარეო პოლიტიკის დარგში მნიშვნელოვნად იწყო დაცემა, ხოლო მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა მომენტამდე მეფის რუსეთი არსებითად ასრულებდა დამხმარე რეზერვის როლს ევროპის მთავარი სახელმწიფოებისთვის.

**გ)** „სამეფო ძალაუფლების როლი, როგორც „საერთო ევროპული რეაქციის ძლიერი საყრდენი“ (ენგელსის სიტყვებია). სამეფო ძალაუფლება რუსეთში რომ იყო საერთო ევროპული რეაქციის ძლიერი საყრდენი (აგრეთვე, აზიური), ამაში საეჭვო არაფერია. მაგრამ ის, რომ მას შეეძლო ყოფილიყო ამ რეაქციის ბოლო საყრდენი, ამაში ეჭვის შეტანა დასაშვებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ენგელსის სტატიის ეს ნაკლოვანებები წარმოადგენს არა მხოლოდ „ისტორიულ ღირებულებებს“, არამედ მათ აქვთ ან უნდა ჰქონდეთ კიდევ პრაქტიკული მნიშვნელობაც. სინამდვილეში: **თუ იმპერიალისტური ბრძოლა კოლონიებისთვის და გავლენის სფეროები გამოტოვებულია მხედველობიდან, როგორც მოახლოებული მსოფლიო ომის ფაქტორი, თუ, აგრეთვე, გამორჩენილია მხედველობიდან ინგლისსა და გერმანიას შორის იმპერიალისტური წინააღმდეგობები, თუ გერმანიის მიერ ელზასისა და ლოტარინგიის ანექსია, როგორც ომის ფაქტორი, გადაწეულია უკანა პლანზე რუსული ცარიზმის კონსტანტინოპოლისკენ სწრაფვასთან შედარებით, როგორც ომის უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი, თუ, ბოლოს და ბოლოს, რუსული ცარიზმი წარმოადგენს საერთო ევროპული რეაქციის ბოლო საყრდენს, ნუთუ გასაგები არ არის, რომ ომი, ვთქვათ, ბურჟუაზიული გერმანიისა მეფის რუსეთთან არის არა იმპერიალისტური, არა მძარცველური, არა სახელმწიფოებრივი ომი, არამედ განმათავისუფლებელი ან თითქმის განმათავისუფლებელი ომი?!**

ნუთუ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ მსგავსს აზროვნებას შეეძლო შეემსუბუქებინა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დაცემა 1914 წლის 4 აგვისტოს, როდესაც მან გადაწყვიტა, ხმა მიეცა სამხედრო კრედიტებისათვის და გამოაქვეყნა მეფის რუსეთისგან, ე.წ. რუსული ბარბაროსობისაგან, ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის ლოზუნგი და ა.შ.

დამახასიათებელია, რომ **ბებელისადმი** მიწერილ წერილებში, რომლებიც დაიწერა 1891 წელს (ენგელსის სტატიის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ) და რომლებშიც ლაპარაკია მოახლებული ომის პერსპექტივებზე, ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ „გერმანიის გამარჯვება არის რევოლუციის გამარჯვებაა“, „თუ რუსეთი დაიწყებს ომს რუსეთის მოკავშირეებთან, ვინც უნდა იყვნენ ისინი“.

გასაგებია, რომ ამგვარი აზროვნებისას არ რჩება ადგილი რევოლუციური დამარცხებისთვის, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინური პოლიტიკისთვის.

ამგვარად არის საქმე ენგელსის სტატიის ნაკლოვანებების შესახებ.

როგორც ჩანს, **ენგელსმა, აღშფოთებულმა ფრანკო-რუსული კავშირის მზადებით (1890-1891წ.), რომლითაც თავისი მახვილით მიმართული იყო ავსტრო-გერმანული კოალიციის წინააღმდეგ, თავის სტატიაში მიზნად დაისახა, თავს დასხმოდა რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკას და მისთვის დაეკარგა ყოველგვარი ნდობა ევროპისა და, უწინარესად, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის თვალში, მაგრამ, მიილტვოდა რა ამ მიზნისკენ, მას მხედველობიდან გამორჩა სხვა რიგი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მომენტიც კი. ამის შედეგია სტატიის ცალმხრივობა.**

ღირს კი, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ ენგელსის სტატია დაიბეჭდოს ჩვენს საბრძოლო ორგანო „ბოლშევიკში“, როგორც სახელმძღვანელო სტატია ან ღრმად შემეცნებითი, რადგან გასაგებია, მისი დაბეჭდვა „ბოლშევიკში“ ნიშნავს, მას ჩუმად მიეცეს ზუსტად ასეთი რეკომენდაცია?

ვფიქრობ, არ ღირს.

1934წ. 19 ივლისი.

**ი. სტალინი“**

**(გამოუქვეყნებელი მასალა. სტალინის პირადი არქივი. საქმე 3150)**

სტალინის, როგორც რევოლუციის ბელადის, რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცალკე თემად განხილვა, სწორედ იმ არქივმა და საარქივო მასალებმა გადამაწყვეტინა, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. სხვა ძვირფას საარქივო მასალებს შორის აღმოჩნდა ენგელსის ერთ-ერთი ნაშრომის სტალინის მწვავე კრიტიკა რუსეთის იმპერიისა და იმპერატორთა მიმართ არასწორი შეფასებების გამო, რომელმაც მტკიცედ ჩამომიყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ **სტალინი ყველა შემთხვევასა და ყველა მდგომარეობაში რუსეთისა და სიმართლის დამცველია.**

რით ვერ გაიგეს ქართველმა და რუსმა ხალხებმა ეს რეალობა, როდესაც არა სტალინის თანამედროვე, არა მისი საქმის გამგრძელებელი, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჰენრი კისინჯერი**, თანამედროვე გეოპოლიტიკის არქიტექტორი, სტალინზე ამბობს, რომ:

**„სტალინი დემოკრატიული ქვეყნების სხვა ლიდერებზე მეტად მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით“.**

ან ავიღოთ ამერიკელი პროფესორის, სოვეტოლოგისა და მწერლის — **ალექს დე ჯონგის** სიტყვები: **„ჰიტლერს სსრკ რომ დაემარცხებინა, არ იქნებოდნენ რუსები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა... ამიტომ სტალინის სახელთანაა დაკავშირებული ყოველი ჩვენგანის არსებობა“.**

შვიდჯერ დაპატიმრებული და გადასახლებიდან ექვსჯერ გამოქცეული სტალინი 1917 წლის მარტში საბოლოოდ ჩავიდა რუსეთის იმპერიის დედაქალაქ პეტროგრადში.

ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში ყველა პოლიტიკური პარტია სანაგვეზე მოისროლა. ყველა მოქმედი დიდი თუ პატარა პარტია ცდილობდა, ახალი ადგილი მოეძებნა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ რევოლუციური მუხტი უკვე განელებული იყო. პოლარულლამეებნათევმა სტალინმა, რომელიც პეტერბურგში 1917 წლის 12 მარტს ჩავიდა, თავისი ტუსაღის ზურგჩანთიდან რუსეთის პროლეტარიატის უკვე მოფიქრებული და ფურცელზე გადატანილი გენერალური გეგმა ამოიღო, რომელიც ზებუნებრივი ძალით გაანგარიშებულ და შემუშავებულ პროგრამას ჰგავდა და ეყრდნობოდა შემდეგ დასკვნას: **„აუცილებელია, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაცია და რუსეთის სახელმწიფოს მოსალოდნელი კატასტროფისგან ხსნა, „რუსული სმუტის“ თავიდან აცილება“.**

პროფესორი **ვახტანგ გურული** თავის გენიალურ ნაშრომში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ წერს:

„რუსი ბოლშევიკების ლიდერი ვლადიმერ ლენინი პეტროგრადში 1917 წლის 3 აპრილს დაბრუნდა. 7 აპრილს „პრავდაში“ გამოაქვეყნა ცნობილი „აპრილის თეზისები“, რომელშიც მოცემული იყო მომხდარის შეფასება და ბოლშევიკთა სამოქმედო პროგრამა. ვ. ლენინის „აპრილის თეზისების“ ძირითადი დებულებები აღებულია 1917 წლის მარტში გამოქვეყნებული ი. სტალინის შემდეგი ნაშრომებიდან: „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ“ (14 მარტი), „ომის შესახებ“ (16 მარტი), „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“ (18 მარტი), „ნაციონალურ შეზღუდვათა შესახებ“ (25 მარტი).

ამრიგად, **1917 წლის 25 მარტისთვის სტალინს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგების ლიკვიდაციის გეგმა, რომლის ყველა ძირითადი დებულება უცვლელად აიღო ვ. ლენინმა. აშკარა პლაგიატის ფაქტი დოკუმენტურადაა დადასტურებული. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა: ი. სტალინისა და ვ. ლენინის ასეთი დამოკიდებულება 1917 წლის 24 ოქტომბრამდე — გადატრიალების წინა დღემდე. ი. სტალინი მისთვის დამახასიათებელი სიმარტივითა და აზრის სინატიფით წამოაყენებდა რაიმე დებულებას, ლენინი კი იმავე დებულებას მისთვის დამახასიათებელი, რთული, გაუგებარი, სიცხადეს მოკლებული ენით რამდენიმე დღის შემდეგ მიითვისებდა ხოლმე.**

ლენინის ილუზია პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესახებ სავსებით გაფანტა 1905—1907 წლების რევოლუციამ. **რუსეთი ის ქვეყანა იყო, რომელშიც მეჯინიბე ან გაკრეჭილი ბერი შეიძლებოდა მეფის ტახტზე დამჯდარიყო, მაგრამ რუსეთი ის ქვეყანაც იყო, რომელშიც მეფე-მამის მისიის აღსრულება ყველას არ შეეძლო. რევოლუციამ, მისმა მსვლელობამ და მარცხმა ლენინი, როგორც მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, გააკოტრა. იგი ახალს ვერაფერს ქმნიდა, თავს ისევ მარქსისტად ასაღებდა, კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიდა.**

ასეთ ვითარებაში რუსეთში განგებისგან განსაზღვრული მისიის აღსრულებას იწყებს იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი). იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება ახდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგრია და პოლიტიკური პარტიებისთვის ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაშალა. **იოსებ სტალინის ზებუნებრივმა ნიჭმა და ენერგიამ გასაქანი ჰპოვა და ის თავისი მისიის შესრულებას შეუდგა. ი. სტალინის ამ მისიის შესრულება მარქსისტის მანტიამოსხმულს მოუხდა. იმხნად სტალინს მის მიერ ახალი მოძღვრების შექმნაზე რომ დაეწყო ლაპარაკი, იგი უნდა დაპირისპირებოდა ლენინსა და მთელ ბოლშევიკურ პარტიას. ეს ძალზე გაართულებდა პოლიტიკური მიზნის განხორციელებისთვის ბრძოლას. მარქსისტის სამოსელი კი სტალინს სულაც არ უშლიდა ხელს ჩანაფიქრის აღსრულებაში.**

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკური პარტიის გამარჯვება სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. პოლიტიკური პარტიებისთვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი შექმნა თებერვალ-მარტის რევოლუციამ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს (პროფ. ვ. გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“, გვ. 34).

**(გაგრძელება იქნება)**


ენგელსი



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჟურნალისტებთან ლაყბობის ნაცვლად ოლანდმა, უმჯობესია, იფიქროს იმაზე, როგორი ფერებით დაგვიხატავს თავის პრეზიდენტობას. ოლანდს ამის გასაკეთებლად არ ეყოფა ფანტაზია, ისევე, როგორც თავის დროზე ვერ გაისიგრძეგანა, რა რთული და დაუძლეველი სამუშაო ელოდა პრეზიდენტობის ხუთწლიან ვადაში. ამიტომაა, რომ ოლანდისადმი ნდობის პროცენტი ისტორიულ მინიმუმამდე — 11 პროცენტამდე დაეცა. საფრანგეთის არც ერთი პრეზიდენტი არ ჩაძირულა ისე ღრმად, როგორც ოლანდი“.**



«Gallup»:

# აშშ-ის საარჩევნო სისტემისადმი უნდობლობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

**ამერიკელების ეს ნეგატიური დამოკიდებულება გელაპის ინსტიტუტმა გამოარკვია 25-26 ოქტომბერს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვით, რომელმაც მოიცვა 50 შტატი და კოლუმბიის ფედერალური ოლქის 1000 მოქალაქე.**

გაირკვა, რომ მოცემული მომენტისთვის რესპონდენტთა 69 პროცენტს არჩევნების ეროვნული სისტემა უსამართლოდ მიაჩნია, რაც 10 პროცენტით მეტია, 2016 წლის მონაცემებზე და 16 პუნქტით აჭარბებს 2008 წლის მონაცემებს. იმხანად **ბარაკ ჰუსეინ ობამა** პრეზიდენტობისთვის იბრძოდა.

The Pew Research Center-ის მონაცემებით, ამომრჩევლების მხოლოდ 35 პროცენტმა მიიჩნია, რომ პრაიმერიზი არის კარგი საშუალება პრეზიდენტის პოსტზე კვალიფიციური კანდიდატების ასარჩევად. საზოგადოებრივი აზრის შესწავლით დადგინდა, რომ **დონალდ ტრამპი** და **ჰილარი კლინტონი** ამერიკის ისტორიაში ყველაზე არაპოპულარული კანდიდატები არიან. ორივეს ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს პატიოსნებისა და მათდამი ნდობის თვალსაზრისით.



«ვაშინგტონ პოსტი»:

# ფილიპინების პრეზიდენტი კვლავ აგინებს ამერიკელებს

**როდრიგო დუტერტემ სიტყვა გატეხა და კვლავ შეაგინა ამერიკელებს: მაიმუნები და სულელები უწოდა იმიტომ, რომ იანკებმა უარი უთხრეს ფილიპინელებისთვის 26 ათასი ამერიკული წარმოების შაშხანის მიყიდვაზე.**

„შეხედეთ ამ მაიმუნებს! მათ არ სურთ, მოგვყიდონ 26 ათასი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთა ყიდვაც გვინდოდა. ძუკნები! ჩვენ გვეყოფა ჩვენივე წარმოების იარაღი სულელი ამერიკელების გარეშეც“, — განაცხადა ბატონმა როდრიგო დუტერტემ.

ასე დაარღვია „ღმერთისა და ხალხის წინაშე“ 28 ოქტომბერს დადებული პირობა, რომ ალარ შეაგინებდა ამერიკელებს; დაარღვია კი თურმე იმიტომ, რომ იაპონიაში დიპლომატიური ვიზიტიდან დაბრუნებისას „ღმერთის ხმა“ მოესმა(!).

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჯონ კირბიმ** ვერ ახსნა, რატომ უწოდა დუტერტემ ამერიკელებს მაიმუნები.

მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ ასეთი სიტყვები ეწინააღმდეგება ამერიკის „მჭიდრო ურთიერთობას“ ფილიპინელ ხალხსა და მთავრობასთან;

„ამ ურთიერთობას ვავითარებდით წლების განმავლობაში... და იგი (ურთიერთობა) კვლავაც გრძელდება“, — თქვა მან. ამასთანავე, ხაზი გაუსვა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ქვეყნის ხელმძღვანეოლბა „არ ეყრდნობა ერთი ადამიანის მხრებს“, მაგრამ ამ ერთ ადამიანთანაც შეიძლება კარგი, სამუშაო „ურთიერთგაგების“ დამყარება.



«ლე ფიგარო»:

# ფრანსუა ოლანდისადმი ნდობის 11-პროცენტიანი ზღვარი

**საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს ვადის გასვლამდე ცოტა დრო დარჩა. „ლე ფიგარო“ მისი პრეზიდენტობის ხუთწლიან ვადას აჯამებს.**

ეს პერიოდული ორგანო აცხადებს, რომ ჟურნალისტებთან ლაყბობის ნაცვლად მან (ოლანდმა), უმჯობესია, იფიქროს იმაზე, როგორი ფერებით დაგვიხატავს თავის პრეზიდენტობას. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ოლანდს ამის გასაკეთებლად არ ეყოფა ფანტაზია, ისევე, როგორც თავის დროზე ვერ გაისიგრძეგანა, რა რთული და დაუძლეველი სამუშაო ელოდა პრეზიდენტობის ხუთწლიან ვადაში. ამიტომაა, რომ **ოლანდისადმი ნდობის პროცენტი ისტორიულ მინიმუმამდე — 11 პროცენტამდე დაეცა.** საფრანგეთის არც ერთი პრეზიდენტი არ ჩაძირულა ისე ღრმად, როგორც ოლანდი.

ფრანსუა ოლანდი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ გაინალდა რესპუბლიკის პრეზიდენტობის წყნარი და უზრუნველი ცხოვრება, როცა 2012 წელს **ნიკოლა სარკოზი** დაამარცხა. ეს იყო დიდი შეცდომა!“ — ირონიულად შენიშნავს „ლე ფიგაროს“ ჟურნალისტი და ხაზს უსვამს, რომ კიდევ ერთი შეცდომა იყო იმაზე ფიქრი, რომ უმრავლესობა სოციალისტების ერთიანი მეგობრული ოჯახია. „ოლანდი, ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანა ცხოვრობს ისე, როგორც 20 წლის წინათ **ლიონელ ჟოსპენის** დროს — გამარჯვებულ გლობალიზაციამდე, „ისლამურ სახელმწიფომდე“, მიგრაციულ კრიზისამდე. ყველა ამ პრობლემის დასაძლევად ოლანდი, ვაი, რომ მზად არ იყო. შექმნილი არასტაბილური სიტუაცია პრეზიდენტისგან არასტანდარტულ გადაწყვეტილებას მოითხოვდა, რომლის ძალაც საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურს, სამწუხაროდ, არ შესწევს“, — მიიჩნევს მემარჯვენე გაზეთი და დასძენს, რომ შექმნილ სიტუაციაში ჩერჩილის ხედვით, გამოცდილებით და გონიერებით უნდა იყოს აღჭურვილი.

ამასთანავე, 10 წლის განმავლობაში ოლანდს სოცპარტიის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა, რაც, სტატიის ავტორის აზრით, „უდიდესი ნაკლია“ სახელმწიფოს მეთაურისთვის.

ქვეყნის სათავეში დგომა სულაც არ არის პარტიის ლიდერობა — ეს არის მიმდინარე საკითხების გადაწყვეტა ან შიდა კონფლიქტების გარჩევა. ამაზე ყოფილ პირველ მდივანს, ფრანსუა ოლანდს, არ უფიქრია, როცა ელისეს სასახლეში გადაბარგდა. ახლა კი ფრანგები მისგან ანგარიშის ჩაბარებას ითხოვენ.



«ფოქს ნიუსი»:

# საარჩევნო თაღლითობისთვის — ციხე

**ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების განსაზღვრის კრიტიკულად მნიშვნელოვანი შტატების სამ მოქალაქეს ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალდება წარუდგინეს, რომელიც საარჩევნო თაღლითობას ეხება.**

**ვაფალა მასაკუას** 40 წლით პატიმრობა ემუქრება, თუ დაუმტკიცდა, რომ რეგისტრაციაში ატარებდა არარსებულ ამომრჩევლებს. სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, 30 წლის მასაკუა ერთ-ერთი რეგიონული „პროპაგანდისტური ჯგუფისთვის“ მუშაობდა, რომლის არაკანონიერი საქმიანობის შესახებ ადგილობრივმა მოხელეებმა შეიტყვეს.

ფლორიდაში 74 წლის **გლედის კოეგო** დააპატიმრეს, რომელიც მისმა კოლეგებმა, რომლებთან ერთადაც მუშაობდა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ბიუროში, ამხილეს ხმის მიცემის შედეგების გაყალბებაში ადგილობრივი მერის ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლოდ.

მზიან შტატშივე ამხილეს 33 წლის ქალი — **ტომიკა კერგილი**, რომელმაც შეავსო ხუთი სარეგისტრაციო ფორმა ამომრჩეველთა თანხმობის გარეშე. გამოძიების ინფორმაციით, კერგილი უწინ ამავე ხერხით აყალბებდა სარეგისტრაციო ფორმებს არარსებულ ამომრჩევლებზე, ასევე, ზოგიერთ გარდაცვლილ ადამიანზე.

**ჰალედ ხოჯამ დაადასტურა ის, რაზეც, დიდი ხანია, ლაპარაკობს სირიის ხელისუფლება, კერძოდ ის, რომ ე.წ. ზომიერი ოპოზიცია და ტერორისტები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ხოჯამ აღიარა, რომ განსხვავება მათ შორის არ არსებობს და ორივეს ერთად გარე ძალები სირიის ეროვნული სუვერენიტეტის შერყევისთვის იყენებენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



«რია ნოვოსტი»:

# სტივენ სიგალმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ამერიკელი მსახიობისა და პროდიუსერის — სტივენ სიგალის რუსეთის მოქალაქედ მიღების შესახებ. ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია კრემლის საიტზე.**

პრეზიდენტის პრესმდივნის — **დიმიტრი პესკოვის** განცხადებით, მოქალაქეობის მიღების თხოვნით სიგალი პრეზიდენტს „დაჟინებით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში" მიმართავდა.

სიგალი არაერთგზისაა ნამყოფი რუსეთში და ყოველთვის აცხადებდა, რომ მოსწონს ამ ქვეყნის კულტურა. იუჟნოსახალინსკში კინოფესტივალ „ქვეყნის კიდეზე" ყოფნისას მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ კარგ პოტენციალს ხედავს ნახევარკუნძულზე თავისი ბიზნესის საწარმოებლად.

მსახიობი აპირებს, წელიწადში რამდენიმე თვე რუსეთში დაჰყოს „იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც მე ვუყვარვარ და მელოდებიან".

სიგალი იმასაც ყვებოდა, რომ მისი ბაბუა მამის მხრიდან რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში დაიბადა, XX საუკუნეში კი აშშ-ში გადაბარგდა. თავისი ფესვების ძიებაში სიგალი ეწვია ყალმუხეთს, ტუვასა და იაკუტიას.

სიგალმა შეავსო ცნობილი უცხოელების სია, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს. ესენი არიან: ფრანგი მსახიობი **ჟერარ დეპარდიე**, იტალიელი დირიჟორი და პიანისტი **ფაბიო მასტრანჯელო**, ბერძენი დირიჟორი **თეოდორ კურენტიზი**, მოკრივე **როი ჯონს-უმცროსი**, სამხრეთკორეელი მოციგურავე **ვიქტორ ანი**, აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი **ჯეფრი მონსონი** და სხვ.




SKY News:

# ნატოს ყოფილმა გენმდივანმა აშშ-ს მოუწოდა, გახდეს «მსოფლიო პოლიციელი»

**რასმუსენმა გააკრიტიკა ბარაკ ობამას ადმინისტრაცია იმის გამო, რომ არ სურს, გამოიყენოს სამხედრო ძალა ან თუნდაც მისი გამოყენების მუქარით დააშინოს სხვა ქვეყნები.**

„გვჭირდება ამერიკა, როგორც მსოფლიო პოლიციელი. ჩვენ გვჭირდება აშშ-ის ლიდერობა მსოფლიოში", — განაცხადა მან.

ნატოს ყოფილმა მეთაურმა აშშ-ს ზესახელმწიფო უწოდა და გამოთქვა შეშფოთება, რომ ამერიკის მომდევნო პრეზიდენტი შეიძლება გახდეს **დონალდ ტრამპი**, რაც „დიდად საშიში იქნება მთელი მსოფლიოსთვის".

„სირია ომითაა გახლეჩილი, ერაყი კატასტროფის ზღვარზეა, ლიბია ყოფილი ჩრდილოაფრიკული სახელმწიფოა. რუსეთი თავს დაესხა უკრაინას და აღმოსავლეთ ევროპის დესტაბილიზაცია გამოიწვია, ჩინეთი კუნთებს ათამაშებს. ჩრდილოეთ კორეა ატომური იარაღის გამოყენებით იმუქრება", — ჩამოთვალა მან.

რასმუსენი ამჟამად თბილად არის მოწყობილი — ამერიკულ საინვესტიციო ბანკ „გოლდმან საქსში" მრჩევლად მუშაობს.

რუსეთის საგარეო საქმეთა ოფიციალურმა წარმომადგენელმა **მარია ზახაროვამ** მკვეთრად გააკრიტიკა რასმუსენი, რომელმაც აშშ-ს მოუწოდა, გახდეს „მსოფლიოს ჟანდარმი".

„როგორ არიან დაშორებული მსოფლიო ჟანდარმერიაზე მეოცნებე ადამიანები დემოკრატიას, დარწმუნებული არ ვარ, რომ მათ რამე იციან დემოკრატიის შესახებ", — დაწერა მან თავის „ფეისბუქში".



«იზვესტია»:

# სირიის ოპოზიციამ ტერორისტებთან თანამშრომლობა აღიარა

**სირიის საგარეო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ჰალედ ხოჯამ განაცხადა, რომ „ზომიერი დაჯგუფებები" იძულებით თანამშრომლობენ ალეპოელ ტერორისტებთან... მოსკოვში ამ განცხადებას უაზროს უწოდებენ იმ ფონზე, როცა რუსეთი ჰუმანიტარული მდგომარეობის შესამსუბუქებელ ნაბიჯებს დგამს ალეპოს აღმოსავლეთ რაიონებში. სირიაში, სხვათა შორის, მიუთითებენ, რომ ტერორისტებსა და ოპოზიციას შორის განსხვავება დიდი ხანია, აღარ არსებობს. ალეპო კი, ადრე თუ გვიან, გათავისუფლდება.**

— მოსახლეობას, რომელიც აღმოსავლეთ ალეპოს რაიონებში ალყაშია მოქცეული, სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ მიიღოს ისლამისტი „ბოევიკების" მიერ შეთავაზებული დახმარება", — განაცხადა **ჰალედ ხოჯამ** და განმარტა, რომ, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია „ჯებჰატ ან-ნუსრაზე".

რუსეთსა და სირიაში მიიჩნევენ, რომ ხოჯას სიტყვები ადასტურებს „ზომიერი „ბოევიკებისა" და ტერორისტების დაახლოების ფაქტს და იმასაც, რომ შეიარაღებულ დაჯგუფებებს არ სურთ, იპოვონ გამოსავალი ალეპოში შექმნილი რთული სიტუაციიდან.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხების თავმჯდომარის მოადგილემ **ვლადიმერ ჯაბაროვმა** „იზვესტიას" განუცხადა, რომ სულ უფრო თვალსაჩინო ხდება „ბოევიკებისა" და ზომიერი ოპოზიციის შეზრდის პროცესი:

— რას ნიშნავს, არ აქვთ „სხვა გამოსავალი"?! სთხოვონ ამერიკელებს, დაეხმარონ „ჯებჰატ ან-ნუსრასთან" დისტანცირებაში, მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ. პირიქით — ოპოზიცია უარს არ ამბობს „ბოევიკებისგან" დახმარების მიღებაზე და იბრძვის მათ მხარეს, ბომბავს საცხოვრებელ კვარტლებს, დანაშაულს კი იმით ამართლებს, რომ სხვა გამოსავალი არ აქვს. ამ დროს რუსეთი აცხადებს სიჩუმის რეჟიმს, ხსნის გასასვლელებს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის; ასევე, უფლებას აძლევს შეიარაღებულ „ბოევიკებს", დატოვონ ქალაქი, თუმცა „შეიარაღებული ოპოზიციიდან" ცოტა ვინმე თუ იყენებს ამ შესაძლებლობას.

მაგრამ დიდხანს ასე ვერ გაგრძელდება. რომელიღაც მომენტში განახლდება შეტევა ალეპოს ალყაში მოქცეულ რაიონებზე და რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალები სირიის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად კვლავ დაბომბავენ „ბოევიკებს".

არაბული მასმედიის ცნობით, ბოლო დღეებში „ბოევიკებმა" გააძლიერეს ალეპოს იმ დასავლეთი რაიონებისთვის ცეცხლის დაშენა, რომლებსაც სირიის არმია აკონტროლებს. ეს კი მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას იწვევს.

ნიშანდობლივია, რომ, ორ კვირაზე მეტია, რუსეთისა და სირიის ავიაცია არ ბომბავს ტერორისტების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს. ალეპოში გახსნილია 8 ჰუმანიტარული დერეფანი. ორი მათგანით შეუძლიათ ისარგებლონ „ბოევიკებმა" — გავიდნენ იარაღით. ტერორისტების ჩასაფრებული სნაიპერები დაუნდობლად ესვრიან მშვიდობიან მოსახლეობას, რომელიც ცდილობს, ამ დერეფნებით თავი დააღწიოს ქალაქში გამეფებულ ჯოჯოხეთურ სიტუაციას.

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბოევიკებმა" დააწესეს ე.წ. ომის გადასახადი 150 ათასი სირიული ლირის (300 დოლარი) ოდენობით მათთვის, ვისაც ჰუმანიტარული დერეფნებით გასვლა სურს. ამ შინაარსის ფურცლები უმაღლესი სამხედრო საბჭოს „ჯეიეშ ალ-ფახტის" სახელით ვრცელდება ქალაქის მოსახლეობას შორის.

რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ახალი ჰუმანიტარული პაუზა გამოაცხადა, რომელიც 4 ნოემბერს 09:00 საათიდან 19:00 საათამდე გაგრძელდა.

სირიის პარლამენტის დეპუტატმა **ამარ ბაღდაშმა** „იზვესტიას" განუცხადა, რომ გარე ოპოზიციის განცხადების შემდეგ არავინ უნდა დაეჭვდეს, რომ დამასკოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ალეპოს გათავისუფლება.

ჰალედ ხოჯამ დაადასტურა ის, რაზეც, დიდი ხანია, ლაპარაკობს სირიის ხელისუფლება, კერძოდ ის, რომ ე.წ. ზომიერი ოპოზიცია და ტერორისტები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ხოჯამ აღიარა, რომ განსხვავება მათ შორის არ არსებობს და ორივეს ერთად გარე ძალები სირიის ეროვნული სუვერენიტეტის შერყევისთვის იყენებენ. „ალეპო სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქალაქია, ამიტომ ხელისუფლება (დამასკო) ძალას არ დაიშურებს, კვლავ დაიქვემდებაროს იგი, — განაცხადა ამარ ბაღდაშმა.



გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ პრეზიდენტად შემოგვაჩეჩებდით, თავისუფლების ინსტიტუტის ძუძუნაწოვ წინდების მქსოველ მარგველაშვილს, განათლების მინისტრად დაგვისვით, ხოლო მისი გაპრეზიდენტების შემდეგ მინისტრად დანიშნეთ უდიპლომო ბუღალტერი თამარ სანიკიძე. ბოლოს კი სამინისტროს სათავეში თქვენმა ქებულმა კვირიკაშვილმა ვილაც კოლუაშვილივით უცნობი (ნეტავ სად პოულობს?), გაურკვეველი ბიოგრაფიისა და ამ თანამდებობისათვის წინამორბედებივით ყოვლად შეუფერებელი სუბიექტი ჯეჯელავა დასვა. ბატონო ბიძინა, ქართულმა განათლებამ ნაცებთან ერთად თქვენც დაგიშავათ რამე?**

# დაულუქავი უსტარი დიად «კოაბიტატორსა» და №1 «მოქალაქეს» — ბიძინა ივანიშვილს!

**„ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“**

**ლენინი**

## «სტომაქისტებო», გაილვიძეთ, დეპოში ვართ!



**ბატონო ბიძინა!**

2011 წლის 7 ოქტომბერს თქვენ მიერ სატელევიზიო ეთერში გაკეთებული სენსაციური განცხადება პოლიტიკაში ჩართვის შესახებ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი მოვლენა იყო. თქვენი ქველმოქმედების შესახებ ლეგენდები დადიოდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა თქვენი ერთი ფრაზა: „დავინახე რა, რომ სამშობლოს ვკარგავდი, ამიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა. ამას დაემატა ისიც, რომ უტამ კატეგორიულად მომთხოვა ამ ნაბიჯის გადადგმა, თან მითხრა: შენ თუ არ გააკეთებ ამას, მე გავაკეთებო!“. ამის შემდეგ დაიწყო თქვენი ხშირი გამოსვლა ტელევიზიებში და არჩევნებისთვის ინტენსიური მზადება. განსაკუთრებით გამოვყოფ თქვენ მიერ 2012 წლის 27 მაისს ჩატარებულ ხალხმრავალ მიტინგს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, სადაც უშურველად გაეცით დაპირებები... მანამდე არ ჩანდით ჰორიზონტზე, მით უმეტეს — სამების ტაძრის მშენებლობის პერიოდში, რაზეც ერთ-ერთი ქადაგებისას ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა: „მან, ვინც ამ ტაძრის მშენებლობას აფინანსებს, გვთხოვა, მის შესახებ რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია იქნას გაცემული“. მახსენდება დიდი ილიას სიტყვები: „ჭეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა“. კეთილმა საქმეებმა უფრო აგამაღლათ ხალხის თვალში და ხალხმაც უფრო მეტი სითბოს გამომჟღავნება ისურვა თქვენდამი...

**დაიწყეთ რა არჩევნებისთვის მზადება, კოალიციაში შეყარეთ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ყველა შემთხვევითი სუბიექტი, რომლებმაც კოალიციაში შეყვანამდე და კოალიციიდან გასვლის შემდეგაც არჩევნებამდე დარჩენილი პერიოდი თქვენ ლანძღვა-გინებაში გაატარეს.**

და აი დადგა ნანატრი 2012 წლის 1 ოქტომბერი. ხალხმა არ დაინანა ხმები „ქართული ოცნებისთვის“. ხალხის მონდომების შედეგად „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა დიდი უპირატესობით „ნაცმოძრაობაზე“ და დადგა მოლოდინის პერიოდი, როდესაც უნდა დაწყებულიყო დაპირებების შესრულება. გავიდა დღეები, კვირები, თვეები, მიილია ოთხი წელიც და ხალხი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული, სამართლიანობამ და მის აღდგენაზე ფიქრმა ჭირი მოგვჭამა. აქ საუბარია მხოლოდ სამართლიანობის აღდგენაზე, დაჩაგრული ადამიანების შელახული თავმოყვარეობის აღდგენაზე და სხვა არაფერზე! **ზემოთ თქვენი ნათქვამი გავიხსენე სამშობლოს დაკარგვაზე და მინდა, გკითხოთ: გადარჩა თქვენი სამშობლო დაკარგვას? მე სამშობლო იუდა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დავკარგე და დღემდე ვერ მიპოვნია იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ჯერჯერობით კაცი არ გამოჩნდა ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრალი, ყველა, სამწუხაროდ, მხოლოდ თავის სტომაქზე ფიქრობს, ამიტომაც შევარქვი მათ სტომაქით მოფიქრალნი.** ჩემი ეს ნათქვამი პირდაპირ ესადაგება სასმელი წყლის ყბადაღებულ თემას, რომელმაც საქართველო შეიძლება გაიყვანოს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ავანგარდში. ვიღაცების ხუშტურის გამო საქართველოს მოსახლეობა ყოველდღიურად კარგავს დიდ მატერიალურ სიმდიდრეს. **„სტომაქისტებო“, გაიღვიძეთ, დეპოში ვართ!**

დავიწყებ თქვენი პრემიერობის პერიოდიდან. მინისტრთა კაბინეტი, რომელიც თქვენ შეადგინეთ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ დაგისახელებთ იმ მინისტრებს, რომლებიც ნამდვილად ამართლებენ დაკავებულ თანამდებობებს. ესენი არიან — **დავით სერგეენკო, ნოდარ ჯავახიშვილი, ქეთევან ციხელაშვილი, კახი კახიშვილი.** დანარჩენები უქნარები იყვნენ და არიან, ტყუილად აცდენენ ადგილებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სისტემა. ამ სისტემის განადგურებასა და გათახსირებაში ნაცებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს, მაგრამ თქვენმა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო — სანამ პრეზიდენტად შემოგვაჩეჩებდით, თავისუფლების ინსტიტუტის ძუძუნაწოვ წინდების მქსოველ **მარგველაშვილს**, განათლების მინისტრად დაგვისვით, ხოლო მისი გაპრეზიდენტების შემდეგ მინისტრად დანიშნეთ უდიპლომო ბუღალტერი **თამარ სანიკიძე**. ბოლოს კი სამინისტროს სათავეში თქვენმა ქებულმა **კვირიკაშვილმა** ვილაც კოლუაშვილივით უცნობი (ნეტავ სად პოულობს?), გაურკვეველი ბიოგრაფიისა და ამ თანამდებობისთვის წინამორბედებივით ყოვლად შეუფერებელი სუბიექტი **ჯეჯელავა** დასვა.

**ბატონო ბიძინა, ქართულმა განათლებამ ნაცებთან ერთად თქვენც დაგიშავათ რამე?** აბა, საღად მოაზროვნე ადამიანმა რა შეიძლება იფიქროს იმაზე, რასაც თქვენი ხელისუფლება აკეთებს? საქართველო სსრკ-ის პერიოდში ერთ-ერთი განათლებული და მკითხველი რესპუბლიკა იყო. 1944 წლიდან ქართული განათლების სათავეში იყვნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად უყვარდათ საქართველო — **ვიქტორ კუპრაძე, გიორგი ჯიბლაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ოთარ ქინქლაძე, ნათელა ვასაძე, გურამ ენუქიძე, ელიზბარ ჯაველიძე, გუჩა კვარაცხელია.** ჩამოთვლილი ადამიანები, მიუხედავად იმხანად არსებული რეჟიმისა, რომელიც განათლებასა და ქართულ ენას უხიაგად არასოდეს შეხებია (ერთხელ კი სცადა იუდა შევარდნაძემ, ქართული ენის ხარჯზე ესიამოვნებინა თავისი მოსკოველი პატრონებისათვის, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა), თავდაუზოგავად ილვწოდნენ განათლების სფეროს განვითარებისთვის. ქართულ სულს (მაშინაც კი) ყოველთვის ჰყავდა ჭეშმარიტი დამცველი. დღეს კი რა ხდება? — დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (?) წოდებულ საქართველოს ელემენტარული პრობლემა ვერ მოუგვარებია. რომელი ერთი ჩამოვთვალო? **ვერ შეცვალეთ ნაცების პარტიული დროშა; ვერ მოახერხეთ გერბზე წმინდა გიორგის გამოსახულების შემობრუნება; ვერ თუ არ დააბრუნეთ დიდი მერაბ ბერძენიშვილის ხელთუქმნელი შედევრი — დავით აღმაშენებლის ძეგლი პირვანდელ ადგილზე; უცხო ქვეყნების ელჩების შიშით, ვერ შეასრულეთ დაპირება სტალინის ძეგლის კუთვნილ ადგილზე დაბრუნების შესახებ.**

ეს ის სტალინია, რომელმაც თავისივე ბუნაგში გაანადგურა ყავისფერ ჭირად წოდებული გერმანული ფაშიზმი. და, **საკითხავია, თქვენგან და თქვენს ფავორიტ კვირიკაშვილისგან უარყოფილი პიროვნება რომ არ მოვლენოდა მხსნელად კაცობრიობას, როგორ იცხოვრებდით ამ ქვეყანაში?!**

ქუთაისში ნაცების მიერ აფეთქებული მერაბ ბერძენიშვილის შექმნილი გამარჯვების მემორიალის (რასაც შეეწირა უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე) აღდგენაზე კი არც გიფიქრიათ. არ გიფიქრიათ ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე... და, რაც მთავარია, 2016 წელი იუნესკომ გენიალური **შოთა რუსთაველის** წლად გამოაცხადა, თქვენ კი ყურიც არ გააბარტყუნეთ იუბილის ჩასატარებლად, არადა, „საზიზღარი“ კომუნისტების პერიოდში, 1966 წელს, საბჭოთა კავშირმა პროგრესულ მსოფლიოსთან ერთად, იუნესკოს ეგიდით, ზარ-ზეიმით აღნიშნა რუსთაველის იუბილე; ვერ თუ არ მოსთხოვეთ სათანადო პასუხი **დავით ბაქრაძეს**, თბილისში პარლამენტის შენობის (რომელიც ვერ იქნა და ვერ გადმოიტანეთ ქუთაისიდან თბილისში) დანგრევისა და ავეჯის განადგურებისთვის; არ თუ ვერ ჩამოართვით **გიული ალასანიას, გიორგი პაპუაშვილსა** და ბევრ სხვას სააკაშვილის მიერ უკანონოდ გადაცემული სახელმწიფო ქონება.

კვირიკაშვილზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა. **ირაკლი ღარიბაშვილის**, ამ თხემით ტერფამდე ქართველის, თანამდებობიდან იძულებით(!) გადადგომის შემდეგ მის მაგივრად მოიყვანეთ „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ სულიერი მემკვიდრე, რომელსაც, ეტყობა, გული, ქართულად კი არა, ევროპულად უძგერს, და ჩააბარეთ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობა. მოსვლისთანავე მანაც დაიწყო ლიბერასტი ქართველებივით ნატო-ევროკავშირის ძახილი.

ბატონო ბიძინა, მე და ჩემი თაობა (ცოტა უფროსები — ცოტა უმცროსები), რომლებიც გავიზარდეთ კომუნისტურ ეპოქაში, თითქოს არ უნდა ვიყოთ (ზოგიერთის წარმოდგენით) სამშობლოსადმი სიყვარულით მოლაციცენი, მაგრამ ვართ. ჩვენ გავიზარდეთ დიდი გალაკტიონისა და ჭეშმარიტი ქართველი მწერლების ნამოღვაწარზე. ზოგიერთის გასაკვირად, ჩვენი ცხოვრებისეული მრწამსი იყო: **„ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია, სანამ გმირმა შენთვის სული დალია, თქვა:** ▶

**მაინტერესებს, რა პასუხს გასცემს კვირიკაშვილი ბირბვლიანის, რობაქიძის, თეთრაძის, შავაძის, ცინდელიანის, ვაზაგაშვილების, შარაძის, კრიალაშვილის, აფრასიძეების, ადმირალ ირემაძის, მოლაშვილისა და ბევრი სხვა უმიზეზოდ ნაწამებისა და დახვრეტილის, ქონებაწართმეულის, გაუპატიურებულის ოჯახებს. თუ თქვენთვის სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია, ყმაწვილო?! სანამ რამეს იტყვით, კარგად დაფიქრდით!**

## ოდესის ოლქის პოლიციის უფროსმა გიორგი ლორთქიფანიძემ თანამდებობა დატოვა



**ოდესის ოლქის პოლიციის უკვე ყოფილი უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე თანამდებობიდან წასვლის მიზეზს არ ასახელებს. გია ლორთქიფანიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მუშაობდა.**

**გიორგი ლორთქიფანიძეს** საქართველოს პროკურატურა 2011 წლის 26 მაისს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავება. ლორთქიფანიძეს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წაუყენეს. ბრალის წაყენებამდე ლორთქიფანიძე პროკურატურაში დაკითხვაზე იყო დაბარებული და საგამოძიებო უწყებაში გამოცხადებისთვის გონივრული ვადა მიეცა, მაგრამ ის პროკურატურაში დაკითხვაზე არ გამოცხადდა. როგორც მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს, ლორთქიფანიძეს ჯერ ფუნქციების უმეტესობა ჩამოართვეს, შემდეგ კი მისი დევნა დაიწყო.

**„ახლა კორუფციონერებსა და ყველა ჯიშის ნაძირალებს შეუძლიათ, გამარჯვება იზეიმონ. მაგრამ ვარწმუნებ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება“,** — წერს მიხეილ სააკაშვილი.

**ბატონო ბიძინა, ახლა ხომ ველარ იტყვით, რომ პარლამენტში მუშაობაში ხელს გიშლით ოპოზიცია, ხომ დაგრჩათ ბურთი და მოედანი?! ახლა გამოჩნდება თეთრი და შავი, ანუ როგორ გამოიყენებთ ხალხის მიერ კიდევ ერთხელ ბოძებულ მანდატებს. ამერიკის ელჩი არ არის საქართველოს „ხაზეინი“, ქვეყანა ეკუთვნის ხალხს და იმოქმედეთ ისე, როგორც ხალხს სურს. ნუ ითამაშებთ ხალხის ნერვებზე, ყველაფერს აქვს საზღვარი!**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვერ თუ არ დააბრუნეთ დიდი მერაბ ბერძენიშვილის ხელთუქმნელი შედევრი — დავით აღმაშენებლის ძეგლი პირვანდელ ადგილზე; უცხო ქვეყნების ელჩების შიშით, ვერ შეასრულეთ დაპირება სტალინის ძეგლის კუთვნილ ადგილზე დაბრუნების შესახებ. ეს ის სტალინია, რომელმაც მისსავე ბუნაგში გაანადგურა ყავისფერ ჭირად წოდებული გერმანული ფაშიზმი. და, საკითხავია, თქვენგან და თქვენს ფავორიტ კვირიკაშვილისგან უარყოფილი პიროვნება რომ არ მოვლენოდა მხსნელად კაცობრიობას, როგორ იცხოვრებდით ამ ქვეყანაში?!

**„სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“**

კომუნისტური რეჟიმის პერიოდშიც კი გვქონდა სამშობლოსადმი მძაფრი სიყვარული. ალბათ, ამან განაპირობა 1992 წლის 14 აგვისტოს იუდა შევარდნაძის მიერ აფხაზეთში წამოწყებულ ძმათამკვლელ ომში მრავალი ადამიანის, მათ შორის, ჩემი ორი შვილის მონაწილეობაც. ამ ომმა დაახლოებით 10 ათასი სიცოცხლე შეიწირა იქითაც და აქეთაც, მათ შორის — ჩემი შვილების სიცოცხლეც... ისმის კითხვა: რატომ?

აი რატომ არის საჭირო ყველა ჯურის დამნაშავის, განსაკუთრებით — სამშობლოს წინაშე დამნაშავეების, სამართლებრივი დასჯა! აუცილებელია იუდა შევარდნაძის გასამართლება (სიკვდილის შემდეგ), რათა საქართველოში დაიწყოს სამართლის პატივისცემა!

ქვემოთ მოგახსენებთ, რას ფიქრობს დიდი ილია დამნაშავის დასჯა-არდასჯაზე.

ბატონო ბიძინა, 81 წელი გავასრულე და, უფლის შეწევნით, კიდევ ვაპირებ (იქნებ ქვეყანას რამეში გამოვადგე) ცხოვრებას...

კვირიკაშვილზე მოგახსენებდით. ამას წინათ, საარჩევნო ბატალიების მიმდინარეობისას, დიდი რიხით განაცხადა, ჩვენ უკან არ უნდა გავიხედოთ, მხოლოდ წინ უნდა ვიაროთო. კი, ბატონო, იარე, თუ გაქვს სამშობლოს უკეთესი მომავლის პერსპექტივა და არა — ქვეყნის გამაუბედურებელი და დამღუპველი ნატოევროკავშირი. არ გინდა, უკან მოიხედო? რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ უკან რომ მოიხედო, იძულებული იქნები, დაიწყო ქვეყანაში სამართლიანობის ადგენა, რომელსაც, აგერ ოთხი წელიწადია, ელოდება საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ძალიან მაინტერესებს, რა პასუხს გასცემს კვირიკაშვილი **გირგვლიანის, რობაქიძის, თეთრაძის, შავაძის, ცინდელიანის, ვაზაგაშვილების, შარაძის, კრიალაშვილის, აფრასიძეების, ადმირალ ირემაძის, მოლაშვილის და ბევრი სხვა უმიზეზოდ ნაწამებისა და დახვრეტილის, ქონებაწართმეულის, გაუპატიურებულის ოჯახებს.**

**თუ თქვენთვის სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია, ყმაწვილო?!** სანამ რამეს იტყვით, კარგად დაფიქრდით!

აი რას ბრძანებს ერის უგვირგვინო მეფე, დიდი ილია: **„...ვის მოუვა ფიქრად, ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალისა, საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელი ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა ცხვირიდამაც ძმარი ადინო. ბაძით ქვეყანა წახდებაო, ნათქვამია. მსაჯავრდაუდებელი ბოროტი – მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულთბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი. „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბიძით მორცხვიც გაურცხვდება“** (ილია ჭავჭავაძე. „ქვათა ღაღადი“. გვ. 6.). ეს ბრწყინვალე სიტყვები ერის მამას 1899 წელს დაუწერია. და ისე ესადაგება საქართველოში ამჟამად არსებულ ვითარებას, თითქოს დღევანდელი დღისათვის დაწერა! ამაზეა ნათქვამი: „ვისაც ყურნი გასხიათ, ისმინეთ“.

ბატონო ბიძინა, დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, დაპირების თანახმად, უნდა დაგეწყოთ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ ეს ყველაფერი გამოდგა ფარსი, ანუ აფერა, ხალხის თვალის ახვევა. **ის, რასაც თქვენ და თქვენი ხელისუფლება აკეთებთ, არის წყლის ნაყვა. წერილის დასაწყისში ეპიგრაფად ლენინის ცნობილი სიტყვები შეგნებულად მოვიხმე, იცით, რატომ? იმიტომ, რომ 2012 წელს ხალხის თანადგომით საპარლამენტო არჩევნების მოგება იყო თქვენ მიერ გადადგმული ერთი ნაბიჯი წინ, ხოლო განვლილი ოთხი წლის ნამოღვაწარი უკან გადადგმული ორი ნაბიჯი!** თუ ასე არ არის, მაშინ რა ვუწოდოთ თქვენ მიერ ხალხის ამწიოკებლების მოფერებას, გულში ჩახუტებას? რა შეიძლება ეწოდოს თქვენი ხელისუფლების მიერ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მოლოდინის ასე ჰაიჰარად უგულებელყოფას?! აი სად მიგვიყვანა დამნაშავეების დაუსჯელობამ. თქვენ მიმართ ნაცები, უკვე დიდი ხანია, აღარ მალავენ აგრესიას. მგონი, თქვენ იყავით ის ადამიანი, უშურველად რომ აფინანსებდა მათ და მათ ოჯახებს. ისევ და ისევ „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“? ყველას გასაგონად მინდა გავიმეორო ერთი ქართული გამოთქმა: „სიკვდილი ისეთი აქლემია, არავინ იცის, ვის კარებთან როდის დაიჩოქებს“! ეს ჭკვიანი ხალხის ნათქვამია...



დამთავრდა არჩევნები. იგი დამთავრდა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის, ვიტყოდი, შეურაცხმყოფელი შედეგით, და ამაში ლომის წილი გარდა მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელმაც მათ (ნაცებს) ხმა მისცა, „ქართულ ოცნებას“ აქვს ჩადებული. და ეს თქვენმა პარტიამ შეგნებულად გააკეთა, ვინაიდან ხელს არ გაძლევდათ სხვა ოპოზიციური პარტია პარლამენტში (ამას ლაპარაკობს ხალხი). ამას დაერთო თქვენი დიდი „ნაჩალნიკის“, ამერიკის ელჩის, სიტყვაშეუბრუნებული დავალება ნაცების მიმართ. ასე რომ, წილი ნაყარია. დღეიდან საქართველოში ვითარების ყველა გართულებაზე პასუხი მოგეთხოვებათ თქვენ და არა ამერიკის ელჩს! იფიქრეთ, დრო ცოტა გაქვთ, სანამ ხალხი ქუჩაში გამოსულა, მერე გვიანი იქნება. სასწრაფოდ დააბრუნეთ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერმინისტრის თანამდებობაზე და ხელს ნუ შეუშლით!

**ბატონო ბიძინა,** დაწყებული 1953 წლის მარტის მოვლენებიდან არ დავკლებივარ არც ერთ მიტინგს, რომელიც კი ჩატარებულა თბილისში. ჩემს თავზე ერთდაერთი დოლაბის ქვა არ დატრიალებულა, დანარჩენი ყველა სიმწარე ვიწვნიე. ზემოთ მოგახსენეთ შვილებზე... ცხრა თვეში ორი შვილი დავასაფლავე. მიუხედავად ჩემი დიდი უბედურებისა, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე არასოდეს მიფიქრია. დღეს, შეიძლება ითქვას, მატერიალურად (მეტ-ნაკლებად) უზრუნველყოფილი ვარ, ჩემი შვილების სიცოცხლის ხარჯზე (საქართველოს 12/27/2013 №1896 კანონი)!

სათქმელი ბევრია, გასაკეთებელი — უფრო მეტი! იფიქრეთ მხოლოდ საქართველოზე და სხვა არაფერზე! ერთი რჩევაც მინდა მოგცეთ, თუ მიიღებთ რასაკვირველია: ნურავინ ეცდებით ერეკლე მეორესა და ილია ჭავჭავაძეზე დიდ ქართველად თავის წარმოჩენას, უბრალოდ, ვერ შეწვდებით. აი რა ბრძანა ამ ბუმბერაზმა ქართველმა, ილია ჭავჭავაძემ 1899 წლის 26 ნოემბერს: **„ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქნმა და გული მიიბრუნა“.**

მიჰყევით მის კეთილგონიერ რჩევებს და **სასწრაფოდ დაიწყეთ რუსეთთან ვითარების მოგვარება, ისევ და ისევ საქართველოს საკეთილდღეოდ. ჩვენზე დიდი და ძლიერი ქვეყნები ესწრაფვიან მასთან მეგობრულ ურთიერთობას.** კიდევ ერთი მეგობრული რჩევა: **ხშირად იქონიეთ ურთიერთობა ჩვენს ბრძენ პატრიარქთან, იმ პატრიარქთან, რომელიც თქვენ, ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე გაგიკეწლავთ, რაც პატივსა და ღირსებას ნამდვილად არ გმატებთ. მისგან ბევრ რამეს ისწავლით საქართველოსთვის სასარგებლოს!**

დავშთები მხოლოდ უფლის იმედად და საქართველოს უკეთესი მომავლის სურვილით.

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი საქართველოს სასიკეთოდ!

საქართველოს მოქალაქე, თხემით ტერფამდე მართლმადიდებელი ქართველი

**ანზორი დანელია**

**P.S. გვეშველა! მგონი, გადავრჩით! ბოლოს და ბოლოს, დგება საქართველოში ვითარება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ (შედარებით) მშვიდობის დამყარება და ხალხზე ზრუნვის ეპოქა! ბატონო ბიძინა, ახლა ხომ ველარ იტყვით, რომ პარლამენტში მუშაობაში ხელს გიშლით ოპოზიცია, ხომ დაგრჩათ ბურთი და მოედანი?! ახლა გამოჩნდება თეთრი და შავი, ანუ როგორ გამოიყენებთ ხალხის მიერ კიდევ ერთხელ ბოძებულ მანდატებს.**

**ამერიკის ელჩი არ არის საქართველოს „ხაზეინი“, ქვეყანა ეკუთვნის ხალხს და იმოქმედეთ ისე, როგორც ხალხს სურს.**

**ნუ ითამაშებთ ხალხის ნერვებზე, ყველაფერს აქვს საზღვარი!**



# როდის აღდგება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა?

**„დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საკითხი არსად განიხილება, მაგრამ, თუკი მოხდება ძალიან მნიშვნელოვანი თვისობრივი წინსვლა, პროგრესი, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საკითხებში, რაღაც ეტაპზე ეს საკითხი შეიძლება დადგეს დღის წესრიგში“, — განუცხადა პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს.**

„რუსეთმა გაამარტივა სავიზო რეჟიმი საქართველოსთან ამ წლის დასაწყისიდან და მათი მხრიდან გაცემული ვიზების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩვენ ვერ დავაძალებთ რუსეთს, კიდევ უფრო გაამარტივოს ან საერთოდ მოხსნას. ეს მათი გადასაწყვეტია. თუკი მოხდება ძალიან მნიშვნელოვანი თვისობრივი წინსვლა, პროგრესი, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაღაც ეტაპზე ეს საკითხი შეიძლება დადგეს“, — ასე გამოეხმაურა **ზურაბ აბაშიძე** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — **გრიგორი კარასინის** ინტერვიუს, სადაც კარასინი საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობებზე საუბრობს და აცხადებს, რომ საქართველო კვლავ არ არის მზად, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს.

სააგენტო „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ საქართველო კვლავ არ არის მზად, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს. მისივე თქმით, ოფიციალური თბილისი რუსეთის მიმართ პერიოდულად „კონფრონტაციულ რიტორიკას“ მიმართავს, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობაში დაწყებულ პოზიტიურ ტენდენციებს არ ამყარებს. ამ ეტაპზე რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა დაგეგმილი არ არის. მიუხედავად ამისა, რუსეთი საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესებას არ გამორიცხავს. როგორც მან აღნიშნა, 2012 წლის შემდეგ, როდესაც ბრიუსელმა და თბილისმა ვიზალიბერალიზაციაზე მოლაპარაკებები დაიწყეს, თბილისისთვის მომზადდა დეტალური სამოქმედო გეგმა. „ჩნდება კითხვა — რეალურია ასეთი სამუშაოს შესრულება რუსეთსა და საქართველოს შორის, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის დღევანდელ ვითარებაში?“ — განაცხადა კარასინმა.

# აშშ-ის ყველაზე სასიკვდილო ვულკანი «ცივი» ყოფილა

**ამ ვულკანის სახელწოდებაა სენტ-ჰელენსი. 1980 წელს მის ამოხეთქვას 57 ადამიანი ემსხვერპლა, ზარალმა 1,1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ვულკანოლოგები გაოცდნენ, როცა გაარკვიეს, რომ აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ვულკანი შიგნიდან ცივია: მასში მაგმა საერთოდ არ არის.**

მეცნიერთა ერთი ჯგუფი შეუდგა ამ ფენომენის შესწავლას, მით უფრო, რომ იგი სეისმურად არააქტიურ ზონაში მდებარეობს. მათმა გამოკვლევამ ახალი შეკითხვები გააჩინა.

არის გარკვეული ვარაუდები, მაგრამ მეცნიერულ დასკვნებს, მათ შორის, იმის თაობაზე, რომ შეიძლება ეს უცნაურობა გამოწვეული იყოს მიწისძვრებით, ელიან იმ დროისთვის, როცა გეოლოგ სტივ ჰანსენის მკვლევართა ჯგუფი დაასრულებს ამ საკითხის შესწავლას.



ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების გენერალი ეიზენჰაუერი წარადგინეს ევროპაში ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების პირველ უმაღლეს მთავარსარდლად, ეს უმაღლესი სამხედრო თანამდებობა ევროპაში სამუდამოდ აშშ-ის გენერლების პრეროგატივა გახდა.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-40 (366-369)

**დანიელ განსერი**

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

7 ნოემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა **მანფრედ ვერნერმა** ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების დონეზე დახურულ კარს მიღმა გამართა თათბირი, რომელზეც „გლადიოს" საკითხი განიხილეს. როგორც **ესპანეთის პრესა იტყობინებოდა, ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის სამხედრო აპარატის უმაღლესი ორგანოა, კოორდინაციას უწევდა გლადიოს მოქმედებას.** „არაოფიციალური ინფორმაციით, ვერნერს სჭირდებოდა დრო, რათა გარკვეულიყო ნატოს მიერ წინა დღით გაკეთებულ განცხადებაში — „არაფერი ვიცით". ყველა დეტალი წარდგენილი იყო თათბირზე, რომელიც ზემოთ დასახელდა.

ევროპაში ნატოს მაღალი თანამდებობის ოფიცერმა, შეერთებული შტატების გენერალმა **ჯონ გალვინმა** დაადასტურა, რომ ძირითადად ყველაფერი, რასაც პრესა წერდა, სიმართლეა, მაგრამ ეს ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

იგივე გაიმეორა ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნულ თათბირზე. იქვე გადაწყდა, რომ, ნატოს ოფიციალური პოზიციის თანახმად, აღნიშნული თემა არ იქნება კომენტირებული, რადგან სახელმწიფო საიდუმლოებაა.

ინკოგნიტო წყაროების განცხადებით, ნატოს უსაფრთხოების სამსახური, როგორც ჩანს, ჩართული იყო ოპერაციაში „გლადიო". ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში განთავსებული ეს სამსახური ალიანსის განუყოფელ ნაწილად განიხილებოდა 1949 წლიდან, ანუ გაერთიანების შექმნის დღიდანვე. უსაფრთხოების სამსახურის დირექტორი, გენერალური მდივნის წამყვანი მრჩეველი უშიშროების საკითხებში, შტაბ-ბინის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია ორგანიზაციის შიგნით მოქმედი უშიშროების სამსახურის კოორდინაციაზე. მთავარია, რომ **უშიშროების საკითხების სამსახურის დირექტორი უშიშროების საკითხებში ნატოს კომიტეტის თავმჯდომარეც არის.** ამ კომიტეტის სხდომებზე ნატოს წევრი ქვეყნების უშიშროების სამსახურების უფროსები რეგულარულად განიხილავენ ჯაშუშობის, ტერორიზმის, დივერსიის, ასევე, ევროპაში კომუნიზმის საშიშროების პრობლემებს.

მკვლევარ **ერიკ შმიდტ იენზუმის** განცხადების მიხედვით, **დასავლეთ ევროპის რამდენიმე სპეცსამსახურის (ესპანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ნორვეგიის, ლუქსემბურგისა და დიდი ბრიტანეთის) ხელმძღვანელებმა 1990 წლის ბოლოს ჩაატარეს რამდენიმე შეხვედრა „გლადიოს" შესახებ გავრცელებული ცნობების უარსაყოფი სტრატეგიის შემუშავების მიზნით. სავარაუდოა, რომ ეს შეხვედრები საიდუმლოდ ტარდებოდა ნატოს უშიშროების სამსახურის კედლებში.** „ის ფაქტი, რომ „გლადიოს" საიდუმლო არმიების ქმედების კოორდინაციას ახდენდა საერთაშორისო კომიტეტი, — წერდა პორტუგალიის ყოველდღიური გაზეთი **„ექსპრესო"**, — ადასტურებს, რომ არსებობდა სხვა პრობლემა, რომელიც თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტს ეხებოდა". უწინარეს ყოვლისა კი, იმას, რომ „ცივი ომის" დროს სამხედრო საიდუმლო სამსახურები უმეტეს შემთხვევაში დემოკრატიული კონტროლის გარეშე რჩებოდა. აშკარაა, რომ ბევრი ევროპული მთავრობა ვერ აკონტროლებდა თავის სპეცსამსახურს, სანამ ნატოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს სპეცსამსახურებთან. „ეს ნიშნავს, რომ **ნატო შეზღუდული ნდობის დოქტრინის ერთგულია. ამგვარი დოქტრინის არსია, რომ ზოგიერთი მთავრობა არ იმოქმედებს კომუნისტების საწინააღმდეგოდ და, მაშასადამე, არც ღირს ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფების შესახებ მათი ინფორმირება".**

წერილში სათაურით — **„მანფრედ ვერნერი განმარტავს „გლადიოს" საკითხს" — პორტუგალიის პრესამ აღწერა ნატოს ხელმძღვანელობის შეხვედრის დეტალები, რომელიც 7 ნოემბერს გაიმართა. „ნატოს გენერარულმა მდივანმა გაერთიანების 16 ქვეყნის ელჩებს აცნობა, როგორ ფუნქციონირებდა საიდუმლო ქსელი, რომელიც 1950-იან წლებში დაფუძნდა სსრ კავშირის შემოჭრის შემთხვევაში წინააღმდეგობის ორგანიზების მიზნით". დახურულ კარს მიღმა „ვერნერმა დაადასტურა, რომ მოკავშირე ძალების სამხედრო სარდლობა — ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი — კოორდინაციას უწევდა „გლადიოს" ქსელს, რომელიც ნატოს ბევრ ქვეყანაში სპეცსამსახურების მიერ იყო შექმნილი იმ კომიტეტის მეშვეობით, რომელიც 1952 წელს დაარსდა გენერალ რაიმონდ ვან კალსტერის თავმჯდომარეობით".**

ეს კომიტეტი, როგორც შემდეგ გაირკვა, იყო ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის გაერთიანებული კომიტეტი. „თავდაპირველად, ჯერ კიდევ 1947 წელს, ეს საიდუმლო ორგანიზაცია („გლადიო") შეიქმნა იტალიაში, შემდეგ ანალოგიური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა საფრანგეთში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ლუქსემბურგში, დანიაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში", — იტყობინებოდა გაზეთი.

„გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბმა მოგვაწოდა „ცრუ ინფორმაცია", როცა მისმა წარმომადგენლებმა უარყვეს მსგავსი ქსელების არსებობა. ამავე დროს აღნიშნული შტაბის წარმომადგენლებმა უარი თქვეს, ჩამოეთვალათ ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც წააწყდა რიგი მთავრობებისა. ისინი ხან ადასტურებდნენ, ხან უარყოფდნენ „გლადიოს" ქსელის არსებობას ამა თუ იმ ქვეყანაში".



**„გლადიოს" კვალი: მორიგი ტერაქტი. ბოლონია, რკინიგზის სადგური, 1980 წელი**

პრესამ, რომელიც სკანდალის ცენტრში იყო მოქცეული, არაერთხელ მიმართა შეკითხვით ნატოს უმაღლეს ხელმძღვანელობას, გენერალურ მდივან მანფრედ ვერნერს, ბოლოს და ბოლოს, აეხსნათ, სად იყო ძაღლის თავი დამარხული, მაგრამ ვერნერი მიუწვდომელი იყო ჟურნალისტებისთვის, რადგან, როგორც ვთქვით, ალიანსი არასოდეს აკეთებდა განცხადებებს სამხედრო საიდუმლოებების შესახებ. ტერმინი „სამხედრო საიდუმლოებანი" ჟურნალისტების შემდგომი დისკუსიების ცენტრალური პუნქტი გახდა. პრესამ დაიწყო ნატოს გადამდგარი თანამდებობის პირების ძებნა, რომლებიც შეძლებდნენ შექმნილი ვითარების გაკონტროლებას.

79 წლის **ჯოზეფ ლუნემ,** რომელიც 1971-დან 1984 წლამდე ნატოს გენერალური მდივანი იყო, სატელეფონო ინტერვიუში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ასეთი ქსელების არსებობაზე, სანამ ამის შესახებ პრესაში არ წაიკითხა: „არასოდეს მსმენია, თუმცა საკმაოდ მაღალი თანამდებობა მეკავა ნატოში". ლუნემ ისიც თქვა, რომ მას პერიოდულად მოკლედ აცნობებდნენ საიდუმლო ოპერაციების განხორციელების ფაქტებს, თუმცა დასძენდნენ „ეს ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ მაინც შესაძლებელია", და რომ „გლადიოს" ქსელი შექმნეს მის დაუკითხავად, მის ზურგს უკან.

აშშ-ის პრეზიდენტმა **რიჩარდ ნიქსონმა** შენიშნა, **„ერთადერთი კოლექტიური ორგანო, რომელსაც ოდესმე უმუშავია, იყო ნატო, იმიტომ, რომ იგი სამხედრო ალიანსი იყო და პასუხისმგებლობა ჩვენ გვქონდა დაკისრებული". მან სწორად აღნიშნა, რომ, მართალია, ნატოს შტაბბინა აქვს ბელგიაში, მაგრამ მისი მთავარი ოფისი პენტაგონშია.** ნატოს მთელი ისტორიის განმავლობაში შეიარაღებულ ძალებს ყოველთვის ამერიკელი გენერალი მეთაურობდა. ევროპელებს უფლება ჰქონდათ, წარედგინათ კანდიდატურა ნატოს უმაღლეს სამოქალაქო თანამდებობაზე — გენერალური მდივნის პოსტზე. **მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების გენერალი ეიზენჰაუერი წარადგინეს ევროპაში ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების პირველ უმაღლეს მთავარსარდლად, ეს უმაღლესი სამხედრო თანამდებობა ევროპაში სამუდამოდ აშშ-ის გენერლების პრეროგატივა გახდა.**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გადამდგარმა ოფიცერმა **თომას პოლგარმა** დაადასტურა, რომ საიდუმლო არმიებს კოორდინირებდა „მტრის ზურგში სამხედრო მოქმედებების დაგეგმვის რაღაც ჯგუფი", რომელიც ნატოსთან იყო დაკავშირებული. ეს ინფორმაცია დაადასტურა გერმანულმა პრესამაც, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ეს ფარული დეპარტამენტი „ცივი ომის" დროს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ რჩებოდა: „საიდუმლო არმიების მისიას აკონტროლებდა „განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები" ნატოს შტაბ-ბინის განყოფილებებიდან ქალაქ კასტოში. ფოლადის ნაცრისფერი კარი, რომელიც ბანკის სეიფის კარივით მხოლოდ რიცხვების გარკვეულდი კომბინაციის აკრეფის შემდეგ იღება, კრძალავს არასანქცირებულ შესვლას. დანარჩენი დეპარტამენტების თანამშრომლებს სხვა შესასვლელებში ამოწმებენ. **განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების განყოფილებას, როგორც წესი, ბრიტანელი ან ამერიკელი ოფიცრები უძღვებიან, დოკუმენტების უმრავლესობას არტყია ბეჭედი „მხოლოდ ამერიკელებისთვის".**

დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, კომუნისტური პარტიების გავლენის გამო, ნატო ჩართული იყო არასტანდარტული სამხედრო ოპერაციების განხორციელებაში მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში. ბელგიის პარლამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებით, ასეთი საიდუმლო ოპერაციები ტარდებოდა ალიანსის შექმნამდეც. 1947 წლიდან ამ ოპერაციებს კოორდინირებდა საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების დასავლეთევროპული კავშირის კომიტეტი. პრესის ინფორმაციით, **ყველა ქვეყანა, რომლებშიც „გლადიოს" ქსელი არსებობდა, ამ „კომიტეტის წევრი იყო" და რეგულარულად მონაწილეობდა შესაბამისი სპეცსამსახურების სამსახურების შეხვედრებში. საიდუმლო სამსახურები უმეტესად უშუალოდ იყო დაკავშირებული საიდუმლო ქვედანაყოფების სტრუქტურებთან, რომლებიც საბჭოთა ოკუპაციასთან საბრძოლველად იყო გათვალისწინებული.**

1949 წელს, როცა გაფორმდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების დასავლურევროპული კავშირის კომიტეტი ინტეგრირებული იქნა ახალ საერთაშორისო სამხედრო აპარატში ისე, რომ არ მიუპყრია ფართო საზოგადოების ყურადღება, და 1951 წლიდან დაწყებული, მოქმედებდა სახელწოდებით „საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტი" (CPC). იმხანად ნატოს შტაბ-ბინა იყო საფრანგეთში, აღნიშნული კომიტეტის ოფისი — პარიზში. აქედან ხელმძღვანელობდა იგი არასტანდარტულ სამხედრო ოპერაციებს, რომლებსაც „გლადიოს" საიდუმლო ქვედანაყოფები და სპეციალური დანიშნულების ჯარები ასრულებდნენ. კომიტეტის შენობაში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ იმ ოფიცრებს, რომლებსაც ჰქონდათ საიდუმლო ცნობების გაცნობის უმაღლესი დონის დაშვების უფლება. აქ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და მი-6-ის ხელმძღვანელობით დასავლეთევროპული საიდუმლო სამსახურების მეთაურები წლის განმავლობაში რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს დასავლეთ ევროპაში არასტანდარტული საბრძოლო ოპერაციების განსახორციელებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით.

როცა 1966 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როცა 1966 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა გააძევა ნატო საფრანგეთიდან, ალიანსის შტაბ-ბინა იძულებული შეიქნა, პარიზიდან ბრიუსელში გადაბარგებულიყო, რამაც გააცოფა პენტაგონი და აშშ-ის პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი.

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გადამდგარმა ოფიცერმა თომას პოლგარმა დაადასტურა, რომ საიდუმლო არმიებს კოორდინირებდა «მტრის ზურგში სამხედრო მოქმედებების დაგეგმვის რაღაც ჯგუფი», რომელიც ნატოსთან იყო დაკავშირებული. ეს ინფორმაცია დაადასტურა გერმანულმა პრესამაც, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ეს ფარული დეპარტამენტი «ცივი ომის» დროს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ რჩებოდა**

შარლ დე გოლმა გააძევა ნატო საფრანგეთიდან, ალიანსის შტაბ-ბინა იძულებული შეიქნა, პარიზიდან ბრიუსელში გადაბარგებულიყო, რამაც გააცოფა პენტაგონი და აშშ-ის პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი. საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტი ასევე გადავიდა ბელგიაში კონსპირაციის ყველა ღონისძიების დაცვით. საფრანგეთიდან ნატოს ისტორიულმა გაძევებამ შექმნა შესაძლებლობა, დაინტერესებული საზოგადოებრიობა უფრო მასშტაბურად გასცნობოდა სამხედრო ალიანსის ბნელ საიდუმლო საქმიანობას.

საიდუმლო ოპერაციების საკითხების სპეციალისტმა **ფილიპ ვილანმა** აღნიშნა, რომ **1966 წელს პირველად გამჟღავნდა ნატოს საიდუმლო ოქმები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ხელმომწერ საიდუმლო სამსახურებს ევალებოდათ, ემუშავათ ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოსვლის წინააღმდეგ. სწორედ მაშინ გადაწყვიტა პრეზიდენტმა დე გოლმა გამოეყვანა საფრანგეთი გაერთიანებული სარდლობის სტრუქტურიდან, რადგან აშკარა ხდებოდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობა.**

სანამ ნატოს ანტიკომუნისტური საიდუმლო ოქმები ინახებოდა გრიფით „საიდუმლოდ“, იზრდებოდა სპეკულაციები მათი შინაარსის გარშემო, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რიგი ევროპული ქვეყნების ტერიტორიებზე საიდუმლო ნახევრადგასამხედროებული ქვედანაყოფების ქსელების არსებობა დადასტურდა.

ჟურნალისტი შეერთებული შტატებიდან **არტურ როუზი** „გლადიოს“ შესახებ დაწერილ თავის წიგნში ამტკიცებს, რომ ნატოს ხელშეკრულების პირველი პუნქტი ავალდებულებდა სახელმწიფოებს, შექმნათ ეროვნული უშიშროების ორგანიზაციები კომუნიზმთან საბრძოლველად საიდუმლო არმიების მეშვეობით.

საიდუმლო სამსახურების საკითხების იტალიელმა ექსპერტმა **ჯუზეპე დე ლუტიისმა** აღმოაჩინა, რომ იტალიამ, რომელიც ნატოს წევრი გახდა 1949 წელს, ხელი მოაწერა არამარტო ატლანტიკურ პაქტს, არამედ რიგ საიდუმლო დოკუმენტს, რომლებითაც გათვალისწინებული იყო არაოფიციალური ორგანიზაციების შექმნა. ისინი (ეს ორგანიზაციები) უზრუნველყოფდა დასავლეთ ბლოკთან იტალიის შინაგანი თანხმობის მიღწევას ნებისმიერი საშუალებით, ელექტორატს სხვანაირად რომც მოენდომებინა. **მარიო კოგლიტორემ,** „გლადიოს“ ფენომენის იტალიელმა მკვლევარმა, დაადასტურა ნატოს საიდუმლო ოქმების არსებობა. ნატოს დაზვერვის თანამშრომელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, 1990 წელს „გლადიოს“ მხილების შემდეგ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ **ნატოს საიდუმლო ოქმები დაუფარავად მხარს უჭერდა მემარჯვენე ექსტრემისტებს და მიიჩნევდა მათ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის სასარგებლო ძალად.**

1955 წლის მაისში, გერმანიის ნატოში შესვლის წინ, კანცლერმა **კონრად ადენაუერმა** თითქოს ხელი მოაწერა საიდუმლო ოქმს, რომელიც აშშ-ის მიერ იყო შემუშავებული. ამერიკის მხრიდან ამ ოქმს ხელი მოაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა. დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლება თავს შეიკავებს ცნობილი მემარჯვენე ექსტრემისტების აქტიური სამართლებრივი დევნისგან.**

იტალიელმა გენერალმა **პაოლო ინზერილიმ**, რომელიც იტალიურ საიდუმლო არმია „გლადიოს“ მეთაურობდა 1974 წლიდან 1986 წლამდე, ხაზი გაუსვა, რომ **„ყველგან მყოფ შეერთებულ შტატებს“ ლიდერის პოზიციები ეკავა დაგეგმვის საიდუმლო კომიტეტში (CPC), რომელიც საიდუმლო ომებს აწარმოებდა. ინზერილის თქმით, ეს კომიტეტი დაარსებული იყო ევროპაში ნატოს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით:** „როცა საქმე ეხებოდა არასტანდარტული საომარი ოპერაციების განხორციელებას, CPC-ს ეკისრებოდა საკოორდინაციო ფუნქციების შესრულება ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბსა და მონაწილე ქვეყნების საიდუმლო სამსახურებს შორის“. შეერთებული შტატები ალიანსში თავის უმცროს პარტნიორებთან — დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად დომინირებდნენ გაერთიანებულ კომიტეტში და გაერთიანებული იყვნენ ე.წ. საშემსრულებლო ჯგუფში. „შეხვედრები წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ეწყობოდა ბრიუსელში, გაერთიანებული კომიტეტის შტაბბინაში. დღის წესრიგში შეჰქონდათ სხვადასხვა საკითხი, რომლებსაც განიხილავდა „საშემსრულებლო ჯგუფი“ სამხედროებთან ერთად“, — განაცხადა ინზერილიმ.




„გლადიოს“ ჩრდილი დადის ევროპაში

იტალიელი გენერლის — **ჯერარდო სერავალეს** ინფორმაციით, „ჩვენი საიდუმლო არმიის მოქმედება ევროპის სხვა ანალოგიურ საიდუმლო სტრუქტურებთან კოორდინირებული იყო საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის გაერთიანებული კომიტეტისა და ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის დაგეგმვის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ“.

გენერალ **ინზერილის** წინამორბედი, გენერალი **სერავალე** იტალიის საიდუმლო არმია „გლადიოს“ მეთაურობდა 1971 წლიდან 1974 წლამდე. მან განაცხადა, რომ „1970-იან წლებში საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტის წევრები იყვნენ თანამშრომლები და სწორედ ისინი კოორდინაციას უწევდნენ საიდუმლო ქვედანაყოფებს, რომლებიც მოქმედებდნენ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდის სამეფოსა და იტალიაში. საიდუმლო სტრუქტურების წარმომადგენლები ყოველწლიურად აწყობდნენ შეხვედრებს თავიანთ დედაქალაქებში“. ამ შეხვედრებში უცვლელად მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის მოხელეები. სერავალე იხსენებდა, რომ „საიდუმლო არმიებთან დაკავშირებულ შეხვედრებს ყოველთვის ესწრებოდნენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლები... გადამწყვეტი ხმის უფლება მათ არ ჰქონდათ“. უფრო მეტიც, ამ შეხვედრებს ევროპაში აშშ-ის უმაღლესი სარდლობის წევრებიც ესწრებოდნენ, ასევე გადამწყვეტი ხმის უფლების გარეშე“.

სერავალე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საიდუმლო ოპერაციების კომიტეტების ჩანაწერები, რომელთა წაკითხვაც მან მოახერხა, მაგრამ რომლებიც გასაიდუმლოებული დარჩა, სხვა საკითხებთან ერთად „ეხება ევროპაში „გლადიატორების“ სწავლებას: როგორ უნდა მოხდეს მათი აქტივიზაცია ეროვნული ტერიტორიის სრული ოკუპაციის დროს, და სხვა ტექნიკურ საკითხებს, მაგალითად, როგორიც არის მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, კერძოდ, საიდუმლო არმიების ბაზებს შორის კავშირის დამყარების უნიფიცირება“.

საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტის გარდა, ნატოს სამეთაურო ორგანოდ წარმოდგენილი იყო საიდუმლო ოპერაციების განხორციელების ნატოს გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც 1950-იანი წლებიდან მოქმედებდა, როგორც საიდუმლო ოპერაციების შტაბ-ბინა. იგი, როგორც ირკვევა, 1957 წელს შეიქმნა „ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში საიდუმლო არმიების ქსელის მუშაობის კოორდინაციის მიზნით“. მშვიდობიანობის დროს ამ კომიტეტის მოვალეობებში გათვალისწინებული იყო „დირექტივების შემუშავება ქსელისთვის, მისი (ქსელის) საიდუმლო შესაძლებლობების განვითარება და ორგანიზება დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. ომის დროს ქვეყნის ოკუპაციის შემთხვევაში კომიტეტს უნდა დაეგეგმა ოპერაციები მტრის ზურგში ევროპაში ნატოს შეიარაღებულ ძალებთან ერთად; ორგანიზატორებს უნდა გაეაქტიურებინათ საიდუმლო ბაზების საქმიანობა და იქედან დაეწყოთ ოპერაციების განხორციელება“.

იტალიელი გენერალი **პაოლო ინზერილი** მიიჩნევს, რომ ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტში შიდა ურთიერთობა სხვა კომიტეტთან შედარებით გაცილებით მეგობრული იყო...

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ნატოს საიდუმლო ოპერაციების დაგეგმვის კომიტეტი წარმოგვიდგებოდა თავისებურ მოედნად, სადაც ალიანსის მონაწილე ზოგიერთი ქვეყნების სპეცსამსახურების უფროსები ერთმანეთს უზიარებდნენ მოწინავე გამოცდილებასა და ცოდნას, რომელიც მათ „გლადიოს“ ქსელების საქმიანობის ჩარჩოებში მონაწილეობის პერიოდში დაუგროვდათ: „გაერთიანებული კომიტეტი, ფაქტობრივად, იყო ტექნიკური კომიტეტი, ფორუმი, სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, ასახელებდნენ ხელმისაწვდომ და შესასწავლ საშუალებებს, ეს იყო ადგილი, სადაც თითოეული მონაწილე მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას გადასცემდა სხვას. იტალიური „გლადიოს“ მეთაურის თქმით, **„ყველამ იცოდა, რომ, თუ ვინმეს არ ჰყავდა გამოცდილი სპეციალისტი ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენების ან ტელეკომუნიკაციის საქმეში, ან საჭიროებდა კონსულტაციას არეულობის ჩახშობის კუთხით, უპრობლემოდ შეეძლო მიემართა სხვა ქვეყნის წარმომადგენლისთვის და მიეღო კვალიფიციური დახმარება, რადგან „გლადიოს“ აგენტებს ერთნაირი ტექნიკისა და მასალების გამოყენების საფუძველზე ამზადებდნენ.**

მაგალითად, იმ პერიოდში ყველაზე ცნობილი მოწყობილობა იყო რადიოგადამცემები სახელწოდებით „ჰარპუნი“. ისინი დამზადდა „გლადიოს“ ნატოს ცენტრის დაკვეთით და 130 მილიონი გერმანული მარკა დაჯდა. „ჰარპუნის“ სისტემას შეეძლო მიეკვლია და მიეღო დაშიფრული რადიოგრამები 6000 კილომეტრის რადიუსზე და გაეერთიანებინა საიდუმლო ქვედანაყოფები ატლანტიკურ სივრცეში. ეს დაადასტურა 1980-იან წლებში სადგურ „გლადიოს“ ოპერატორმა **ვან უსელმა**. ამ სისტემას რეგულარულად იყენებდნენ რადიობაზასა და აგენტებს შორის ინფორმაციის გასაცვლელად. ბაზა იყო ორი: ერთი — ნატოს საიდუმლო ოპერაციების დასაგეგმ გაერთიანებულ კომიტეტში ევროპის ქვეყნებისთვის, მეორე — გაერთიანებულ სამეფოში.



„გლადიოს“ მემკვიდრენი

**1966 წელს პირველად გამჟღავნდა ნატოს საიდუმლო ოქმები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ხელმომწერ საიდუმლო სამსახურებს ევალებოდათ, ემუშავათ ხელისუფლების სათავეში კომუნისტების მოსვლის წინააღმდეგ. სწორედ მაშინ გადაწყვიტა პრეზიდენტმა დე გოლმა, გამოეყვანა საფრანგეთი გაერთიანებული სარდლობის სტრუქტურიდან, რადგან აშკარა ხდებოდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობა**

გაგრძელება იქნება

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მევიოლინე სვაროვსკი თავისი თანამშრომლებისგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ მისი ფირმის მიერ წარმოებულ კრისტალებში მუსიკის ჰანგები გაჟღერებულიყო. კრისტალების დამუშავების ის საიდუმლო, რომელიც სვაროვსკიმ აღმოაჩინა, მის პირდაპირ მემკვიდრეებს გადაეცემათ. სვაროვსკის ბროლის საიდუმლო კი მის მაგიურ ბრწყინვალებაშია.**

# სვაროვსკის მინისქვეშა მუზეუმი

**დანიელ სვაროვსკი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან განთქმული იყო მინისაგან ბიჟუტერიის, თმის სამაგრების და სხვა წვრილმანი აქსესუარების დამზადებით. 1883 წელს ცნობისმოყვარე ბოჰემიელი ვენაში ელექტრომოწყობილობათა პირველ მსოფლიო გამოფენაზე ჩავიდა. მას სწორედ აქ გაუჩნდა მინის დასამუშავებლად ელექტრობის გამოყენების გენიალური იდეა. დანიელ სვაროვსკიმ მალევე გაარკვია, რომ ეს შესაძლებელი იყო. თავდაპირველად მის კომპანიას უპრეტენზიო სახელწოდება D.S. & Co („დანიელ სვაროვსკი და კომპანია“) ჰქონდა. საქმე კარგად აეწყო. 1900 წელს საწარმომ მიიღო ახალი სახელწოდება — Swarovski.**



დანიელ სვაროვსკი



300 ათას კარატიანი ბროლი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი



სვაროვსკის კომპანიის სიმბოლო

დანიელ სვაროვსკი 1862 წელს, ჩრდილოეთ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, ბოჰემის მთებში დაიბადა. ცნობილი „ბოჰემური“ მინის (რითაც ეს მხარე ამაყობს) დამუშავება „სამრეწველო რევოლუციამდე“ დიდი ხნით ადრე დაიწყეს. იმ პერიოდში, ყოველი პატივცემული ბოჰემელის ოჯახში რამდენიმე მინის საამქრო ფუნქციონირებდა. არც დანიელის მამა იყო გამონაკლისი, თუმცა მისი ნაწარმი რაიმეთი არ გამოირჩეოდა.

უმცროსი სვაროვსკი, რამდენიმე წელი ოჯახურ ბიზნესში მუშაობდა. თავისუფალ დროს ვიოლინოზე უკრავდა. ერთხელაც, მას მოსწყინდა ამ პატარა სოფელში ცხოვრება და პარიზში გამგზავრება გადაწყვიტა, რადგან იცოდა, რომ დიდი საქმეები დიდ ქალაქებში კეთდებოდა. დანიელი ქიმიის, ფიზიკის, მექანიკისა და ინჟინერიისთვის საჭირო საგნების შესასწავლად პარიზს ესტუმრა. სწავლის დასრულების შემდეგ კი „მსოფლიოს ელექტროტექნიკურ გამოფენაზე“ წავიდა. იდუმალი მექანიზმებისა და სხვადასხვა გამოგონების შემხედვარე, ჩაფიქრდა — შესაძლებელი იყო თუ არა, ელექტროობის გამოყენებით მინა დაემუშავებინა. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო. 1891 წელს, მან ბევრი ფიქრის შემდეგ, მსოფლიოში პირველი ელექტრო სალესი მანქანა გამოიგონა.

ამ ხელსაწყომ საშუალება მისცა, დიდი რაოდენობის ქვები და კრისტალები მოკლე დროში დაემუშავებინა, თანაც — მაღალი ხარისხით. საზოგადოებამ თავიდან ვერ გააცნობიერა, თუ რა ცვლილება მოახდინა კონკრეტულად დანიელმა თავისი გამოგონებით. იმისთვის, რომ ეს მიგნება გაესაჯაროვებინა, სვაროვსკის მასობრივი წარმოება უნდა დაეწყო, კერძოდ, ბაზარზე გასულიყო.

აქ მან ეშმაკობა გამოიყენა. ბოჰემელი ხელოსნებისთვის კონკურენცია რომ არ გაეწია, ავსტრიაში გადაბარგდა და ვატენსში (სადაც მხოლოდ 744 ადამიანი ცხოვრობდა) დაიწყო ბროლის დაშტამპვა და ძვირფასი ქვების იმიტაცია.

საკუთარ ბიზნესს ის კანონიერად თვლიდა და ამიტომ იმიტაციის ფაქტს არ მალავდა. მისი ბროლი ისევე გამოიყურებოდა, როგორც ბრილიანტი. შესაბამისად, ის იმავე სოციალურ ფუნქციას ასრულებდა. თუ ნამდვილი ბრილიანტი „თავად ირჩევდა“, ვისი თითი დაემშვენებინა, სვაროვსკის სამკაულებით თავის მოწონება, პრესტიჟის, ბრწყინვალებისა და არჩევის უფლების ილუზია უკვე საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც გაუჩნდათ.

მისი ფაბრიკა შეკვეთების მიღებას ვეღარ აუდიოდა. სვაროვსკიმ შენობა გააფართოვა და 200 მუშა აიყვანა. სწორედ მაშინ მიიღო მისმა ფირმამ სახელწოდება — Swarovski, რათა ბაზარზე გასული საქონელი არ ყოფილიყო ანონიმური.




სვაროვსკიმ პროდუქციის მრავალფეროვნებას მიაღწია: საიუველირო მორთულობანი, ქსოვილისგან დამზადებული ნაკეთობანი, სუვენირები, სასაჩუქრე ნაკრები, საავტორო საიუველირო ნაკეთობანი, მოდური ბიჟუტერია, ჭაღებისთვის განკუთვნილი საკიდები... – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია პროდუქციისა, რომელსაც ეს ფირმა უშვებს.

1956 წელს ფირმის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი დანიელ სვაროვსკი გარდაიცვალა. მან ოჯახს აყვავებული ბიზნესი დაუტოვა.

1988 წლიდან კომპანიის სიმბოლო გედი გახდა.

როდესაც 1995 წელს ცნობილი ავსტრიული „სვაროვსკის“ ფირმა ასი წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადებოდა, გადაწყვიტეს, ისეთი მუზეუმი შეექმნათ, რომელიც ადამიანებს ბროლის ზღაპრულ სილამაზეს დაანახვებდა და მათ ამ კრისტალების ჯადოსნურ ძალას შეაგრძნობინებდა. „ბროლის სამყაროს“ შესასვლელი „გოლიათის“ თავიდან აქვს. ეს არის ბალახით დაფარული ქედი, მორთული ბრწყინვალე ბროლის თვალებითა და პირით, რომლიდანაც გადმოედინება წყალი, გარშემო კი გადაშლილია დიდი პარკი საოცარი ლანდშაფტით.

**და რას აკეთებს აქ ეს გოლიათი?**

ლეგენდის თანახმად, დიდი ხნის წინათ ტიროლში, ცენტრალური ევროპის ისტორიულ ოლქში, ცხოვრობდა ერთი გოლიათი, რომელსაც აურაცხელი განძი ჰქონდა და მას სათუთად ინახავდა. სწორედ ამ ძველი ლეგენდიდან იქნა აღებული მცველი გოლიათის სახე — დაუდგეს მას მონუმენტი პირდაპირ მუზეუმის შესასვლელთან და სვაროვსკის უკვდავი განძის დაცვა დაავალეს.

ამ უჩვეულო სილამაზის დასათვალიერებლად ავსტრიის პატარა ქალაქ **ვატენსში** ყოველწლიურად დაახლოებით 600 ათასი ტურისტი ჩადის.

**გამოქვაბული-მუზეუმი შვიდი ოთახისგან შემდგარი ლაბირინთია. პირველ დარბაზში სვაროვსკის ფირმის მიერ შექმნილი ყველაზე დიდი და პატარა ბროლია წარმოდგენილი. დიდი ბროლი 300 ათასი კარატია და გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. ყველაზე პატარა ბროლის დანახვა კი მიკროსკოპით შეიძლება, რადგან მისი დიამეტრი სულ რაღაც 0,8 მილიმეტრია.**

ბროლის კედლებში სეირნობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანების ხმები, რომლებიც თქვენსავით ამ სილამაზით ტკბებიან და აღტაცების შეძახილებს ვერ მალავენ, ერთ მელოდიად გარდაიქმნება, რომელიც შორეულ ბავშვობაში მოსმენილ მუსიკას წააგავს. აღსანიშნავია, რომ მევიოლინე სვაროვსკი თავისი თანამშრომლებისგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ მისი ფირმის მიერ წარმოებულ კრისტალებში მუსიკის ჰანგები გაჟღერებულიყო. კრისტალების დამუშავების ის საიდუმლო, რომელიც სვაროვსკიმ აღმოაჩინა, მის პირდაპირ მემკვიდრეებს გადაეცემათ. სვაროვსკის ბროლის საიდუმლო კი მის მაგიურ ბრწყინვალებაშია.



სვაროვსკის მუზეუმის წინა ხედი



უახლოეს 5 წელიწადში უსარგებლო ნივთი იქნება სახლის ტელეფონი, რადგან კომუნიკაციის საშუალებად მას თანდათან ნაკლებად იყენებენ და ის „სმარტფონმა“ ჩაანაცვლა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მალე ექიმებზე მეტად დიაგნოსტიკაში, ალბათ, ხელოვნურ ინტელექტს ვენდობით

**დღეს შეგვიძლია იმის თქმა, რომ თანამედროვე მედიცინა საკმაოდ წარმატებულად მიიწევს წინ; უკან დარჩა საეჭვო ანესთეზიისა და ექსპერიმენტული ქირურგიის პერიოდი, შევძელით ძალიან ბევრის გაგება, თუ რას უშვრება ორგანიზმს ესა თუ ის დაავადება და როგორ უნდა ვუმკურნალოთ მას, მაგრამ ზოგი დაავადება ჯერაც აბნევს ექიმებს, პაციენტები კი იტანჯებიან.**



„თუ თქვენ მკურნალ ექიმს გამოიძახებთ, მას აუცილებლად ექნება თან სტეტოსკოპი. სისხლის წნევას გაგიზომავთ მანჟეტით. ასე რომ, ნივთები, რომლებიც ასი წლის წინათ გამოიყენებოდა, დღესაც რჩება დიაგნოზის დასმის ძირითად საშუალებად პაციენტთან პირველი შეხვედრისას“, — განაცხადა **ვინოდ კოსლამ** კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ექსპონენციალურ მედიცინას და რომელიც Singularity University-ში გაიმართა.

კოსლამ დააფუძნა Sun Microsystems. დღეს მისი კომპანია Khosla Ventures ინვესტიციებით ხელს უწყობს ტექნოლოგიური კომპანიების განვითარებას.

როცა კოსლა 10-15 წლის იქით იხედება მომავალში, ის ხედავს სამედიცინო პეიზაჟს მონაცემებსმოწყურებული ალგორითმებით, რაღაც Google-ის AlphaGo-ს მსგავსს, და არა ექიმებს, რომლებსაც მიჩვეულნი ვართ.

„მედიცინა გაუმჯობესდა პრაქტიკული თვალსაზრისით, — ამბობს კოსლა, — ვფიქრობ, დადგა დრო, ეს პრაქტიკა მეცნიერებად გადავაქციოთ. ამისთვის მოგვიწევს, სამედიცინო ექსპერტიზა მანქანებს გადავულოცოთ“.

ადამიანებს არ შეუძლიათ ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მუდმივად მზარდი უზარმაზარი მონაცემთა ბაზის დამუშავება, რომელთა გენერირებას უახლესი ტექნოლოგიები ახორციელებს. ჯანმრთელობის მრიცხველით დაწყებული, სრული გენომის სეკვენირებამდე ჩვენი სამყარო ივსება მონაცემებით და ისინი მალე იმაზე მეტი იქნება, ვიდრე ცაში ვარსკვლავებია.

რომელი ტვინი შეძლებს ამ ინფორმაციის გადამუშავებას?

კოსლას სიტყვებით, სულ უფრო მეტი ადამიანი კვდება არასწორად დასმული დიაგნოზის, ქირურგის შეცდომისა და წამლის გაუთვალისწინებელი დოზის მოქმედების გამო, ვიდრე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას.

წარსულში ამის მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობა იყო. ჩვენ ვეყრდნობოდით მიღებულ ცოდნას, გამოცდილებასა და ინტუიციას, რათა შეგვევსო ეს გარღვევა, მაგრამ თანდათან მსგავსი ინფორმაცია პრობლემა ხდება. კოსლა ამბობს, რომ დიაგნოზის დასმა შესაძლებელია მხოლოდ ერთი ბიომარკერითაც ან ექიმი უნდა დააკვირდეს პაციენტს, შეადაროს ის სხვებს, რომლებსაც მსგავსი ჩივილებით სხვადასხვა დროს მისთვის მიუმართავს, ან 100 მლნ პაციენტის მონაცემთა ბაზის სკანირება მოახდინოს ბოლო ასი თუ ათასი მსგავსი სიმპტომების მქონე პაციენტთა მაგალითზე.

ვერც ერთი ექიმი ამას თავს ვერ გაართმევს.

„ძირითადად რისთვის მივმართავთ ექიმს? — დიაგნოზისთვის. ეს კი თანდათან მანქანებს დაეკისრება, ადამიანს კი სხვა როლის შესრულება მოუწევს ავადმყოფისა და ექიმის ურთიერთობაში“, — ამბობს კოსლა.

ჩვენც ხომ ეს გვინდა. ექიმების ნაწილობრივ გამოთავისუფლებით მათ საშუალება მიეცემათ, მეტი ყურადღება დაუთმონ ავადმყოფზე ზრუნვასა და ტენოლოგიების განვითარებას. დღეს ყველა სფეროში გვყავს სპეციალისტები, მაგრამ არც ერთ მათგანს ერთმანეთთან არ აქვს ისეთი მჭიდრო ურთიერთობა, როგორიც გვსურს. პაციენტს ხომ საშუალოდ 7 ძირითადი სიმპტომი ახასიათებს. განა არ აჯობებდა, თუკი ამ სიმპტომებს თანმიმდევრულად შეისწავლიდა ხელოვნური ინტელექტი, ხოლო ერთი ექიმი (და არა — 7) ამ შედეგებს გადასცემდა პაციენტს?

ეს ახალი მოდელი თავდაყირა დააყენებს ჯანდაცვას. იმის ნაცვლად, რომ პაციენტმა იაროს სპეციალისტიდან სპეციალისტთან, ისინი პირველი კონსულტაციის მიღებას შეძლებენ ერთ ექიმთან ან ექთანთან. ერთი საკონტაქტო წერტილის არსებობა უფრო კომფორტული იქნება პაციენტისთვის აუცილებელი დახმარების მისაღებად.



# კომპანია «პუმას» ახალი ფეხსაცმელი

**სხვადასხვა ფირმის ინჟინრები და დიზაინერები გამუდმებით მუშაობენ სიახლეების დანერგვაზე. წლებია, ფირმა „ნაიკი“ მუშაობს თასმების თვითშემკვრელი ფეხსაცმლის შექმნაზე, მაგრამ არც სპორტული ტანსაცმლისა და აქსესუარების მწარმოებელი კომპანია „პუმა“ იჯდა გულხელდაკრეფილი და უკვე შესთავაზა კიდეც მსოფლიოს ავტომატიზებული ფეხსაცმლის თავისი ვარიანტი.**

„პუმას“ ფეხსაცმელში ჩადგმულია ელექტროძრავები, რომლებიც უშვებს ან უჭერს ფეხსაცმლის შიგნით ფეხის გარშემო არსებულ თასმებს. და ეს კეთდება ღილაკზე თითის დაჭერით, რომელიც თვით ფეხსაცმელზეა ან მის ოფიციალურ მობილურ დანამატში. დააჭერ „პლუსს“ — მოუჭერს, დააჭერ „მინუსს“ — მოუშვებს. ბევრი იფიქრებს, რომ მსგავსი სისტემა მოფიქრებულია ზარმაცებისთვის, რომლებსაც არ უყვართ ძვირფასი დროის დაკარგვა თასმების შეკვრაში.

„პუმას“ მიზანია, თავისი პროდუქციით სპორტსმენები დააინტერესოს, უპირველესად კი, მორბენლები. სარეკლამო კომპანიის დასაწყისშივე Autodiscs-მა მიიპყრო ისეთი ვარსკლავების ყურადღება, როგორიცაა ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჰუსეინ ბოლტი და პროფესიონალი გოლფისტი რიკი ფაულერი. წარმოიდგინეთ, რა ხშირად უწევთ მორბენლებს თავიანთ ფეხსაცმელთან შეხება ვარჯიშის პროცესში, თასმების ავრომატურად შეკვრა-გახსნა კი მათ დროსაც დაუზოგავს და ნერვებსაც.

**ფეხსაცმელს, როგორც მისი შემქმნელები ამტკიცებენ, ორი უპირატესობა აქვს: პირველი — თასმების მომჭერი ძრავი ფეხსაცმლის ენაშია მოთავსებული და არა მის ძირზე, რაც ხელს უწყობს ფეხსაცმლის ადვილად მოხრას და მის დრეკადობას; მეორე უპირატესობა კი თქვენს სმარტფონთან მისი კავშირია.** თქვენ ასევე შეგიძიათ აირჩიოთ თასმების მოჭერის თქვენთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ვარიანტი როგორც ორივე ფეხზე ერთდროულად, ასევე თითოეულზე განსხვავებულად და იმის გათვალისწინებით, რას აპირებთ — სირბილს თუ სიარულს... ამასთანავე, არ მოგიწევთ დახრა, პირდაპირ ტელეფონის ეკრანიდან შეიკრავთ თასმებს.

„პუმა“ აღნიშნული ფეხსაცმლის წარმოებაში ჩაშვებას მალე გეგმავს, მაგრამ ცხადია, ის იაფი არ იქნება, თუმცა პროფესიონალი სპორტსმენების დაინტერესებას ნამდვილად მოახერხებს. ისინი კი თავს უფლებას ნამდვილად მისცემენ, კომპორტის გასაუმჯობესებლად და დროის ეკონომიისთვის ძვირი გადაიხადონ.

# რომელ ნივთებზე იტყვიან უარს ადამიანები უახლოეს 5 წელიწადში

**მსოფლიოს ახალგაზრდა მეწარმეთა კვლევაზე დაყრდნობით, Oll News გვატყობინებს, რომ 2020 წლისთვის, შესაძლოა, ადამიანებმა ხმარებიდან ამოიღონ ისეთი ნივთები, რომელთა გარეშე აქამდე წარმოუდგენელი იყო ცხოვრება.**



უახლოეს 5 წელიწადში უსარგებლო ნივთი იქნება **სახლის ტელეფონი**, რადგან კომუნიკაციის საშუალებად მას თანდათან ნაკლებად იყენებენ და ის „სმარტფონმა“ ჩაანაცვლა.



ახალგაზრდა მეწარმეების პროგნოზით, 2020 წლიდან **ქაღალდის ინდუსტრიაც** თანდათან შემცირდება, რადგან ყველა მონაცემისა და დოკუმენტის ციფრულ ფორმატში შენახვაა შესაძლებელი.



რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგივე ბედი ელის **მობილურ ტელეფონსაც**. მობილურის ფუნქცია შეითავსა პორტატულმა კომპიუტერმა.



ახალგაზრდა მეწარმეები იმასაც ვარაუდობენ, რომ მალე **საფულეც** აღარ დაგვჭირდება. მოსახლეობა ისე სწრაფად გადადის ელექტრონულ ყიდვაზე, რომ მალე ძველი ტყავის საფულეები უსარგებლო ნივთად იქცევა.



გაქრობა ემუქრება **საკაბელო ტელევიზიასაც**, მას ნელ-ნელა უკვე ინტერნეტი ანაცვლებს — მაღალი სიხშირის ინტერნეტი დღითიდღე მსოფლიოს სულ უფრო მეტ ტერიტორიას ფარავს.



მეწარმეების პროგნოზით, რამდენიმე წელიწადში დაიკლებს **კინოთეატრების** ვიზიტორების რაოდენობაც, ვინაიდან მაღალი ხარისხის ტელევიზორებისა და საშინაო კინოთეატრების მყიდველთა რაოდენობა იზრდება, მოსახლეობა თანდათან უფრო აქტიურად ანიჭებს უპირატესობას ფილმის სახლში ყურებას, ვიდრე კინოში წასვლას.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ადრინდელი აფრიკული ჰომო ერექტუსის ნამარხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ის არის უძველესი ჰუმანოიდი, რომელსაც დღევანდელი ადამიანისთვის დამახასიათებელი მსგავსი სხეულის ფორმა და პროპორციები აქვს, ერექტუსების ამ აგებულებას მეცნიერები მიაწერენ გარემო პირობების სხვაობას შედარებით ადრე მცხოვრებ რასებთან. ჰომო ერექტუსებს ჰქონდათ მიწაზე ცხოვრების ჩვეულება და ადრინდელთან შედარებით შემცირებული საჭიროება ცოცვის, სწორედ ამ უკანასკნელით აიხსნება, რომ ჰომო ერექტუსის წამოშობასთან ერთად განვითარდა სიარულის მანერა, ანუ განვითარდა გამართულად სიარული.

# გასაოცარო თავისებურებების გადაშენებული ცხოველები



**იმ ცხოველების შესწავლა, რომლებიც დიდი ხნის წინათ გადაშენდნენ, ადვილი სულაც არ არის. მაგრამ პალეონტოლოგებმა მრავალწლიანი მუშაობის შედეგად ბევრი რამ დაადგინეს. წარსულის ახალ-ახალი აღმოჩენები გვიჩვენებს, რომ ცალკეული სახეობები ისეთი უცნაური იყო, რომ მეცნიერები ბევრჯერ გააოცეს.**

## ჰომო ერექტუსებს შეეძლოთ ნავების მშენებლობა




**ჰომო ერექტუსი — „წელში გამართული ადამიანი“,** პრეისტორიული პერიოდის ადამიანის სახეობაა, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით მლნ წლის წინათ. ამ ფოტოზე წარმოდგენილი ჰომო ერექტუსი მეზღვაურთა სახეობაა. მათი მიგრაცია მოხდა აფრიკიდან აზიაში და სხვაგან, ოღონდ — ფეხით.

მეცნიერებაში არ არსებობს ერთი კონკრეტული მოსაზრება, რომელიც პასუხობს კითხვას ჰომო ერექტუსების კლასიფიკაციისა და წარმომავლობის საკითხზე, მაგრამ არსებობს ორი ალტერნატიული მოსაზრება: თუ დავუჯერებთ პირველ მოსაზრებას, „გამართულად მოსიარულე ადამიანს“ (ჰომო ერექტუსს), შესაძლოა, „მომუშავე ადამიანიც“ ვუწოდოთ. სწორედ ამ ასპექტიდან გამომდინარე, ისინი, შესაძლოა, განვიხილოთ ჰომინიდების უშუალო წინაპრებად, მათ შორის, თანამედროვე ადამიანის.

არსებობენ პალეოანთროპოლოგები, რომლებიც ჰომო ერგასტერებს განიხილავენ ჰომო ერექტუსების აფრიკულ ვარიანტად. ისინი ამბობენ, რომ „გამართულად მოსიარულე ადამიანი“ წარმოდგება ავსტრალოპითეკებიდან და ჩამოყალიბა აღმოსავლეთ აფრიკაში.

**ადრინდელი აფრიკული ჰომო ერექტუსის ნამარხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ის არის უძველესი ჰუმანოიდი, რომელსაც დღევანდელი ადამიანისთვის დამახასიათებელი მსგავსი სხეულის ფორმა და პროპორციები აქვს,** ერექტუსების ამ აგებულებას მეცნიერები მიაწერენ გარემო პირობების სხვაობას შედარებით ადრე მცხოვრებ რასებთან. ჰომო ერექტუსებს ჰქონდათ მიწაზე ცხოვრების ჩვეულება და ადრინდელთან შედარებით შემცირებული საჭიროება ცოცვის, სწორედ ამ უკანასკნელით აიხსნება, რომ ჰომო ერექტუსის წამოშობასთან ერთად განვითარდა სიარულის მანერა, ანუ განვითარდა გამართულად სიარული.

**ჰომო ერექტუსი პირველ ჰუმანოიდია, რომელიც გასცდა აფრიკის საზღვრებს და დაიკავა ორი კონტინენტის გავრცელების არეალი. ერთ-ერთი აღმოჩენა მოხდა იავაზე 1890-იან წლებში და ჩინეთში — 1920-იანებში. სავარაუდოა, რომ ჰომო ერექტუსის არსებობა ასევე უგრძესი პერიოდი იყო, ჰომო საპიენსის არსებობის დროს იგი 9-ჯერ მაინც აღემატება.**

1998 წელს მეცნიერებმა 800 ათასი წლით დაათარიღეს ქვის იარაღები, რომლებიც ფლორესზე (მცირე ზონდის არქიპელაგში შემავალი კუნძულია. მცირე ზონდის კუნძულები მრავალი კუნძულისგან შედგება და თითქმის მთლიანად მოქცეულია ინდონეზიის შემადგენლობაში. კუნძული ფლორესი მდიდარია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით) იქნა ნაპოვნი და რომლებიც გაკეთებული იყო ჰომო ერექტუსების მიერ.

**უძველეს ჰომონიდებს, კუნძულებამდე რომ მიეღწიათ, უნდა გადაელახათ მღელვარე ღრმა წყლები. ამისათვის მათ სჭირდებოდათ ნავი ან ტივი, მაგრამ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მათ არ ჰქონდათ შესაბამისი გონებრივი მონაცემები, რომელიც აუცილებელი იყო ნავების შესაქმნელად და გამოსაყენებლად.**

საკითხი ფლორესის იარაღის გამოყენებისა ნავების ასაშენებლად კვლავ სადავოა, კრეტის აღმოჩენები კი ყველა ეჭვს აქარწყლებს. 2011 წელს კრეტაზე მეცნიერებმა იპოვეს ქვის იარაღი, რომელიც 130 ათასი წლისაა. მეცნიერთა აზრით, ეს იარაღი „წელში გამართული ადამიანის“ შექმნილია, რომელიც კრეტაზე მხოლოდ ზღვით თუ მოხვდებოდა.

1991 წელს ქართველმა მეცნიერმა დავით ლორთქიფანიძემ საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფთან ერთად დმანისში აღმოაჩინა გაქვავეული ნამარხები, კონკრეულად ადამიანის თავის ქალა და ყბა. თავდაპირველად მეცნიერები თვლიდნენ, რომ ყველა აღმოჩენილი ნამარხი ეკუთვნოდა ჰომო ერგასტერს, მაგრამ შემდგომში ჩონჩხის ზომების შედარებამ და აღმოჩენილმა განსხვავებამ მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყოველი ზემოთ ხსენებული აღმოჩენა მიეკუთვნებინათ ახალი სახეობისათვის, სწორედ ამ ახალ სახეობას დაარქვეს მათ **ადამიანი ქართველი HOMO GEORGICUS.**

2001 წელს აღმოჩენილი იქნა ნაწილობრივ შემონახული ჩონჩხი, ამ ნამარხის ასაკი 1,8 მლნ წელია. სულ აღმოაჩინეს 4 ჩონჩხი, რომელთაც ჰქონდათ მარტივი, პრიმიტიული თავის ქალა და გულმკერდი, მაგრად საკმაოდ განვითარებული ხერხემალი და ქვედა კიდურები.

ჰომო ერექტუსები წინაპართან შედარებით ყურადღებას იქცევენ ბევრად დიდი ზომის თავის ქალით. ჰომო ერექტუსის წარმოშობის პერიოდი ხშირად იგივდება ქვის ხანის პირველ დიდ ინოვაციებთან.







## ტირანოზავრს საუკეთესო მხედველობა ჰქონდა

**ალბათ, გახსოვთ ფილმი „იურიული პერიოდის პარკი“, Tyrannosaurus rex მხოლოდ მოძრავ ობიექტებს რომ ხედავდა, მაგრამ სინამდვილეში მას ცხოველებს შორის საუკეთესო მხედველობა ჰქონდა.**

**ტირანოზავრს** ჰქონდა 55-გრადუსიანი ბინოკლური დიაპაზონი, იმაზე მეტი, ვიდრე თანამედროვე ქორს აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას უძრავი ობიექტების დანახვაც შესანიშნავად შეეძლო. დინოზავრს ადამიანზე 13-ჯერ უკეთესი მხედველობა ჰქონდა (არწივს 3,6-ჯერ უკეთესი აქვს ადამიანზე). T. rex-ს ობიექტების გარჩევა 6 კმ მანძილზე შეეძლო, მაშინ, როცა ჩვენ მხოლოდ 1,6კმ-ზე შეგვიძლია მათი გარჩევა. არსებობს მოსაზრება, რომ T. rex, რაკი ასეთი მხედველობა ჰქონდა, აუცილებლად მონადირე იქნებოდა და არა მტაცებელი. T. rex-ის ევოლუციის შედეგად მისი თვალები გადიდდა, სახე დაუპატარავდა, ლოყები გაუქრა, მხედველობა კი სულ უფრო გაუუმჯობესდა.



## Ounalashkastylus tomidai – ცოცხალი მტვერსასრუტი

**2015 წელს კუნძულ უნალაშკაზე (მდებარეობს ალასკის სამხრეთ-დასავლეთით და მიეკუთვნება „მელოტ“ კუნძულთა ჯგუფს) ნაპოვნი იქნა ნამარხი, რომელიც ეკუთვნოდა 23 მილიონი წლის წინათ მცხოვრებ ძუძუმწოვართა უცნობ სახეობას.**

კუნძულის სანაპიროზე მობინადრე Ounalashkastylus tomidai ზომით ბალახისმჭამელი ბეჰემოტის ტოლი იყო. ნამარხებს შორის აღმოჩნდა ბავშვის სხეულის ნარჩენები, რომელიც მიანიშნებს კუნძულზე მოსახლეობის არსებობაზე. Ounalashkastylus tomidai-ს ყველაზე უნიკალური თავისებურება იყო საკვების მიღების მანერა.

**„ბეჰემოტი“ ყბებს ერთმანეთს აბჯენდა და ძლიერი კუნთების დახმარებით პირით ისრუტავდა მცენარეებს.**

ის ჭამდა ზღვის ბალახს, წყალმცენარეებსა და სხვ. ძუძუმწოვართა შორის საკვების მიღების ამგვარი მანერის მქონე ცხოველი მეცნიერებმა სხვა არ იციან.

**Ounalashkastylus tomidai განეკუთვნება ზღვის ძუძუმწოვრებს, რომლის არც ერთი სახეობა არ გადარჩენილა. ხმელეთზე ის ზარმაცივით გადაადგილდებოდა, წყალში კი თეთრი დათვივით ცურავდა.**



## ოფაბინია რეგალისი – პალეონტოლოგთა დაცინვის საგანი

**ოფაბინია რეგალისი (Opabinia regalis) პირველად 1912 წელს აღწერეს. ეს ციცქნა მოცურავე ანტროპოდი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურადაა მოწყობილი.**

1931 წლის რეკონსტრუქციამ აჩვენა, რომ Opabinia regalis ფეხებაშვერილი დაცურავს. 1972 წელს უფრო ხარისხიანი რეკონსტრუქცია გაჩნდა, მაგრამ, როცა ის პირველად წარმოადგინეს პალეონტოლოგთა შეხვედრაზე, მეცნიერები სიცილით დაიხოცნენ, რადგან ეს ეს ხუმრობა ეგონათ.

ეს ანომალოკარი 505 მილიონი წლისაა, აქვს 5 თვალი და მოქნილი, ძაფივით წვრილი ხორთუმი, რომელიც ბოლოვდება თათით. ამ თათს იმისთვის იყენებს, რომ ნადავლი პირთან მიიტანოს, პირი კი სხეულის უკანა მხარეზე აქვს. სხეულს, რომელიც სავსებით შესაბამისი შეიძლება მოგეჩვენოთ ამ ეპოქისთვის, ჰქონდა 15 სეგმენტი. თითოეულ სეგმენტს ჰქონდა საცურაო სტრუქტურა, ბუნებრივია, ცურვისთვის. ზოგი პალეონტოლოგი მიუთითებს, რომ ეს პატარა, ჯერ კიდევ გამოუცნობი სამკუთხა თავისებურებები სხეულზე იყო O. Regalis-ის ციცქნა დაბოლოებები, ანუ ერთგვარი ფეხები ზღვის ფსკერზე გადასაადგილებლად.

ტირანოზავრს ჰქონდა 55-გრადუსიანი ბინოკლური დიაპაზონი, იმაზე მეტი, ვიდრე თანამედროვე ქორს აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას უძრავი ობიექტების დანახვაც შესანიშნავად შეეძლო. დინოზავრს ადამიანზე 13-ჯერ უკეთესი მხედველობა ჰქონდა (არწივს 3,6-ჯერ უკეთესი აქვს ადამიანზე). T. REX-ს ობიექტების გარჩევა 6 კმ მანძილზე შეეძლო, მაშინ, როცა ჩვენ მხოლოდ 1,6კმ-ზე შეგვიძლია მათი გარჩევა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დიპლოდოკის კუდმა ხმოვანი ბარიერი გადალახა

**დიპლოდოკი (ლათ. Diplodocus) ამომწყდარი ქვეწარმავლების გვარის ხვლიკმენჯა დინოზავრების წარმომადგენელია. სხეულის სიგრძე 25 მ აღწევდა, ჰქონდა ძალიან გრძელი კისერი და კუდი, შედარებით პატარა თავი. ცნობილია რამდენიმე სახეობა. იკვებებოდნენ მცენარეებით. დიპლოდოკის ნაშთები ნაპოვნია აშშ-ში იურული პერიოდის ნალექებში.**

ის, რომ დიპლოდოკების მსგავს ზავროპოდებს თავის დაცვა კუდით შეეძლოთ, კარგადაა ცნობილი. მისი კუდი ჰგავდა ხარების მწყემსის შოლტს და, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ „შოლტი-კუდების“ ბოლოებს შეეძლოთ ხმოვანი ბარიერის გადალახვა.

დიპლოდოკისა და აპატოზავრის კუდების კომპიუტერულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ კუდის ქნევისას მისი ბოლოს მოძრაობის სიჩქარე 1200 კმ საათში აღწევდა. ამ მოძრაობების შედეგად კი წარმოიშობოდა ხმაური, რომელიც უფრო მოჰგავდა ზარბაზნის ქუხილს, ვიდრე შოლტის ტლაშუნს.

კუდს ჰორიზონტალური მოძრაობა შეეძლო 30 გრადუსის რადიუსში. პალეონტოლოგები თვლიან, კუდით გამოწვეული ხმაური ამ ცხოველების ან კომუნიკაციის ერთგვარი საშუალება იყო, ან მამრების იარაღი კონკურენტულ ბრძოლაში.



## კარნოტავრის ციცქნა ხელები

**თუკი ვინმე დინოზავრის ხელებს „პატარა, უმაქნის ხელებად მოიხსენიებს“, მყისვე გაგახსენდებათ T.rex. ამ დინოზავრს თუმცა კი აქვს პატარა წინა კიდურები, მაგრამ ისინი იმდენად ძლიერი და მოქნილია, რომ მისი პატრონი მსხვერპლთან ბრძოლაში იყენებს. აი, კარნოტავრებს კი მართლაც ციცქნა ხელები ჰქონდათ. ისინი ცხოვრობდნენ სამხრეთ აფრიკაში გვიან ცარცულ პერიოდში.**

კარნოტავრის ხელები შეიძლება ვერც კი შეამჩნიოთ მის თავზე არსებული წყვილი დიდი რქის ფონზე. მას ისეთი პატარა წინა კიდურები ჰქონდა, რომ ზოგმა პალეონტოლოგმა ისინი ჩამოწერა, როგორც რუდიმენტული ორგანო, ანუ ორგანო, რომელსაც ორგანიზმის ისტორიული განვითარების პროცესში დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და სრულად არ ვითარდება. წინა მხრები საკმაოდ ძლიერი ჰქონდა, მაგრამ სიგრძით ისედაც პატარა მხრის ძვლის 1/4 იყო. პალეონტოლოგებს შეუძლიათ, თვალყური მიადევნონ წინა კიდურების პროგრესულ დაპატარავებას კარნოტავრთა წინაპრებში, მაგრამ წარმოდგენა არ აქვთ, ევოლუციამ სწორედ ეს ტენდენცია რატომ აირჩია.





## დრონტის ფრთები

**მავრიკიული დრონტი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა მისტიკურ ფრინველად და მისი რეალურად არსებობა მეცნიერებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მას შემდეგ, რაც სპეციალურმა ექსპედიციებმა მავრიკიაზე აღმოაჩინეს ამ ფრინველის ნაშთები, საყოველთაოდ აღიარეს, რომ ის ნამდვილად არსებობდა და მის განადგურებაში ადამიანმა ითამაშა დიდი როლი.**

დოდო მავრიკიის ტერიტორიაზე თავისუფლად ცხოვრობდა და მას არავითარი საფრთხე არ ელოდა სხვა ცხოველებისგან, რადგან აქ მტაცებლები არ ბინადრობდნენ, ამიტომ ფრინველს არ შეეძლო ფრენა და მიწაზე დადიოდა.

ფრინველი პირველად 1598 წელს ნახეს ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა, ხოლო 100 წლის შემდეგ ის უკვე ამოწყვეტილი იყო: მას სპობდნენ როგორც კოლონიზატორები, ასევე ის ცხოველები, რომლებიც კონკისტადორებმა ჩამოიყვანეს მავრიკიის ტერიტორიაზე. ამბობდნენ, რომ მეზღვაურებისთვის საუკეთესო სადილს წარმოადგენდა ეს 20-კილოგრამიანი შემწვარი ფრინველი, რომლის ხორციც უგემრიელესი იყო.

დოდოს სრული გადაშენების თარიღად ითვლება 1681 წელი. მის ფრთების ძვლებს ერთი გასაოცარი თავისებურება ჰქონდა: იყო სფეროსებრი ფორმის, მკვრივი, რომელსაც „მუშკეტის ბირთვი“ უწოდეს (მუშკეტის ტყვიაც სფეროსებრი ფორმის იყო და 50-60 გრ-ს იწონიდა, მის წინაშე ჯავშნით შეჭურვილი რაინდი უძლური იყო).

ამ „მუშკეტის ბირთვებს“ ფრინველი გამოიყენებდა იარაღად, ის დაფარული იყო სქელი ტყავით, რომელიც მოწინააღმდეგის ცემის საშუალებას იძლეოდა. ფრინველებს ჰქონდათ ძლიერკუნთებიანი ფრთები, რომლებიც ამ „მუშკეტის ბირთვების“ მოქნევაში და მოწინააღმდეგის ძვლების დამტვრევაში ეხმარებოდა. ზრდასრულ მამრებს ყველაზე დიდი ბირთვები ჰქონდათ.

მიჩნეულია, რომ ეს ფრინველები უკიდურესად აგრესიულები იყვნენ.





## ჰალუციგენი — კბილებიანი ჭია

**ჰალუციგენი — ეს არის ციცქნა ჭიისმაგვარი არსება, რომლის სიგრძე დაახლოებით 1 სანტიმეტრია და რომელიც 505 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა. მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა: ზურგის სიგრძეზე ჰქონდა ეკლები, ხოლო მუცელზე — ფეხები.**

როცა ჰალუციგენი პირველად აღწერეს, პალეონტოლოგებმა გადაწყვიტეს, რომ მისი ეკლები ფეხებიც იყო, ფეხები კი საცეცებს წარმოადგენდა. მათი გადაწყვეტილებით, ჰალუციგენის ბოლო სინამდვილეში იყო თავი.

2015 წელს ჰალუციგენის თავის ადგილი საბოლოოდ დადგინდა და გამოკვლეული იქნა ელექტრონული მიკროსკოპით. გარდა იმისა, რომ ჭიას ჰქონდა წყვილი თვალი, მან მეცნიერები გააოცა იმითაც, რომ პირი სავსე ჰქონდა კბილებით, რომლებიც ყელშიც გადადიოდა და აქ უკვე ნემსისებურ ფორმას იღებდა. პირში არსებული კბილები, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, **საკვების შესრუტვასა და დაქუცმაცებას ემსახურებოდა, ხოლო ყელში არსებული ნემსისებრი კბილები საკვებს უკან გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდა.**



## ოთხფეხა გველი

**ზოლნგოფენის გერმანულ მუზეუმში არის გაქვავებული გველი, რომელიც ბინადრობდა ჩრდილო-დასავლეთ ბრაზილიაში და რომელიც კარგა ხანს აღნიშნული იყო, როგორც „უცნობი ნამარხი“. ერთხელ ექსპერტი დევიდ მარტილი ეწვია მუზეუმს, ნახა გველი და დაასკვნა, რომ ის 20 მლნ წლით მეტი ხნისაა აქამდე ნაპოვნ ნებისმიერ გაქვავებულ გველზე, და მას გველების წინაპარი უწოდა.**

ამ ნამარხს ჰქონდა ასევე გასაოცარი თავისებურება — ოთხი კიდური. ადრე აღწერილ გველებს კი მხოლოდ 2 კიდური ჰქონდათ. ეს გველი, რომელსაც უწოდეს Tetrapodophis amplectus-ი ბინადრობდა 120 მლნ წლის წინათ და, რა თქმა უნდა, იყენებდა თავის კიდურებს არა იმისთვის, რომ გადაადგილებულიყო, არამედ ჩაებღუჯა სხვადასხვა საგანი. მეცნიერები თვლიან, რომ Tetrapodophis amplectus-ი იყო გარდამავალი სახეობა პირველ ქვეწარმავლებსა და თანამედროვე გველებს შორის. საყურადღებოა ისიც, რომ მისი ფეხები ბოლოვდებოდა საკმაოდ გრძელი ძვლებით, რაც დამახასიათებელია ხეზე მცოცავი ცხოველებისთვის.

## რქიანი თრია

**Ceratogaulus თრიების პრეისტორიული ჯიშია, რომელიც ბინადრობდა ჩრდილოეთ ამერიკაში 5-16 მლნ წლის წინათ, სიგრძით 30 სმ იყო და ჰქონდა რქები. ჯერჯერობით ეს ერთადერთი ცნობილი სახეობაა რქიანი მღრღნელებისა.**

ამ რქების ფუნქცია დიდხანს იყო განხილვის საგანი. რქების დანიშნულება მამრების ბრძოლისთვის გამოირიცხა, რადგან ორივე სქესის წარმომადგენელს ჰქონდა იგი. მეცნიერთა აზრით, შესაძლოა, რქიან თრიებს ცუდი მხედველობა ჰქონდათ, ამიტომ საფიქრებელია, რომ რქები მათთვის თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. ისინი საკმაოდ მაგარი იყო და თვალებისა და ყელის დასაცავად მოხერხებულ ადგილას განლაგებული. მტაცებლები, რომლებიც ჩაავლებდნენ თრიას ბეწვში, მოულოდნელად რქების ჩხვლეტას იგრძნობდნენ და უკან იხევდნენ.





## მრავალფეხას ახალი სახეობა

**ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებმა კალიფორნიის ერთ-ერთ გამოქვაბულში მრავალფეხას ახალი სახეობა Illacme tobini აღმოაჩინეს.**

მას მეცნიერებმა 414 წყვილი ფეხი და 4 სქესობრივი ორგანო დაუთვალეს. ნაპოვნი მრავალფეხა მამრობითი სქესისა აღმოჩნდა. მას არ აქვს თვალები. მეცნიერების აზრით, ახალაღმოჩენილი სახეობა ნათელს მოჰფენს Siphonorhinidae-ს კლასის გამოცანას, რომელსაც მიეკუთვნება Illacme tobini.



ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველგან ცნობის მოყვარეობით გვზვერავდნენ: „გურჯი მოსულა, გურჯიო!“ ერთ ალაგას გვაჩვენეს უზარმაზარი ქვევრები, ქვებით ამოვსებულები. გვიამბეს: გურჯობისას, დიდძალი ღვინო დგებოდა ფურტიოშიო. დღეს კი აქა-იქ თუ-ღაა დარჩენილი ვაზები ამ სოფელში და დამსხვრეული ქვევრები-ღა თუ მოწმობს, რომ ძველად მეღვინეობა ერთი უპირველესი დარგი ყოფილა აქაურების მეურნეობისა.**



# მოგზაურობა აჭარაში

მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი, ასევე აჭარაც, ოსმალებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს. „გურჯისტანის ვილაიეთი“ 8 ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. თავის მხრივ, ლივები ნაჰიებად (რაიონებად) იყო დანაწილებული, დასახლებული პუნქტები 1160-ს შეადგენდა.

ამ ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი: პირველად — 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი); ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო და ერუშეთი.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პარიზის ზავით შემოერთებულ იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი.

რუსეთის დროს შემოერთებული ტერიტორია შემდეგი მოცულობისა იყო:

ახალციხის მაზრა — 2706 კვადრატული კილომეტრი;
ახალქალაქის მაზრა — 2793;
ბათუმის ოლქი — 3779;
ართვინის ოლქი — 3339;
ფოცხოვის ოლქი — 588;
არტაანის ოლქი — 5137;
ოლთისის ოლქი — 3051.

სულ მესხეთის ტერიტორია გადაჭიმული იყო 21 393 კვადრატულ კილომეტრზე, ანუ მთელი საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტს შეადგენდა. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვრებში დარჩა ჭანეთი, ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

ეს ისტორიული ექსკურსი პირველ რიგში მათთვის არის განკუთვნილი, ვინც რუსეთს საქართველოს ისტორიულ მტრად თვლის, თურქეთს კი — მეგობრად.

როდესაც ვახსენებთ ტოპონიმებს — ბათუმი, ქობულეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური... იქვე უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის გარეშე ეს ყველაფერი დღეს თურქეთის ნაწილი იქნებოდა, ხოლო დანარჩენი საქართველო რამდენ ნაწილად განაგრძობდა არსებობას და იარსებებდა თუ არა საერთოდ, ცალკე საკითხავია.

მგზავრის წერილები და მგზავრის შენიშვნები, რომელიც თავმოყრილია წიგნში „მოგზაურობანი“, თედო სახოკიამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწერა. იმ ხანებში ავტორმა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით იმოგზაურა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, შემდეგ კი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში. ამჯერად შემოგთავაზებთ თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

დასასრული. დასაწყისი იხ. №40 (369)



ფურტიო

დედოფლის წყაროს წყალმა გაგვაცოცხლა, ღონე მოგვიკრიბა, თითქო ხელახლა დავიბადეო. მივდივართ, მაგრამ აღმართი დაუსრულებელ ზოლად გადაიქცა. იქით-აქეთ დასასვენებლად გაშვებულ ფერდობებს მწვანე ხასხასი გააქვთ. ყველას თავისი სახელი აქვს და თავისი ისტორიაცა, თუმცა ერთი შეხედვით კაცს აზრადაც არ მოუვა, ეს ადგილები რომელსამე ისტორიული ამბის ასპარეზად ჩასთვალოს. ასეთებია, მაგალითად, **„ნახუცარი“** და **„ნალობიევი“**, — თითო დღის მიწა, თავისუფლად გაშვებული, ფურტიოს დასაწყისში. ერთხელ თამარ დედოფალს კვირა დღეს მოუხდა თურმე ფურტიოში გაჩერება. ბრძანა, რაკი სხალთაში ვერ ჩაუსწარ, თქვენს ეკლესიაში უნდა მოვისმინო წირვაო. მთელი სოფელი შეიკრიბა, თამარ ბატონმა ეკლესიაში ინება ჩვენთან ერთად წირვის მოსმენაო. წირვის დაწყების ჟამი გახდა, მაგრამ მღვდელი აღარსადა სჩანდა. დიდებულმა მლოცველმა მოიკითხა: ხუცესი რა იქნაო? კრძალვით მოახსენეს: ნუ გაგვირისხავთ, დიდებულო! მღვდელს შეეშინდა, მეფის საკადრისი წირვა მე სად შემიძლია ვსწიროვო და დაიმალა. ფრიად ეწყინა თურმე და ბრძანა, საცა იყოს, მოძებნეთო. იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და გლეხს ნიკოლა შანთაძეს ლობიოში კი უნახავს დამალული მღვდელი. მას აქეთ ეს ადგილები ისტორიული შეიქნა: ერთს **„ნახუცარი“** დაერქვა და მეორეს **„ნალობიევი“**. თამარმა, ასე იყო თუ ისე, აწირვინა მღვდელს, მაგრამ გულნაკლული დარჩა მაინც: „მინდოდა, ქვის ეკლესია გამეშენებინა თქვენს სოფელში, მაგრამ თქვენი მღვდელი ხის ეკლესიის ღირსიც ძლივს არისო“. ამ ადგილას ძველი ქვის საყდრის საძირკველი დღესაც ეტყობა.

აჰა, ფურტიოში შევედით კიდეცა. ადამიანს აოცებს ეს მთლიანი ტყე ხეხილისა, რომელშიაც ჩაფლულია აქაური ხის სახლები. განსაკუთრებით აუარებელია მსხალი. ალაგ-ალაგ ვაზებით დახუნძლული ხეებიცა დგას. ამდენი კარგი ჯიშის ხილს აჭარაში იშვიათად თუ სადმე შეხვდებით. სახლებიც ერთი მეორეზე დაახლოვებითა სდგას. სუყველა ხისაა, ყავრით გადახურული. შეუჩვეველს თვალს ეხამება აქაური წესი ყავრით დახურვისა. ყავარი ლატნებზე აწყვია და აღარც ბასქა აქვს სადმე და აღარც ლურსმანი. ამ უკანასკნელის მაგივრად ბრტყელი ქვები აწყვია ყავარს დასამაგრებლად. საზოგადოდ, ალბათ ლურსმნის სიძვირისა გამო, მთელ აჭარაში ასეა სახლები დახურული, სახლებთან მოდგმულია იმერული სასიმინდეები, ოთხ ბოძზე შემდგარი. ყოველ ბოძის თავზე ჯამის მსგავსად გაჩორკნილი ხის ნაჭრებია, მხოლოდ ამოღრუტნული ნაწილი ქვეშა აქვს მოქცეული, ხოლო გამობერილზე სასიმინდეს დედა-ძელის თავებია დამყარებული. დანიშნულება ამ ოსტატურ ჯამისა ის არის, რომ ბოძზე აცოცებული თაგვი ვერ შევა სასიმინდეში.

## ყადი ეფენდი ბერიძე

იმ ღამეს მასპინძლადა გვყავდა ყადი ეფენდი ბერიძე, წევრი ხულოს მეჯლისისა, მთელ სოფელში ცნობილი თავის შეძლებითა, რასაც, რა თქმა უნდა, მისი თანამდებობაც უწყობს ხელს. სახლში თვითონ ბერიძე დაგვიხვდა და წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდა. ბერიძე აქეთკენ ნასწავლ კაცად ითვლება, რის გამო ეფენდის ტიტული აქვს. ქართულად წმინდად ლაპარაკობს, და თუმცა წერა-კითხვა არ იცის, ხოლო თურქულად თავის ღირსების შესაფერი სწავლა აქვს მიღებული. თბილისელ ქართველებში დაახლოვებით იცნობს აჭარაში ქართული წიგნების შემოტანის პიონერს, ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს. მეტის ქებითაც იხსენიებს ჩვენს დაუღალავს მოღვაწეს: ჩვენს ჯამეებში დადიოდა, ჩვენთან ერთად ლოცულობდა; ბრალია, ასეთი ეფენდი კაცი გურჯია და ჩვენს სჯულს არ ღებულობს, თორემ ყადობას არავინ დაუჭერდაო...

ჩვენი ყადი შეძლებულ მოსახლედ ითვლება ფურტიოში. ორი სახლი უდგას გამოჩინებულ ადგილას: ერთში სახლობით თვითონა ცხოვრობს, ხოლო მეორე, უფრო ახალი, — სტუმრების მისაღებად აქვს. სასტუმროში რამდენიმე თვალია ნოხებ და ქეჩებ გადაფენილ ტახტებიანი. მისვლისთანავე სასტუმროში, ანუ როგორც აქ ეძახიან, **ყონაღში**, შეგვიყვანა და თვითონ კი დატრიალდა, რომ შინაურებს საჭმელი დაემზადებიათ. მოკლე ხანში სუფრას გვიმშვენებდა ტაბაკად შემწვარი დედალი, სიმინდის მჭადი, ბროლივით წყალი... და მასპინძლის მდიდარი გული. ქართველურ ბოდიშს დასასრული აღარ ჰქონდა: ნუ დაგვზრახავთ, თქვენს საკადრისად ვერ დაგიხვდით, მაგრამ რა ვქნათ, ფუხარა ხალხნი ვართო... გულწრფელი მადლობის მეტი რაღა მეთქმოდა. საჭმელითა და დასვენებით ძალის მოკრეფის შემდეგ შევუდექით სოფლის თვალიერებას.

ყველგან ცნობის მოყვარეობით გვზვერავდნენ: „გურჯი მოსულა, გურჯიო!“ ერთ ალაგას გვაჩვენეს უზარმაზარი ქვევრები, ქვებით ამოვსებულები. გვიამბეს: გურჯობისას, დიდძალი ღვინო დგებოდა ფურტიოშიო. დღეს კი აქა-იქ თუ-ღაა დარჩენილი ვაზები ამ სოფელში და დამსხვრეული ქვევრები-ღა თუ მოწმობს, რომ ძველად მეღვინეობა ერთი უპირველესი დარგი ყოფილა აქაურების მეურნეობისა.

## საბრუნავას სერი და იქ გადახდილი ბრძოლა

სამხრეთით ფურტიოს ერთი გახრიოკებული კალთა ეგრეთ წოდებული „საბრუნავას სერი“ აკრავს მთისა, რომელსაც მკაფიოდ ეტყობა გარშემო ხაზი, სადაც იწყება ნაყოფიერი და უნაყოფო მიწა. ეს კალოს მსგავსი ოთხი-ხუთი დღის ადგილი ხელის გულივით მოტვლეპილია. ძველ დროიდანვე ასე შეუმუშავებლადა გდია. მიწის უნაყოფობას ნიადაგის თვისებას არ აბრალებენ აქაურნი. ამის მიზეზად, თუ აქაურებს დავუჯერეთ, სრულებით შემთხვევითი გარემოება გამხდარა.

სხალთაში, — მოგვითხრობენ აქაურნი, მთავრად იჯდა ვინმე გორგაძე, ფურტიოში მცხოვრებ ფარნას შვილი ჭინკაძე (სოფელ დოლოგანში ჭინკაძენი, 30 მოსახლე, ახლაც ცხოვრობენ), რომლის ნამოსახლარად ფურტიოს ხიდს ახლო მდებარე ადგილს ასახელებენ, — გაურჩებია მთავარს — შენ უნდა გადაგაგდო და მე უნდა დავიჭირო შენი ალაგიო. ერთხელ კიდეც შეუპყრიათ ურჩი ჭინკაძე და ჯაჭვით სხალთაში დაუბამთ. ტყვესთან ერთი კაცი მისულა და ნიშნის მოგებით უთქვამს: „ღირსი იყავ და ღირსეულადაც დაუსჯიხართო“. ტყვეს გულის მოსვლია, ჯაჭვი გაუგლეჯია და დამცინავიც მოუკლავს, ბოლოს, როგორც იყო, კიდეც გაქცეულა. გორგაძემ, რა კი ვერა მოუხერხა რა გავარდნილს ჭინკაძეს, გამოაცხადა: ვინც მოჰკლავს, წყალობით ავავსებო. გამოსულა ვინმე როკო (იმისი ნასახლარ ადგილს ახლაც „როკოს“ ეძახიან) ბერიძის შვილი აბაზა და მოუხსენებია მთავრისათვის: ჩემს კისერზე იყოს იმისი დაჭერაო! აბაზა ბერიძეს შეუყრია ჯარი და დიდხანსა სდია თურმე ჯერ შავშეთში, მერე — ქვემო-აჭარაში, მაჭახელშიც კი. ბოლოს, ფურტიოში მოუმწყვდევია „საბრუნავას“ სერთან. ეს სახელიც იმიტომ დარქმევია ამ სერს, რომ ფარნას შვილი აქ დაბრუნებულა. გამართულა ბრძოლა და მთელი ტბები დამდგარა სისხლისა (აქედან წამომდგარა სახელი ამ სერის ერთი კუთხისა — „ტბანები“). ამ ბრძოლაში აბაზას გაუმარჯვნია და ფარნას შვილი მოუკლავს.

ომი რომ გადაუხდია აბაზასა, მის დამშეულ მეომრებს სოფლისათვის საჭმელი უთხოვნიათ. სოფლელთ უპასუხნია: სანამ დაგიმზადებდეთ, ემანდე მსხალია მწიფე და ის მიირთვითო. ისინიც მივიდნენ და მწიფე მხალს შეექცნენ. იმ ისტორიულ ადგილსაც „სხალიანი“ შერჩა სახელად. საბრუნავა, ტბანები და სხალიანა სულ ერთადა ძევს. ფურტიოს ორ უბანსაც თავ-თავისი სახელი დაერქვა ამ დროის მთავარ გმირთა მოსაგონებლად: ერთს — „აბაზაური“, ხოლო მეორეს — „ფარნიაშვილები“.

ფარნას შვილს ამ ბრძოლის დროს ორი ნათესავი მოუკლავს გორგაძესი და უთქვამს: „ვინც მინდოდა, ორი მაინც მოვკალი და ახლა სიკვდილს მაგდენად არ ვინაღვლიო“. თანაც დასწყევლა თურმე ის ადგილი, სადაც სული დალია: **„მოწყალე ღმერთმა ნურაფრის მოსავალი ნუ აღირსოს ამ ადგილს, საცა ჩემი სისხლი დაიღვარაო. ნურც ადამიანს და ნუღარც პირუტყვს ნურარა არგოსო“...** ეს სერი, როგორც ზევითაცა ვსთქვით, უნაყოფოდ და ხრიოკადა გდია. რამდენიმე კომლი გლეხი სახლობს გარშემო, მაგრამ არც ერთს ხეირი და წარმატება არ ეტყობაო.

გამარჯვებულმა აბაზამ წაიღო მოკლული ჭინკაძე და გორგაძესთან წავიდა. — ფარნას შვილის დევნაში, უთხრა, მაჭახელიდან კარჩხლის მთაზე გადმოვიარეთ, ანწლისა და ეწერის (გვიმრის) გარდა ყოველი ბალახი ვსძოვეთ ჩემიან, ჩემ ჯარიანა საქონელივით, სოფელში შესვლისა და პურის ჭამის დრო არა გვქონდაო. ბოლოს რის წვალებით ფურტიოში მოვიმწყვდიე და აჰა, სურვილი აგისრულე, — მოვკალიო. მთავარს გაეხარდა სიმარჯვე აბაზასი და თავის შრომის ფასად აჩუქა თეთრობის მთაზე საძოვარნი და მაწყვალთის მთის ბაჟი, მიცა: დოლოგანი (ფარნას სოფელი) ყმად, ათას კოკიანი ჭური და სოფ. ფურტიოს ღვინის მოსავალი.

გახარებულმა აბაზამ ჭური სხალთიდან წამოიღო, მაგრამ ფურტიოში მოსვლამდე გზაში შემოაღამდა. ვახშმის მოსატანად სოფელში ბიჭი გაგზავნა. დაბრუნებულზე ბიჭს ჯორი კლდეზე „დაუხოხდა“ (გადაუვარდა). იმ ადგილას დღეს „ჯორის სახოხავი“ ჰქვიან, ხოლო საშიშ კლდეს — „ჯოჯოხეთის კლდე“.

## გამაჰმადიანებული ქამადაძე

**ფურტიოში აბაზამ, საცა სხალთიდან მოტანილი ჭური დამარხა, იმის მახლობლად ერთი ეკლესია ყოფილა. გამაჰმადიანების დროს ეს ეკლესია დაუნგრევიათ. ერთი ქვაღა დარჩენილა. ჯერ კიდევ მალულად ქრისტიანედ დარჩენილი სოფლელნი მიდიოდნენ ამ ქვასთან, სანთელს ანთებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ.** ერთს გამაჰმადიანებულ ქამადაძეს ეს ქვა რკინის უროთი დაუმსხვრევია, რათა უკანასკნელი ნუგეშიც ხელიდან გამოსცლოდათ ქრისტეს მსახურთ. როცა ქვას ამსხვრევდა, ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა ბევრი უშალა. მაჰმადიანი გაბრაზდა და იმდენი სცემა ამ დედაკაცს, რომ სიკვდილის პირად მიიყვანა. ლოგინად ჩავარდნილმა ქალმა ასე დასწყევლა მკრეხელი: **„მოწყალეო ღმერთო, ვინც მე ჩემი სალოცავი დამიმსხვრია, გაუხმე ხელი და მის გვარს პურით ნუ გააძღებ და ნუ ახეირებო“.** წყევლამ გასჭრაო, — ამბობენ სოფლელნი, — და **ქამადაძეს ხელი შეახმაო**. ხელშემხმარი თავისავე თანამორჯულესთან მისულა და რჩევა უკითხავს: ასე და ასე დამემართა და, ნეტავ, თუ რამე მეშველებაო. იმასაც რჩევა მიუცია: ისევ იმ დედაკაცთან მიდი და თავი დაალოცვინეო. ქამადაძე წასულა, მაგრამ დედაკაცი მკვდარი დახვედრია.

ქამადაძის გვარის კაცნი დღესაც არიან ფურტიოს ახლო სოფ. მჭედლურში. არც იმ დედაკაცისაგან დაწყევლილ ქამადაძის ნამრავლს გაუხარიაო, — მოგვითხრობენ აქაურნი, — მჭედლურის ქამადაძე სულ მშიერ-მწყურვალი დაიარება; პური რომ ჰქონდეს, ლობიო აკლია, ჩოხა რომ როგორმე ჩაიცვას, ახალუხის შოვნის სახსარი არა აქვსო. ასე წვალებით მოათრევენ თავიანთ დღესაო. დედაკაცისაგან დაწყევლილ გვარს ან და რა ახეირებსო!..

**თედო სახოკია**

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, №10, 2016 წ.**

**დამთავრდა არჩევნები, მაგრამ ეს არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას, რადგან ძალიან სწრაფად იცვლება სიტუაცია მსოფლიოში — დღითიდღე იძაბება ურთიერთობა რუსეთსა და ამერიკა-ევროპას შორის. როგორ გადანაწილდება გავლენის სფეროები, რას გვიმზადებს ბედი ამ არამდგრად და სწრაფად ცვალებად სამყაროში, ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული. ვინმეს ხელში სხვის საწინააღმდეგო იარაღად რომ არ ვიქცეთ, ავანტიურაზე არ უნდა წამოვეგოთ და უნდა ვაწარმოოთ პატიოსანი და გულწრფელი პოლიტიკა, სხვანაირად შეუძლებელია ჩვენისთანა პატარა ერის არსებობა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფიქრები არჩევნების შემდეგ

**არჩევნები დასრულდა. შედეგები ცნობილია და ყველა პოლიტიკურმა ძალამ, რომლებიც პარლამენტში ვერ მოხვდნენ, ეს შედეგი თავის თავს უნდა დააბრალოს. ახლა მიზეზების ძებნა და თავის მართლება დაგვიანებულია. პოლიტიკოსებს ხალხი მხოლოდ არჩევნების პერიოდში კი არ უნდა ახსენდებოდეთ, არამედ ადამიანებთან ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ: ეროვნული თვითშეგნების, ქვეყნის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, თითოეულის პასუხისმგებლობისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ასამაღლებლად.**



წლიდან წლამდე ვუყურებთ, როგორ გვადნება ხელში ქვეყანა ტერიტორიულად, ეკონომიკურად, მორალურად და იძირება სიღარიბისა და უცოდინარობის მორევში. არადა, ოცდახუთი წელია, ნატოსა და ევროპის ძახილით ვატყუებთ ჩვენს ხალხს და მასში პოლიტიკოსების დიდი წვლილიცაა. სამწუხაროდ, ვერასოდეს მივიღეთ ხელისუფლებისაგან ის სიკეთე, რომელსაც ქვეყნის სათავეში მათი მოყვანის შემდეგ ველოდებით. არის ასეთი გამონათქვამი: კარგ პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს ნიჭი, თავის შესაძლებლობებში დაარწმუნოს ხალხი, დიდ პოლიტიკოსს კი — ხალხი დაარწმუნოს საკუთარ თავში. სამწუხაროდ, ჩვენ ამ დონის პოლიტიკოსი არ გვყავს და კარგა ხანს არ გვეყოლება.

დღეს ერთმანეთის ლანძღვა-გინება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა — **ვეგუებით ამას.**

კაცმა იმ ავადსახსენებელი ცხრა წლის განმავლობაში უამრავი ბოროტება ჩაიდინა, მაგრამ ქალაქში ბანერზე იყო გამოკრული და დეპუტატად იყრიდა კენჭს — **ვეგუებით ამას.**

პარტიას, რომელმაც ქვეყანას ცხრა წლის განმავლობაში დიდი უბედურება დაატეხა თავს, ნახევარი მილიონი ამომრჩეველი კვლავ აცოცხლებს — **ვეგუებით ამას.**

გვიყიდიან და ყრვნიან მამულს, ენას, სარწმუნოებას — **ვეგუებით ამას.**

ქართველმა ხალხმა, დიდი ხანია, დაკარგა უფლება, თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი — **ვეგუებით ამას.**

ეროვნულ თვითშეგნებაზე ყოველთვის მოქმედებდა უცხოელთა მონობის უღელი და ასეა დღესაც — **ვეგუებით ამას.**

**ქვეყანა და ხალხი დაავადდა შემგუებლობის სინდრომით და ამაში პოლიტიკური პარტიების დიდი წვლილიცაა. სანამ ერი არ გამოიღვიძებს, წინააღმდეგობას არ გაუწევს ყოველივე ამას, სანამ ხალხი და ყველა პოლიტიკური პარტია არ ჩადგება თავისი და არა სხვა ქვეყნის სამსახურში, რომელსაც უფრო ენერგიულად და ერთგულად ემსახურებიან და რომელმაც ქვეყანა მიიყვანა ამ მდგომარეობამდე, არაფერი გვეშველება.** სწორედ ეს არის ჩვენი ქვეყნის მარცხის ძირითადი მიზეზები, ხოლო პასუხიმგებლობის დაკისრება არავის სურს. როცა ამერიკის ელჩმა წინასაარჩევნო კომპანიის მიმდინარეობა შეაფასა, როგორც ნორმალური და დემოკრატიული, ეს იყო ნიშანი, რომ არავითარი არეულობა და რევოლუცია არ მოხდებოდა, რადგანაც მათ ხელს აძლევთ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, ერთი მხრივ, უნარჩუნებენ პოზიციებს „ნაციონალურ მოძრაობას“ და, მეორე მხრივ, ქვეყანას ჰყავს მთავრობა, რომელიც მათი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

სამწუხაროდ, ამომრჩეველთა 50%-მა არ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. პარტიების ლეგიტიმაცია მხოლოდ ამომრჩეველთა 50 პროცენტის ხმებით მოხდა და მათ შეიძლება ვუწოდოთ ხალხის არჩეული?

„ოცნების“ გამარჯვება საჭირო და აუცილებელიც იყო, თანაც — საკონსტიტუციო უმრავლესობით. ვფიქრობ, მათ შორის ბევრია უცოდველი პიროვნება, საღად და ეროვნულად მოაზროვნე, რომლებზეც დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, და იმედია, ბევრი ეროვნული საქმე გაკეთდება.

ბევრი საკონსტიტუციო ცვლილებაა გასატარებელი. რაც მთავარია, უნდა განისაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსი, გასათვალისწინებელია ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა იმ ისტორიული გამოცდილებისა და მსოფლიოში არსებული დღევანდელი ვითარების შესაბამისად, რომლის გარეშეც წინსვლაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია. ახლა გამოჩნდება, ვინ არის ქვეყნის პატრიოტი, ვინ გააკეთებს ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს. პატრიოტი ხომ სამშობლოსათვის მებრძოლი და მსახური ადამიანია, როგორც **ილია ჭავჭავაძე** იტყოდა:

**„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისთვის თავის დადება“!**

ჯერი თქვენზეა, პარლამენტარებო!

მართალია, ნაციონალებმა მოსალოდნელზე მეტი ადგილი მოიპოვეს პარლამენტში, მაგრამ „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობამ ისინი ნაკლებად ქმედუნარიანი გახადა. თუმცა ბევრი ნაციონალი კვლავ სახელმწიფო სამსახურშია და ჯერ კიდევ ხელთ აქვს საინფორმაციო საშუალებები. სწორედ აქტიური პროპაგანდითა და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით მოახერხებს ზოგიერთის ეროვნული

**უნდა განისაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსი, გასათვალისწინებელია ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა იმ ისტორიული გამოცდილებისა და მსოფლიოში არსებული დღევანდელი ვითარების შესაბამისად, რომლის გარეშეც წინსვლაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია. ახლა გამოჩნდება, ვინ არის ქვეყნის პატრიოტი, ვინ გააკეთებს ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს**

თვითშეგნების გადაგვარება. ისინი ქვეყნის ძარცვა-გლეჯით მოპოვებულ ფინანსურ შესაძლებლობებს აქტიურად იყენებენ ამომრჩევლის მოსასყიდად — საარჩევნო ყუთთან მისულმა ნახევარმილიონამდე ამომრჩეველმა დაუჭირა მათ მხარი და ცოდვა ჩაიდინა. **ჯერ კიდევ ძლიერია ნაციონალების მხარდამჭერა ლობისტების მხრიდან, რომელთა მოსყიდვაზეც უამრავი თანხა დახარჯეს და ჩვენი ქვეყანა ფულის გათეთრების წყაროდ აქციეს. ამიტომ, თუ ერი არ გაიწმინდა ამ ბოროტებისა და ცოდვებისგან, მომავალი არ უწერია.**

მისასალმებელია „პატრიოტთა ალიანსის“, როგორც ეროვნული ძალის, შეყვანა პარლამენტში, მაგრამ დამტკიცება იმისა, რომ დეპუტატობის ღირსნი არიან, მათ მოუწევთ ბრძოლით, გამოკვეთილი ქართული ეროვნული პროგრამით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მართალია, „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“, მაგრამ არსებობს სხვა გამონათქვამიც „ნაპერწკლიდან ალი აინთება“. „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაატარონ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები და გაახმიანონ ქართველი ხალხის სატკივარი. საბჭოთა ეპოქაში, როცა ყველაფერს ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებდა, საქართველოში დიდი სამშენებლო ობიექტის მშენებლობა რომ დაწყებულიყო, მოსკოვთან, ცენტრთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღანელობა ზოგჯერ ფარულად იწყებდა დიდი ობიექტების მშენებლობას და, თუ ამის შესახებ შეიტყობდა საკავშირო მთავრობა, მის მიერ სათანადო ღონისძიების გატარებამდე, სასწრაფოდ ხსნიდნენ თანამდებობიდან ამ ობიექტის ხელმძღვანელს, — რეაგირება გატარდაო. ასეთი „მსხვერპლშეწირვით“ ჩადგა მწყობრში ბევრი ღირსშესანიშნავი ნაგებობა, მათ შორის — თბილისის მეტროპოლიტენი, სპორტის სასახლე... ახლა კი სხვა მოცემულობაში ვართ პოლიტიკური მდგომარეობით, ვინაიდან რაიმე ინფრასტურქტურული ნაგებობის მშენებლობა გამორიცხულია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკისგან და ამიტომ ახლა პოლიტიკური „მსხვერპლშეწირვა“ გვჭირდება, რომელსაც იყენებს **ბიძინა ივანიშვილი.** გახსოვთ, ალბათ, როგორ ჩამოაშორა მან პრემიერმინისტრის პოსტს **ირაკლი ღარიბაშვილი**, როცა მან კრიტიკული პოზიცია დაიკავა ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ, როცა ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებაზე გააკეთა გაბედული განცხადება. არადა, ცოტა ხნით ადრე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ბაიდენმა განაცხადა, ერთნაირსქესიანთა ქორწინება მსოფლიოში უნდა დაკანონდესო. ყოველივე ეს შეიქნა ღარიბაშვილის გადაყენების მიზეზი. იგი ზვარაკად შეეწირა ქვეყანას, როგორც ეროვნულად მოაზროვნე პატრიოტი.

**სანამ ხალხი და ყველა პოლიტიკური პარტია არ ჩადგება თავისი და არა სხვა ქვეყნის სამსახურში, რომელსაც უფრო ენერგიულად და ერთგულად ემსახურებიან და რომელმაც ქვეყანა მიიყვანა ამ მდგომარეობამდე, არაფერი გვეშველება**

ყველასათვის ცნობილია რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ მხრიდან ლიბერალური იდეოლოგიის გატარების მცდელობები და მათი ანტიეროვნული ქმედება. ივანიშვილმა ყოველგვარი „მსხვერპლშეწირვის“ გარეშე შეძლო, პოლიტიკური თამაშიდან გაეყვანა ამ იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური სუბიექტების დიდი ნაწილი.

ჩვენ დღეს მრავალპარტიული პარლამენტის ჩამოსაყალიბებლად მზად არ ვართ, ასეა 1918 წლიდან. არ გვაქვს ამის კულტურა, უცხოა ჩვენთვის ასეთი კონფიგურაცია.

„ოცნების“ მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვებას ბევრი უარყოფითად აფასებს. ასე იყო წინა ხელისუფლებების შემთხვევაშიც, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და ძალაუფლებას ბოროტად იყენებდნენ. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას ფაქტობრივი ძალაუფლება არ აქვს, საბედნიეროდ, ფინანსურადაც კარგად არის და არა მგონია, თავისი გავლენა ბოროტად გამოიყენოს. თუმცა, როგორც ოლიგარქი, ამერიკელებზე დამოკიდებული და დაკავშირებულია. ეს კარგად გამოჩნდა, როცა ერთ-ერთმა კონგრესმენმა განაცხადა, ივანიშვილს ყველა ფინანსური ანგარიში გავუყინოთო. სწორედ ივანიშვილი აღმოჩნდა ამერიკელებისთვის „მსხვერპლშეწირვის“ მთავარი ობიექტი...

შემდგომ ყველაფერი ამერიკული სცენარით განვითარდა, რა თქმა უნდა, ივანიშვილის დიდი ძალისხმევითა და ფინანსური დახმარებით და დასრულდა თავსმოხვეული კოაბიტაციით. ის, რომ იტყვიან, ხელ-ფეხშებორკილი დატოვეს და ასე უწევს ბეწვის ხიდზე სიარული. ივანიშვილზეა დამოკიდებული, როგორ და რანაირ „მსხვერპლშეწირვებს“ განახორციელებს სამომავლოდ.

არჩევნებში დამარცხებული ზოგიერთი პარტიიდან წავიდნენ მათი ხელმძღვანელები და ლიდერები და, ალბათ სურთ, სხვა სტატუსით დარჩნენ პოლიტიკურ ასპარეზზე — აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არასამთავრობო სექტორში თუ სხვა, მათთვის მომგებიან პოზიციებზე. ჩნდება კითხვა — ხომ არ არის ეს მათი პატრონების დაკვეთა და გარიგება ხელისუფლებასთან? ამას დრო გვიჩვენებს.

დამთავრდა არჩევნები, მაგრამ ეს არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას, რადგან ძალიან სწრაფად იცვლება სიტუაცია მსოფლიოში — დღითიდღე იძაბება ურთიერთობა რუსეთსა და ამერიკა-ევროპას შორის. როგორ გადანაწილდება გავლენის სფეროები, რას გვიმზადებს ბედი ამ არამდგრად და სწრაფად ცვალებად სამყაროში, ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული. ვინმეს ხელში სხვის საწინააღმდეგო იარაღად რომ არ ვიქცეთ, ავანტიურაზე არ უნდა წამოვეგოთ და ვაწარმოოთ პატიოსანი და გულწრფელი პოლიტიკა, სხვანაირად შეუძლებელია ჩვენისთანა პატარა ერის არსებობა.

სხვა გამოსავალი არ გვაქვს!

**ჯონი ცინცაძე**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასათესად იყენებენ მაღალი ხარისხის 2 წილ ტორფს ან ამავე რაოდენობის ნეშომპალას, თითო წილ თიხნარ მიწას და მსხვილ ქვიშას. ამ ნაზავის ყოველ 1 მ3-ს უმატებენ 150 გრამ ამონიუმის გვარჯილას, 250 გრამ ორმაგ სუპერფოსფატს და 200 გრამ კალიუმის სულფატს. ითესება დაკალიბრებული და გაუსნებოვნებელი თესლი. გაუსნებოვნებისთვის გამოიყენებენ 2%-იან მარილმჟავას ხსნარს, რომელშიც თესლს აყოვნებენ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ რეცხავენ.**

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გოგოლა მარგველაშვილი.**

# პომიდვრის მოყვანა ზამთრის სათბურებში



**ზამთრის სათბურებში პომიდორი მოჰყავთ სამ პერიოდში: ზამთარ-გაზაფხულის, შემოდგომა-ზამთრისა და გარდამავალ ბრუნვებში.**



ზამთარ-გაზაფხულის ბრუნვის დასაწყისში განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობებია სინათლის ისეთი მოყვარული კულტურისთვის, როგორიც პომიდორია. ეს ბრუნვა (ჩითილის გამოყვანა) იწყება სინათლის დაბალი ინტენსივობისა და შემოკლებული დღის პირობებში. შემდგომ თანდათან ძლიერდება მზის რადიაციის დაძაბულობა და უმჯობესდება სითბოსა და სინათლის რეჟიმები. ამიტომაა, რომ ეს ბრუნვა მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა და მოსავლიანობით მნიშვნელოვნად უსწრებს შემოდგომა-ზამთრის ბრუნვაში წარმოებულს.

*** ჩითილის გამოზრდა იწყება ნოემბრის მესამე დეკადიდან, ირგვება დეკემბრის ბოლოს, პროდუქცია შემოდის აპრილის მე-3 დეკადიდან და გრძელდება ივლისის მე-3 დეკადამდე. მსხმოიარობა სამ თვემდე გრძელდება.**

ზამთრის სათბურებში მის მოყვანას წინ უძღვის სათბურის დეზინფექცია, საჭიროების შემთხვევაში — გრუნტის გაუსნებოვნება, დამუშავება და თესლის მომზადება დასათესად.

*** დასათესად იყენებენ მაღალი ხარისხის 2 წილ ტორფს ან ამავე რაოდენობის ნეშომპალას, თითო წილ თიხნარ მიწას და მსხვილ ქვიშას. ამ ნაზავის ყოველ 1 მ3-ს უმატებენ 150 გრამ ამონიუმის გვარჯილას, 250 გრამ ორმაგ სუპერფოსფატს და 200 გრამ კალიუმის სულფატს.**

ითესება დაკალიბრებული და გაუსნებოვნებელი თესლი. გაუსნებოვნებისთვის გამოიყენებენ 2%-იან მარილმჟავას ხსნარს, რომელშიც თესლს აყოვნებენ 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ რეცხავენ.

*** თესლი ითესება 50X35 სმ ზომის ყუთებში, 2-3 გრამი ერთ ყუთზე. დათესვიდან აღმოცენებამდე 8-12 დღეა საჭირო, დაახლოებით სამი კვირის შემდეგ, როდესაც მცენარე გამოიტანს ერთ ნამდვილ ფოთოლს, და აწარმოებენ აღმონაცენის პიკირებას. ერთი ყუთიდან დაახლოებით 500 აღმონაცენი მიიღება.**

აღმონაცენის პიკირება ხდება სხვა ყუთებში (4X5 სმ-ზე) ან ქოთნებში, კუბურებში, უფრო ხშირად კი — სპეციალურ კასეტებში. ბოსტნეულის ჩითილის დიდი მასშტაბით საწარმოებლად არსებობს სპეციალური კომპიუტერული მართვის დანადგარი, რომელიც კასეტებში ავტომატურ რეჟიმში თესავს თესლს. ცარიელი კასეტები კონვეიერულად მიეწოდება დანადგარს. დანადგარს ემსახურება რამდენიმე მუშა და ოპერატორი.

**იმ შემთხვევაში, თუ ნაზავი ნიადაგი საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი საკვები ელემენტებით, ჩითილი ერთი-ორჯერ უნდა გამოიკვებოს მინერალური სასუქებით. პირველ გამოკვებას ატარებენ პიკირებიდან 10 დღის შემდეგ: 15 გრამი ამონიუმის გვარჯილა, 40 გრამი სუპერფოსფატი და 20 გრამი კალიუმის სულფატი 10 ლიტრ წყალზე; ან სპეციალურ, წყალში ხსნად კომპლექსურ სასუქებს.**

**მეორე გამოკვება** ტარდება პირველიდან 10-15 დღის შემდეგ. იმის გამო, რომ ზამთარ-გაზაფხულის ბრუნვაში ჩითილის გამოზრდა ემთხვევა სუსტ ბუნებრივ განათებას, შესაბამისად, უნდა რეგულირდებოდეს ჰაერის ტემპერატურაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღება აწოწილი და სუსტი მცენარეები.

*** სათბურში ჰაერის ტემპერატურა ჩითილის გამოზრდისას ღრუბლიან დღეს უნდა იყოს 19-220, ნათელ მზიან დღეს — 25-280, ღამით — 150. მუდმივ ადგილზე დარგვის შემდეგ პირველი 3-5 დღის განმავლობაში ტემპერატურა უნდა გაიზარდოს 3-50-ით. თუ მზიან ამინდში ტემპერატურა გადასცდა 280-ს, სათბური უნდა განიავდეს (ვენტილაცია). ამ პერიოდში ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 60-70% უნდა იყოს.**

მცენარეების გამორჩევა ხდება ჯერ პიკირებისას, შემდეგ კი მუდმივ ადგილზე დარგვისას. არჩევენ მხოლოდ ჯანსაღ, მუხლმაგარ, ფენოტიპურად სრულყოფილ მცენარეებს.

*** ჩითილის ოპტიმალურ ხნოვანებად ითვლება დათესვიდან 50 დღე. დასარგავ ჩითილს უნდა ჰქონდეს 7-8 ფოთოლი, იყოს საშუალოდ 25 სმ სიმაღლის, ფორმირებული უნდა ჰქონდეს პირველი საყვავილე მტევანი და კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა.**

მცენარეებს რგავენ მწკრივებად. დარგვის დროს გრუნტი უნდა დატენიანდეს ზღვრული წყალტევადობის 75-80%-ის ფარგლებში.

**რგავენ ორ მწკრივიან ზოლებად: 100+60X45-50 სმ, ზოლებს შორის მანძილი 100 სმ-ია, მწკრივებს შორის მანძილი — 60სმ, მწკრივებში მცენარეთა შორის მანძილი — 45-50 სმ.**

ზოგიერთი ჯიში შეიძლება დაირგოს უფრო დიდი სიხშირით, დარგვიდან 2-3 დღის შემდეგ მცენარეებს აკრავენ სათბურის ზედა ნაწილში გაჭიმულ მავთულის ჰორიზონტალურ შპალერზე.

მცენარის ღეროს ფრთხილად შემოახვევენ ჰორიზონტალური შპალერიდან ჩამოშვებულ ზონარებზე. შემდეგში ამ ოპერაციას კვირაში ერთხელ, ნამხრევების შეცვლასთან ერთად ატარებენ.

მცენარეებს აფორმებენ ერთ ღეროზე. მცენარის მიერ დაგროვილი ასიმილატების არამიზნობრივი ხარჯვისგან აცილების მიზნით ნამხრევებს წარმოქმნისთანავე აცლიან. ამ ღონისძიების დროულად ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხმოიარობის დაწყებამდე.

**ნამხრევების** შეცლა იწყება დილიდან. ჭრილობის ადგილები უფრო სწრაფად ხორცდება და მცირდება დაავადების რისკი. ნამხრევებს აცლიან ფუძესთან. გადაზრდის შემთხვევაში, უმჯობესია, შეიჭრას დანით ფუძესთან 1-1,5 სმ-ის დატოვებით.

**მცენარეზე დატოვებული მტევნების რაოდენობა დამოკიდებულია კულტურის წარმოების ხანგრძლივობაზე. ზედა შპალერამდე (2,0-2,1 მ) მცენარე ივითარებს 8-9 მტევანს. როდესაც მთავარი ღერო მიაღწევს ზედა შპალერის მავთულს, გადმოკიდებენ, 40-500-იანი კუთხით ჩამოუშვებენ, მიაკრავენ მეზობელ მცენარეს და მიწიდან დაახლოებით 50 სმ სიმაღლემდე (6-10 მტევანი) წვეროს წააკვეცავენ.**

ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურა რეგულირდება განათების ინტენსივობის შესაბამისად. შესუსტებული განათებისას რეკომენდებულია ტემპერატურის რეგულირება ღრუბლიან ამინდში 20-220, მზიან ამინდში 24-250, ღამით 15-160-ის ფარგლებში.

ნიადაგის ტემპერატურა არ უნდა ჩამოვიდეს 16-180-ზე დაბლა. ჰაერის ოპტიმალური ტენიანობა 60-65%-ის ფარგლებშია. დაუშვებელია, როგორც ტემპერატურის, ისე ჰაერის ტენიანობის მკვეთრი მერყეობა.

**ღამის ტემპერატურა.** ღამის ტემპერატურული რეჟიმის დღისაზე გადასვლას არ უნდა მოჰყვეს მცენარეზე კონდენსატის წარმოქმნა, რისთვისაც ფრამუგებს აღებენ ისე, რომ არ შეიქმნას ცივი ჰაერის მიწისპირა დინება.

პომიდვრის დასამტვერიანებლად აუცილებელია ჰაერის სიმშრალე, რადგან ყვავილის მტვერი მხოლოდ ასეთ პირობებში ადვილად სცილდება მტვრიანას და ხვდება ბუტკოს დინგზე.

საყვავილე მტევნებს, ნაყოფების გამონასკვის ხელშესაწყობად კვირაში ორჯერ დილაობით სპეციალური ვიბრატორით ამუშავებენ. ამ მიზნით გამოიყენებენ მცენარეზე შესასხურებელ სპეციალურ პრეპარატებს ან დამმტვერავ მწერებს.

**პომიდორი ზომიერად წყლის მოყვარული კულტურაა. ხშირი მორწყვის შედეგად სათბურში იზრდება ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, რაც კარგ პიროებებს ქმნის დაავადებების გასაჩენად და აფერხებს ყვავილების დამტვერიანებას. ამიტომ პომიდორი, კიტრისგან განსხვავებით, უმჯობესია, მოირწყას უფრო იშვიათად და უხვად.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პირველ ოთხ მტევანს ნაყოფების დამსხვილების პერიოდში. ამ დროს მცენარე ხარჯავს წყლის მაქსიმალურ რაოდენობას. წყლის უთანასწორო ან ნაკლებად მიწოდებისას აღინიშნება ყვავილებისა და ნასკვების ცვენა, ნაყოფების დასკდომა და ნაყოფის წვეროს სიდამპლის გაჩენა. მორწყვისას ცდილობენ, რომ მცენარეებს ფოთლები არ დაუსველოთ. ამ მხრივ უპირატესობა ენიჭება წვეთოვან მორწყვას.

*** დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის ნახშიროჟანგით გამოკვებას, რომელიც ტარდება დილის საათებში. აუცილებელ აგროტექნიკურ ღონისძიებად ითვლება ქვედა ფოთლების თანდათანობით მოცილება. ამ ღონისძიებას იწყებენ დარგვიდან 45-50 დღის შემდეგ.**

*** ფოთლების შეცლა, სჯობს, ჩატარდეს დილის საათებში, კვირაში ერთხელ, უნდა მოვაცილოთ არა უმეტეს 2-3 ფოთოლს მე-5, მე-6 მტევნამდე. ამ ოპერაციის ჩატარების დღეს მორწყვა არ არის მიზანშეწონილი.**

**მტევნებიდან ყველაზე სუსტად განვითარებულ ბოლო 2-5 საყვავილე კუკურის შეცლა ხელს უწყობს დარჩენილი ნასკვების უკეთ ზრდას.**

თუ სათბურის გრუნტი კარგ მდგომარეობაშია, ნიადაგს ჩვეულებრივ არ აფხვიერებენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მწკრივთაშორისებში მიწა ძლიერადაა გამკვრივებული (დამჯდარი), იგი უნდა გავაფხვიეროთ, რათა წყალმა და ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს ნიადაგში.

**დაავადებებიდან ყველაზე საშიშია ფიტოფტოროზი, ფუზარიოზული და ვერტიცილოზური ჭკნობა, მურა ლაქიანობა, რუხი სიდამპლე, მაკროსპორიოზი, ფესვების გაკორპება, თამბაქოს მოზაიკით გამოწვეული დაავადებები, სტრიკი.**

**მავნებლებიდან უმთავრესია ნემატოდები და ფრთათეთრა, შედარებით ნაკლები ზიანის მომტანია ბუგრები და ტკიპები.**

პომიდვრის მოსავლის აღება დარგვიდან 2-2,5 თვის შემდეგ იწყება. იღებენ ჟღალ სიმწიფეში, რაც ხელს უწყობს მცენარეზე დარჩენილი ნაყოფების დამწიფებას. გაზაფხულზე ნაყოფი იკრიფება 2-3 დღეში ერთხელ, ზაფხულში — ყოველდღიურად.

**ვაჟა ჯაფარიძე,**
*სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

**სათბურში ჰაერის ტემპერატურა ჩითილის გამოზრდისას ღრუბლიან დღეს უნდა იყოს 19-220, ნათელ მზიან დღეს — 25-280, ღამით — 150. მუდმივ ადგილზე დარგვის შემდეგ პირველი 3-5 დღის განმავლობაში ტემპერატურა უნდა გაიზარდოს 3-50-ით. თუ მზიან ამინდში ტემპერატურა გადასცდა 280-ს, სათბური უნდა განიავდეს (ვენტილაცია). ამ პერიოდში ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 60-70% უნდა იყოს**

**ჩითილის ოპტიმალურ ხნოვანებად ითვლება დათესვიდან 50 დღე. დასარგავ ჩითილს უნდა ჰქონდეს 7-8 ფოთოლი, იყოს საშუალოდ 25 სმ სიმაღლის, ფორმირებული უნდა ჰქონდეს პირველი საყვავილე მტევანი და კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა. მცენარეებს რგავენ მწკრივებად. დარგვის დროს გრუნტი უნდა დატენიანდეს ზღვრული წყალტევადობის 75-80%-ის ფარგლებში**



**14 ნოემბერს სავსემთვარეობაა. მოსალოდნელია ტექნიკური ავარიები და სტიქიური უბედურებები. საჭიროა მეტი სიფრთხილის გამოჩენა ავტომობილის მართვისას. სასიკეთო პერიოდია მორიელისა და მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**9 - 15 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებთ ახლობლების დახმარებით. მიღებული ინფორმაცია ყურადღებით გააანალიზეთ, რადგან მის სწორად აღქმაზე დამოკიდებული იქნება წარმატება სამსახურში.

დაქორწინებულმა ვერძებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის წევრების მიმართ. მარტოხელები კი შეეცდებიან, საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელთან დაწყებული ფლირტი სერიოზულ ურთიერთობაში გადაიყვანონ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 13 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ნოემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

მოგიწევთ სხვისი შეცდომების გამოსწორებაზე ზრუნვა და ამის გამო საქმეებში ჩაეფლობით. არ არის გამორიცხული, რომ საკუთარი ძალები სათანადოდ ვერ შეაფასოთ. ამ პერიოდში მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც, ძირითადად, ოჯახს დასჭირდება, ამიტომ ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

მარტოხელა კუროებს, რომლებსაც სასიყვარულო ურთიერთობა ახალი დაწყებული აქვთ, შეიძლება გაბედული ნაბიჯის გადადგმა და ურთიერთობის შესახებ გულწრფელი აღიარება მოსთხოვონ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს — ნერვიული დაძაბულობა არა მხოლოდ გუნებას გაგიფუჭებთ, არამედ შეიძლება ჯანმრთელობასაც შეუქმნას საფრთხე.

**დადებითი დღე: 15 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ნოემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

გაბედულება და პრაგმატული მიდგომა შეგაძლებინებთ, ნებისმიერი საქმე თქვენდა სასიკეთოდ დაასრულოთ. იაქტიურეთ და საწადელს აუცილებლად მიაღწევთ, მთავარია, უმნიშვნელო დეტალების დევნაში მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ. თქვენი წინდაუხედავი საქციელის გამო მოსალოდნელია საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი, რაც შეიძლება განშორებით დასრულდეს. დიდია სასუნთქი სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. აგრეთვე, მოწყვლადია ნერვული სისტემა. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 10 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ნოემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც ბრძნულ რჩევებს მოგცემთ და ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ.

გაგიჩნდებათ იდეები, მაგრამ ბევრი მათგანის განხორციელება გაგიჭირდებათ. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად — მიწის, ბინის, ავეჯის.

მეტი დრო დაუთმეთ საოჯახო საქმეებს და შეეცადეთ, ახლობლებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით ან სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით. ეს თქვენი იმუნიტეტის განმტკიცებასაც შეუწყობს ხელს.

**დადებითი დღე: 10 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ნოემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

თქვენი აზრები და ენერგია მიმართული იქნება ფულის გამომუშავებისა და ფინანსური საკითხების გადაწყვეტისკენ. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება თქვენს მოხერხებულობაზე, თუმცა საეჭვო გარიგებებსა და ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობისგან თავი შეიკავეთ. მარტოხელა ლომებს ყურადღებას მიაპყრობენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი თანამშრომლები და არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანთან ურთიერთობის გაღრმავება მოისურვონ.

დიდია ნაღვლის ბუშტის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 9 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 ნოემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

არაერთგვაროვანი პერიოდია. ზოგჯერ მოგინდებათ, დინების საწინააღმდეგოდ გაცუროთ, ზოგჯერ კი პირიქით — ყველა საქმისგან გაქცევას და მშვიდად ყოფნას მოისურვებთ. მხოლოდ მოთმინებითა და გარშემო მყოფებთან ტაქტიანი ურთიერთობით შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას. საყვარელ ადამიანთან შეიძლება შეგექმნათ უთანხმოება, რაც გამოწვეული იქნება თქვენი თვალსაზრისის ჯიუტად დაცვით.

დიდია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა. მიიღეთ ვიტამინები იმუნიტეტის გასამყარებლად.

**დადებითი დღე: 15 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ნოემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

იაქტიურეთ და გაიმყარეთ პოზიციები, როგორც საზოგადოებრივი, აგრეთვე, ფინანსურიც. პრობლემების გადაწყვეტაში კოლეგები და ახლობლები დაგეხმარებათ.

მოსალოდნელია უთანხმოება საყვარელ ადამიანთან, ამის მიზეზი იქნება თქვენი უყურადღებობა. გულწრფელად დაელაპარაკეთ მას და შეეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოთ ძველი ურთიერთობა.

შეიძლება შეგექმნათ ხერხემლის პრობლემა. შეამცირეთ ფიზიკური აქტივობა — არ აწიოთ მძიმე საგნები. რეკომენდებული არ არის კბილების მკურნალობა.

**დადებითი დღე: 15 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 ნოემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

აქტიურობის პერიოდია. შეძლებთ ბევრი იდეის განხორციელებას. მორიელების ძლიერი ენერგეტიკა ბევრ გარშემო მყოფს მიიზიდავს და იმედით აღავსებს, რომ მათი დახმარებით პრობლემებს იოლად მოაგვარებს. ნებისმიერი საოჯახო საკითხი მოთმინებითა და აუჩქარებლად გადაჭერით. მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანზე ზრუნვას.

დიდია შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 15 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

საკმაოდ წარმატებული პერიოდია. ახლობლებისა და კოლეგების დახმარებით შეძლებთ ბევრი პრობლემის მოგვარებას, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ წვრილმანებზე ნერვიულობამ და ვითარების დრამატიზებამ შეიძლება ხელი შეგიშალოთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გართულებების გარეშე წარიმართება, მაგრამ გამორიცხული არ არის უთანხმოება მის ნათესავებთან. შესაძლოა, შეგექმნათ მხედველობის პრობლემა. ნაკლები დრო გაატარეთ ტელევიზორის ეკრანსა და კომპიუტერის მონიტორთან.

**დადებითი დღე: 14 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 ნოემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

რთული იქნება ბალანსის დაცვა სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის. გამორიცხული არ არის კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. პრობლემების მოგვარებაში მოთმინება, შეუპოვრობა და მუხლჩაუხრელი შრომა დაგეხმარებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევის მცდელობამ შეიძლება მიგიყვანოთ კონფლიქტამდე, რომლის მოსაგვარებლად საკმაო დრო დაგჭირდებათ.

დიდია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაიმყარეთ იმუნიტეტი ვიტამინებით მდიდარი პროდუქტებით.

**დადებითი დღე: 11 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ნოემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

თქვენს ექსპერიმენტებს აუცილებლად გამოუჩნდება გავლენიანი მხარდამჭერები, რომლებიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებიან.

მარტოხელა მერწყულების სასიყვარულო ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან შეიძლება ქორწინებით დასრულდეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეეცდებიან ამ ადამიანის გაიდეალიზებას და იმ თვისებების მიწერას, რომლებიც არ აქვთ.

თქვენი ფიზიკური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება ემოციურ მდგომარეობაზე, კვების რეჟიმსა და რაციონზე. ემოციური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა ნივთიერებათა ცვლის დარღვევა გამოიწვიოს. თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 14 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 ნოემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

ფინანსურ საკითხებში დადებითი შედეგების მისაღწევად აუცილებელი იქნება ცვალებად სიტუაციებში გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების, აგრეთვე, აზრების მკაფიოდ გამოხატვისა და გარშემო მყოფებამდე მიტანის უნარები. წარმატებას მიაღწევენ ხელოვნების, კულტურისა და კომუნიკაციების სფეროში მოღვაწე თევზები — მსახიობები, მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები. მარტოხელა თევზებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, მათ შეიძლება სიყვარულში გამოუტყდეთ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელი წარმომადგენელი, რომლის მიმართაც თვითონაც არ არიან გულგრილნი.

ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების თავიდან ასაცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 11 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ნოემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 9-15 ნოემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**9 ნოემბერი** — რეკომენდებულია მიწის დამუშავება, ნიადაგის გაფხვიერება და მულჩირება.

**10 ნოემბერი** — კარგი იქნება, თუ მორწყავთ ოთახის დეკორატიულ მცენარეებს. შეიძლება ნიორისა და მწვანილის დათესვა სათბურში.

**11 ნოემბერი** — რეკომენდებულია მოცხარისა და ხურტკმელისთვის გამხმარი ტოტების შეჭრა. არ არის რეკომენდებული კონსერვების დამზადება.

**12 ნოემბერი** — რეკომენდებულია ოთახის მცენარეების მორწყვა. კარგი იქნება, თუ შეიძენთ მინერალურ სასუქებს და მცენარეთა დაცვის საშუალებებს.

**13 ნოემბერი** — მოაწესრიგეთ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

**14 ნოემბერი** — სავსემთვარეობაა. არ არის კარგი დღე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

**15 ნოემბერი** — რეკომენდებული არ არის მცენარეების დარგვა და გადარგვა.

# «რუსული სამყარო» ერთა შორის მშვიდობისა და ჰარმონიისთვის

**3 ნოემბერს მოსკოვში, დედაქალაქის მთავრობის სასახლეში, გაიმართა ფონდ „რუსული სამყაროს“ მიერ ორგანიზებული რიგით მე-10 ასამბლეა. ეს ფორუმი, რომელზეც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ასეულობით სტუმარს იწვევენ, ყოველი წლის 3 ნოემბერს, რუსეთის ეროვნული დღესასწაულის „სახალხო ერთიანობის დღის“ წინა დღეს იმართება. სტუმართა შორის, ძირითადად, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და საზოგადო მოღვაწეები არიან. წლევანდელ საიუბილეო ღონისძიებაზე საქართველოდან მიწვეულთა შორის, დამკვირვებლის სტატუსით, მეც გახლდით.**



გულბაათ რცხილაძე

რუსეთი, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა წამყვანი სახელმწიფოები, ცდილობს, თავისი ენისა და კულტურის პოპულარიზებას უცხოეთში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფონდი „რუსული სამყარო“. რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის პრიორიტეტი არაერთხელ აღინიშნა ამჟამინდელი ასამბლეის ფარგლებშიც. ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, ცნობილმა პოლიტოლოგმა **ვიაჩესლავ ნიკონოვმა** თავის გამოსვლაში სინანული გამოხატა, რომ დღეს არსებულ მძიმე საერთაშორისო ვითარებაში „რუსულ სამყაროს“ მიაწერენ განზრახვას, განახორციელოს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები. არადა, ათი წლის წინათ **რუსეთის პრეზიდენტის მიერ დაარსებული ფონდი ოფიციალურად არის მოწოდებული, რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაციასთან ერთად, დახმარება აღმოუჩინოს ყველას, ვინც თავს ერთიანი კულტურულ-ცივილიზაციური სივრცის ნაწილად მიიჩნევს, ეროვნებისა და მოქალაქეობის მიუხედავად (ამას ხაზგასმით აღვნიშნავ — გ. რ.). რუსეთში სწორედ ადამიანების ამ კატეგორიას მიიჩნევენ „რუსული სამყაროს“ ნაწილად და არა მაინცდამაინც რუსი ეთნოსის წარმომადგენლებს. და, რაც მთავარია, არავის აიძულებენ, იყოს „რუსული სამყაროს“ წევრი.** შესაბამისად, არ იქნება მართებული, დავიჯეროთ, რომ ფონდი, და, საერთოდ, „რუსული სამყაროს“ ცნება, ჩაფიქრებულია რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების სარეალიზაციოდ. **ფონდი „რუსული სამყაროს“ საქმიანობა იმაზე მეტ საფრთხეს არ შეიცავს, ვიდრე „ბრიტანული საბჭო“ ან გერმანული „გოეთეს ინსტიტუტი“.**

რა თქმა უნდა, საიუბილეო ღონისძიებაზე შესაბამისი ფორმისა და შინაარსის გამოსვლები იყო — საზეიმო ხასიათის. პრეზიდენტ პუტინის მისალოცი სიტყვა დამსწრე საზოგადოებას პრეზიდენტის ერთ-ერთმა თანაშემწემ გააცნო, რის შემდეგაც ტრიბუნაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, მისი უწმინდესობა **კირილე** გამობრძანდა. პატრიარქმა შემდეგი საყურადღებო აზრი გამოთქვა: **„ისტორიულად ასეა, რომ ბევრი ცდილობდა დამკვიდრებას, ასე ვთქვათ, „ზღვიდან ზღვამდე“, მაგრამ არავის გამოუვიდა. მხოლოდ რუსულმა სამყარომ შეძლო ევრაზიის სივრცეში უზარმაზარ ტერიტორიაზე დამკვიდრება. ეს იმიტომ მოხდა ასე, რომ რუსული სამყარო განკუთვნილია არა მხოლოდ მართლმადიდებლებისთვის, არა მხოლოდ რუსებისთვის, არამედ ყველა სხვა რელიგიისა და ეროვნებისთვის. დამპყრობლებს ეს ტერიტორია სურდათ მხოლოდ თავისთვის, სხვათა ინტერესების ხარჯზე, ამიტომ მათ არაფერი გამოუვიდათ“.**

რუსეთის პატრიარქის ეს განცხადება ევრაზიული იდეოლოგიის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. **ევრაზიული იდეა ეფუძნება თავისუფალ ხალხთა მიერ საკუთარი იდენტობის გაცნობიერებას ერთი დიდი ცივილიზაციის ნაწილად, სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის ჰარმონიულ თანაარსებობას. თავისუფალი ხალხები, საკუთარი იდენტობის დაცვისა და განვითარების მოთხოვნიდან გამომდინარე, თანხმდებიან, იყვნენ ევრაზიული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი. ამ ცივილიზაციაში ადგილი არ აქვს ერთი ხალხის მიერ მეორის ჩაგვრას ან თუნდაც რაიმე სახის ზეწოლას. აქ პატივს სცემენ ყველას ტრადიციებს და წარმოუდგენელია, ერთი ცენტრიდან ბიუროკრატიის მიერ ფასეულობების გადახედვა, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროების უაზრო ლიბერალიზაცია ან პირიქით — მათ ფარგლებში შეზღუდვების დაწესება.**

მოსკოვში, „რუსული სამყაროს“ ასამბლეაზე, საქართველოს თემა მოულოდნელად წამოიწია, თანაც ორჯერ. პირველად რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში — **მიხეილ შვიდკოიმ** თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორს **ნიკოლოზ სვენტიცკის** გადასცა ვლადიმერ პუტინის განკარგულება მისთვის „რუსეთის დამსახურებული არტისტის“ წოდების მინიჭების შესახებ, მოგვიანებით კი, ექსპერტთა დისკუსიის ფარგლებში, ცნობილმა რუს-ებრაელმა პუბლიცისტმა **ავიგდორ ესკინმა** საგანგებოდ აღნიშნა ბოლო წლებში საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია და ამ ურთიერთობის დათბობის აუცილებლობა „რუსული სამყაროსთვის“.

საინტერესო იყო სხვა ექსპერტების გამოსვლებიც. მაგალითად, ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა **ჯულიეტო კიეზამ** ყურადღება გაამახვილა დასავლეთში არსებულ ტოტალურ სოციალურ კრიზისზე. კერძოდ, დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების დონის მაქსიმუმი წარსულშია, აღარ ხდება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, იზრდება ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, საშუალო ფენის მოცულობა არსებითად მცირდება. სწორედ ამის გამოძახილია დასავლეთის ქვეყნების ელიტების მცდელობა, საგარეო პოლიტიკის რადიკალიზაციის გზით აღმოფხვრან შიგა დეფიციტი და დაძლიონ კრიზისი. ეს მცდელობები ეჯახება რუსეთისა და მსოფლიოს სხვა პოლიტიკური პოლუსების სასიცოცხლო ინტერესებს, საბოლოო ჯამში კი, მათი ხალხების ინტერესებსაც. შედეგად, გვაქვს ის შემაშფოთებელი სურათი, რომელსაც ვხედავთ თანამედროვე მსოფლიოში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პარიზის დემოკრატიისა და თანამშრომლობის ინსტიტუტის დირექტორი **ნატალია ნაროჩნიცკაია** უკრაინის თემას შეეხო და აღნიშნა, რომ უკრაინაში ადგილი აქვს „მართლმადიდებლობისა და სლავობის დრამას“. ნაროჩნიცკაიას აზრით, რომელსაც, ძნელია, არ დაეთანხმო, წინა პლანზე უნდა იდგეს არა ის, ვინ არის რუსი და ვინ — უკრაინელი, არამედ ამ ორი მოძმე ხალხის საერთო ისტორია, საერთო წარმოშობა. „ჩვენ ვართ არა რუსები და უკრაინელები, ცალ-ცალკე, არამედ მართლმადიდებელი „როსები“, კიევის რუსეთის მემკვიდრენი, რომლებსაც თავადმა **ვლადიმერ დიდმა** ქრისტიანობა მოუტანა“.

ამერიკაში მცხოვრებმა რუსმა პოლიტოლოგმა **ნიკოლაი ზლობინმა** გულახდილად ურჩია თანამემამულეებს: „თქვენ მაინც გაბრალებენ, რომ მუშაობთ ევროპაში განხეთქილების შეტანაზე, ეწევით აქტიურ პროპაგანდას, მხარს უჭერთ თქვენთვის სასურველ პოლიტიკურ ძალებს დასავლეთში და ბევრ სხვა რამეს. რუსული ენის გავრცელება კარგი საქმეა, მაგრამ პოლიტიკურად მისი მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია. თქვენ უნდა აკეთებდეთ იმას, რასაც ისედაც გაბრალებენ“, — ეს არის ზლობინის, როგორც პოლიტოლოგის, აზრი, რომელიც პოლიტიკის რეალისტურ აღქმას ემყარება. ნაწილობრივ მაინც უნდა დავეთანხმოთ ზლობინს იმაში, რომ რუსეთის სახელმწიფო ბოლო დრომდე ბევრს არაფერს აკეთებდა ყბადაღებული „რბილი ძალის“ გამოყენების თვალსაზრისით. საქართველოს მაგალითზე ეს კარგად ჩანს. **განსხვავებით საქართველოში მოქმედი მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან, პოლიტიკური პარტიებისა თუ ბიუროკრატიული სტრუქტურებისგან, რომლებსაც დასავლური ფონდები და სახელმწიფო სტრუქტურები უმაგრებენ ზურგს, რუსეთის სახელმწიფო ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არანაირი პროექტის განხორციელებას არ უწყობს ხელს, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ კულტურულ ღონისძიებებს.** რუსეთის ჩაურევლობა კარგია იმ მხრივ, რომ მოსკოვში პატივს სცემენ საქართველოს თავისუფალ არჩევანს, მაგრამ, ამასთანავე, ცუდია იმის გამო, რომ საქართველოში დაუცველია ბალანსი და სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი პირდაპირ „ჩამოკიდებულია“ დასავლეთის კეთილ ნებაზე. **საქართველო, რომელიც არ ფლობს არც დიდ ბუნებრივ რესურსებს, არც მაღალ ტექნოლოგიებსა თუ განვითარებულ ფინანსურ სისტემას, არც ძლიერ ჯარს და ყველა პარამეტრით სუსტი ქვეყანაა, ვერ ჩამოყალიბდება სუვერენულ სახელმწიფოდ ბალანსირებული პოლიტიკის გარეშე.** ბალანსი კი, როგორც ვთქვით, დარღვეულია დასავლეთის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, იმედი ვიქონიოთ, რომ თვით ცხოვრება უბიძგებს ჩვენს ხელისუფლებას, გადადგას საქართველოსთვის სასარგებლო ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში და არ იმყოფებოდეს პატრონყმულ მდგომარეობაში დასავლეთთან.

**გულბაათ რცხილაძე**

# სირიის ლიდერმა აშშ დაადანაშაულა

**სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ 17 სექტემბერს აშშ-მა შეგნებულად განახორციელა იერიში დეირ-ერ-ზორში განლაგებულ სამთავრობო ჯარების პოზიციებზე. მან ამის შესახებ სერბულ გაზეთ „პოლიტიკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**



„იერიში აშშ-მა მიზანმიმართულად განახორციელა, რადგანაც „ისლამურმა სახელწიფომ“ ძალები ამოწურა სირიის, ირანისა და რუსეთის ძალების წინააღმდეგ. გარდა ამისა, „ჯაბჰათ ან-ნუსრამ“, რომლის მოკავშირეც იყო „ალ ქაიდა“, სირიის მრავალ რეგიონში დათმო პოზიციები და ამიტომაც ამერიკელების მიზანი უკვე სირიის არმიისთვის ძირის გამოთხრაა. ეს არის მიზეზი, რომლის გამოც აშშ-მა განახორციელა იერიშები დეირ-ერ-ზორში“, — განაცხადა ინტერვიუში **ბაშარ ასადმა.**

სირიის ლიდერი პასუხისმგებლობას აკისრებს ვაშინგტონს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების ჩაშლაზეც. ასადის განცხადებით, აშშ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებს სამხედრო ოპერაციების შეწყვეტას, თუ აუცილებლობა მოითხოვს, მაგალითად, როდესაც „ბოევიკების“ დაჯგუფებებს დასჭირდებათ დახმარება. და თუ ამას ვერ მოახერხებს, უფლებამოსილი იქნება, ჩაშალოს მოლაპარაკებები. ასადს მიაჩნია, რომ ახლა აშშ და რუსეთი ვერ იქნებიან მოკავშირეები ომში, რომელიც გაჩაღებულია სირიაში ტერორისტებს შორის.

„რუსები აწარმოებენ პოლიტიკას თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მათ წვლილი შეაქვთ საერთაშორისო სამართლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ, ამერიკელები აწარმოებენ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს, ტერორისტების მხარეს ყოფნას. შესაბამისად, მათ სხვადასხვა ღირებულებები გააჩნიათ“, — განაცხადა სირიის პრეზიდენტმა.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009